

1967

3410353430
202401010000

Handwritten title in a stylized script, likely Georgian, spanning across the blue and cream background.

Large stylized white characters on a blue background, possibly representing the word "საქართველო" (Sakartvelo).

19367



ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ - პოლიტიკური
შურნალი
საქართველოს მწერალთა
კავშირის აზარის
განყოფილების ორგანო

შინაარსი

წინ ახალი ამოცანები	3
პ. ლორია — ნაპერწყმიდან ავარდნილი ალი (მოთხრობა)	5
ჯ. ქათამაძე — ლექსები	22
ნ. მრღვაძე — დაბრუნება (მოთხრობა)	25
ჯ. ჯაყელი — ლექსები	40
რ. ართილაშვა — ლექსები	43
ბ. კეჭელაძე — ოცდაათი წლის შემდეგ (მოთხრობა)	45
ზ. გორგილაძე — ლექსები	51
ახალგზინიური თქმულება — ლეგენდა დედაზე (თარგმანი ქ. ჩავლეიშვილისა)	54
ს. მსანიძე — ლექსები (თარგმანი გ. ხალუ- ქვაძემ)	58
დღეები და აღმშენებელი	
ი. ცერცვაძე — გმირთა ხსოვნა უკვდავია	60

10.441.
3
1967

მ ა ი ს ი
ი ზ ნ ი ს ი

აზარის შურნალ-გაზეთების გამომცემლობა



პრიტიკა და კუბლიცისტიკა

შ. ქურდიძე — მხატვრული ლიტერატურა	
აჭარაში დიდი ოქტომბრის 50 წლის-	
თავზე	63
ი. ლეჟინაძე — სინამდვილის რომანტიკის მი-	
სადგომებზე	77
მ. მუხომბაძე — სულიერი ნათესაობა	83

აზარის წარსულიდან

ა. სურბულაძე — აჭარა ოქტომბრის რევო-	
ლუციისათვის ბრძოლაში	88
ბ. ლეჟინაძე — აბდულ მიქელაძის ეპის-	
ტოლარული მემკვიდრეობიდან	93



რედაქტორი შოთა ქურიძე

სარედაქციო კოლეგია:

ნ. ახვლედიანი, ნ. გვარიშვილი, მ. ჯარშანიძე (პ/მგ. მდივანი),
პ. ლორია, ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, გოგებაშვილის ქ. № 24.
ტელეფონები: რედაქტორის — 33-71, პ/მგ. მდივნის — 33-72.

წინ ახალი ამოცანები

მაისის ბოლოს მოსკოვში მიმდინარეობდა სსრ კავშირის მწერალთა მეოთხე სრულიად საკავშირო ყრილობა. ეს იყო უმნიშვნელოვანესი მოვლენა არა მარტო საბჭოთა ლიტერატურის, არამედ მთელი ჩვენი საზოგადოების სულიერ ცხოვრებაში.

ყრილობამ საქმიანად განიხილა საბჭოთა ლიტერატურის განვითარების ძირეული პრობლემები მიმდინარე ეტაპზე. შეაჯამა განვლილი მუშაობის შედეგები და დასახა ახალი ამოცანები, რომელთა განუხრელად განხორციელება თვითეული მწერლის მოქალაქეობრივ-პატრიოტული მოვალეობაა. ყრილობამ ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ ჩვენი მწერლობა ერთგულად ემსახურება მშობლიურ ხალხს, გამოხატავს ხალხის ნებას და იცავს მის სასიცოცხლო ინტერესებს.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდად აფასებენ ჩვენი ლიტერატურის განსაკუთრებულ დამსახურებას კომუნიზმის იდელების განხორციელებისათვის ბრძოლაში და ყოველდღიურად ზრუნავენ მისი შეუწელებელი წინსვლა-განვითარებისათვის.

„ისტორიის ყველა ეტაპზე — მშვიდობიანი შემოქმედების წლებშიც და ომის წლებშიც, — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმებაში სსრ კავშირის მწერალთა მეოთხე ყრილობისადმი, — ჩვენი ლიტერატურა იყო გმირული დროის მართალი მატანი, ახალი საზოგადოების გამარჯვებისათვის ბრძოლის აქტიური მონაწილე, ახალი აღმშენების ჩამოყალიბების მძლავრი საშუალება“.

ხალხის ცხოვრებაში საბჭოთა ლიტერატურის უდიდესი როლის, მისი თვალსაჩინო ღვაწლის აღიარება იყო სსრ კავშირის მწერალთა კავშირის დაჯილდოება ჩვენი სახელმწიფოს უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით. მწერლის შრომის, მისი დამსახურების ესოდენ მაღალი შეფასება შთააგონებს და ახალი შემოქმედებითი წარმატებებისათვის აღფრთოვანებს თვითეულ საბჭოთა ლიტერატორს, რომლებიც პარტიულ ხელმძღვანელობაში სამართლიანად ხედავენ ჩვენი მწერლობის შეუწელებელი წინსვლისა და აღმავლობის წყაროს.

ჩვენ პირდაპირ და ამაყად ვუწოდებთ ჩვენს ლიტერატურას პარტიულს იმიტომ, რომ მას არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს სხვა ინტერესები, გარდა ხალხის ინტერესებისა, რომლებსაც ჩვენი პარტია გამოხატავს. — განაცხადა ყველა საბჭოთა მწერლის სახელით თავის წერილში სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი სსრ კავშირის მწერალთა მეოთხე ყრილობამ, — ჩვენს ლიტერატურას პარტიულს ვუწოდებთ იმიტომ, რომ

პარტიის პოლიტიკაში ვხედავთ პროგრესული კაცობრიობის სანუკვარ მისწრაფებათა ყველაზე სრულ განხორციელებას. და დღეს მთელი ჩვენი მრავალეროვნული ლიტერატურის სახელით ვამბობთ: „ავირჩიეთ რა ჩვენს იდეალად კომუნიზმი — ბოლომდე ერთგული ვიქნებით მისი!“.

დიახ, საბჭოთა მწერლები უაღრესად ერთგული არიან დიადი იდეალის — კომუნიზმისა და მომავალშიც ყველაფერს გააკეთებენ მისი ზორცშესხმისათვის. ისინი კვლავ და კვლავ დაუცხრომლად იბრძოლებენ ხალხის ცხოვრებასთან ლიტერატურის მჭიდრო კავშირისა და ჩვენი გმირული თანამედროვეობის, ჩვენი საზოგადოების განვითარების მიმდინარე ეტაპის მხატვრული შეცნობისათვის. რათა თავისი თხზულებებით კომუნიზმის მშენებლები შთააგონონ დიდი ოქტომბრის იდეების განხორციელებისათვის, აღზარდონ ისინი პატრიოტული და ინტერნაციონალისტური სულისკვეთებით, ხელი შეუწყონ მშვიდობის განმტკიცებას მთელ მსოფლიოში, ყველა ხალხის, მთელი კაცობრიობის განუზრგელ სოციალურ პროგრესს.

ამოცანები, რომლებიც ყრილობამ დასახა ჩვენი ლიტერატურის წინაშე, თვითეული საბჭოთა მწერლისაგან მოითხოვს შემოქმედებითი პასუხისმგებლობის გრძნობის ამადლებას, ბეჭით შრომას, მხატვრული ოსტატობის სრულყოფას და, რაც მთავარია, კომუნიზმის იდეების ერთგულებას, კლასობრივი პოზიციის მკაფიობას, ფართო შეტევის გაჩაღებას ანტიკომუნიზმის მეაბჯრეთა წინააღმდეგ, მარქსიზმის ყველა ჯურის რევოლუციონისტებისა და ვულგარიზატორების წინააღმდეგ.

მალე საბჭოთა ხალხი მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად ზეიმით აღნიშნავს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს არსებობის ორმოცდაათი წლისთავს. ამ დიადი თარიღის შესახებ დრად ჩვენი ქვეყნის თვითეული მშრომელი, თვითეული პატრიოტი ახალ შრომით საჩუქრებს უმზადებს საყვარელ დედა-სამშობლოს. საბჭოთა მწერლებიც არ უნდა ჩამორჩნენ სხვებს და საყოველთაო-სახალხო ზეიმს, სახელოვან იუბილეს შეხვდნენ ახალი შემოქმედებითი წარმატებებით, ახალი თხზულებებით, რომლებშიც აისახება ხალხის გმირული ბრძოლა კომუნიზმის გამარჯვებისათვის, მშვიდობის გამარჯვებისათვის.

წინ ნათელი პერსპექტივებია, უაღრესად პასუხსაგები ამოცანებია და ექვი არაა „საბჭოთა ლიტერატორები ყოველ დონეს იხმარენ, რათა გაამართლონ პარტიისა და ხალხის ნდობა, სამშობლოს უმაღლეს ჯილდოს — ლენინის ორდენს უპასუხებენ იმით, რომ ყოველი დონისძიებით აამადლებენ შემოქმედებით აქტივობას, თავიანთი შრომით ღირსეულ წვლილს შეიტანენ კომუნიზმის მშენებლობაში, მხატვრულ ნაწარმოებებში ასახავენ ხალხის ცხოვრებას, შექმნიან მისი ბრძოლისა და შემოქმედებითი შრომის ფართო სურათს“.

მთელი ნიჭი, მთელი შემოქმედებითი ენერგია. ჩვენი გულის მთელი მგზნებარება ისე, როგორც ყოველთვის, მოვანმართო ცხოვრებისა და ლიტერატურის, ხელოვნებისა და რევოლუციის კავშირის განმტკიცებას. პარტიის ბრძნული პოლიტიკის განხორციელებას, პოლიტიკისა, რომელიც ჩვენი წინსვლისა და გამარჯვების საფუძველთა საფუძველია.



პარმენ ლორია

ნაკურნკლიდან ავარდნილი ალი

მოხუცმა ნელი ნაბიჯით ათავალა ათიოდე საფეხური და მაღალ-
თალიანი შენობის წინ შეჩერდა.

სახლი თეთრი ქვისაგან იყო ნაშენი. განიერი კარ-ფანჯრები ჰქონდა
და მოჩუქურთმებული სარაბახი. მოხუცმა ფასადზე მოფენილი რელიე-
ფური გამოსახულებები შეათვალიერა და თითქოს ნაცნობი ადამიანები
და ამბები შეიცნო:

საბრძოლველად დარაზმული მშრომელი ხალხი, დროშები, ლოზუნ-
გები, დემონსტრაციები, შეტაკებები, ბრძოლები, დაღეწილი ბორკილები,
დამხობილი ტირანია და...

გამარჯვება!

უცნობმა შენობის ღია კარებში შეიხედა.

— მობრძანდით! — მაშინვე შეიპატიჟა იგი ვესტიბიულში თეთრხა-
ლათიანმა ქალმა.

— შეიძლება?! — დინჯად შეადგა ფეხი სტუმარმა და იქაურობა მო-
ათვალიერა. — დიდი ხანია მსურდა აქაურობის მონახულება, მაგრამ...
თქვენი სახელი?

— მერი, ბატონო!

— ჰო. ქალბატონო მერი, მაგრამ ვერ მოვახერხე. — მოხუცმა ვარდი-
სფერი შუქით განათებულ დარბაზს ახედა, — სანამ მუხლებში ძალა
მედგა, მკლავში ღონე და თავი მუშაობდა, საქმეს ვერ მოვცდი. ისინი,
ალბათ...

— ექსკურსანტები გახლავთ. — და თეთრხალათიანმა ქალმაც იქითკენ
მიიხედა, საითაც მოხუცი იცქირებოდა. — თუ ინებებთ და შეუერთდე-

ბით, ჯგუფს ჩვენი თანამშრომელი ახლავს და სხვებთან ერთად თქვენს მოისმენთ მის საუბარს.

— გმადლობთ! — მოხუცი ნელა მიბრუნდა. სტენდებთან შეჩერებულ ექსკურსანტთა ჯგუფს მიუახლოვდა და თავის დაქნევით უსიტყვოდ მიესალმა.

ახალგაზრდა ექსკურსიამძღოლი, ეტყობოდა, ამთავრებდა ქვემო დარბაზის ექსპონატთა დახასიათებას. მართლაც, ცოტა ხნის შემდეგ ექსკურსანტები მან ზემო სართულზე მიიწვია. აქ უფრო ჭარბად იყო ფოტოსურათები, ექსპონატები. ყოველ მათგანს სათანადო წარწერა ჰქონდა. მაგრამ ექსკურსიამძღოლი მაინც დაწვრილებით განმარტავდა ყველაფერს.

— აქ, მეგობრებო, საუბარი გვექნება ბათუმის მუშათა კლასის რევოლუციურ მოძრაობაზე, ამ მოძრაობის აქტიურ წარმომადგენლებზე. — და ექსკურსიამძღოლმა ცხრაასიანი და მომდევნო წლების ამბები წამოიწყა. — ეს გახლავთ ის ჯგუფი, რომელიც სათავეში ედგა სახალხო-რევოლუციურ მოძრაობას და იარაღით ხელში გამოდიოდა მეფის მთავრობის წინააღმდეგ. ბევრი მათგანი დაეცა უთანასწორო ბრძოლაში, ბევრმა გაუძლო ციხე-ციმბირსა და კატორღას, მოესწრო დიად გამარჯვებას და სახალხო ზეიმს შეხვდა, მაგრამ მოპოვებული გამარჯვების შენარჩუნებისთვის ბრძოლას შეეწირა. დღევანდლამდე მხოლოდ მცირე ნაწილმა მოაღწია და გვეხმარება.

— ღმერთმა დიდი სიცოცხლე მისცეთ! — გულდაგულ დაილოცა ერთმა დედაკაცმა.

— მაგალითად, — განაგრძო ექსკურსიამძღოლმა. — ეს პიროვნება, — ხელ-ფეხზე რკინის ბორკილგაყრილ შავ წვერულვაშიანი ვაჟკაცის ფოტოსურათზე აჩვენა, — ას წელს მიღწეული მოხუცია. ჩვენგან ცოტა მოშორებით ცხოვრობს. როგორც ამბობენ, ყოჩაღად გრძნობს თავს და ფიზიკურ შრომასაც არ ერიდება.

„გერონტი ხმალაძე!“ ხმამაღლა ამოიკითხა სურათის ქვეშ მიკრული წარწერა ერთმა ახალგაზრდამ.

მოხუცი ფოტოსურათს მიუახლოვდა, დახედა, შემდეგ ჭაღარა უღვაშზე გადაისვა ხელი და გაიღიმა.

— სად გიპოვნიათ ეს სურათი? — იკითხა უცნობმა.

— ერთ-ერთი ძველი რევოლუციონერის ოჯახში. — მიუგო ქალმა. — თუ გაინტერესებთ, შეგვიძლია გაგიგოთ!

— არა, არ შეგაწუხებთ. მასეთი სურათების შეგროვება, მოვლა და შენახვა მაგდას უყვარდა, — კვლავ ფოტოსურათს ჩააჩერდა მოხუცი.

— მაგდა?! — გაკვირვებით ჰკითხა ქალმა.

— ივანე მგელაძის მეუღლე... ცოცხალია?

— სამწუხაროდ, არა. ერთი წელი იქნება შემდეგ... იცნობდით?

— მრავალჯერ შეგვიფარებია თავი მის ოჯახში. მისი მადლიანობით დაზღუდებული კერძო ბევრჯერ მიმირთმევია... თქვენი სახელი?

— ნანული, ბატონო.

— ჰო, ჩემო ნანული. ძალიან საიმედო ოჯახი ჰქონდა. მახსოვს, ერთხელ საპირველმაისოდ წითელი დროშაც კი შევაკერინეთ...

— ის დროშა ჩვენთან ინახება, ძია!

— რას ამბობთ! მართლა? მამაშვილობას, მიჩვენე ერთი! — სახე გაუბრწყინდა მოხუცს.

— წამობრძანდით! — და ექსკურსიამძღოლმა მოხუცთან ერთად მთელი ჯგუფი იქითკენ გაიყოლია.

სიძველისაგან დაცრეცილი წითელი დროშა საპატიოდ იყო გაფენილი შუშის განიერ ყუთში. იქვე მახლობლად, სტენდებზე, მაგდას ფოტოსურათთან ერთად იმდროინდელი მუშა რევოლუციონერების სურათებიც იყო გამოფენილი.

მოხუცი დიდხანს დასცქეროდა ბათუმის მუშების პირველ საბრძოლო აღმას, შემდეგ თავი ასწია, თვალები ცხვირსახოცით ამოიწმინდა და იქ მყოფთ გადახედა:

— იყო იდეა, გვქონდა რწმენა, გვაყვარდა ბრძოლა და ვაჟკაცობა, ვეტრფოდით ძმობას, ერთობას, თავისუფლებას. საგმირო და სასახელო საქმედ მიგვაჩნდა სიმართლისათვის სიკვდილი და თავგანწირვა... აქ სულ ჩვენი ბიჭები ყოფილან. — სტენდებზე მოფენილ სურათებს ჰკიდა თვალი. — ეს ჩვენი კობა! ბევრი რამით ვართ დავალებული მისგან. ეს კი სილვესტრო ლომჯარია უნდა იყოს. ძალიან მომზადებული ვაჟკაცი იყო. ეს ხომ ჩვენი პორფირე... პორფირე...

— ქურიძე. — შეახსენა ექსკურსიამძღოლმა.

— დიახ, დიახ. ქურიძე. არ გამემტყუნება, სიბერე მჭირს, შვილო. ესეც არ იყოს, ნახევარ საუკუნეზე მეტია არ მინახავს ჩემი ძველი ამხანაგები. ეს ხომ ჩვენი თეოფილეა, საკმაოდ გამოცვლილა, მაგრამ მაინც შევიცანი. „თეოფილე გოგიბერიძე“ — ამოიკითხა ერთმა გოგონამ სურათის ქვეშ წარწერა და მოხუცს შეხედა.

— სწორია, შვილო, სწორი. ხომ ვთქვი, შევიცანი-მეთქი. ძალიან გულადი და გაბედული ბიჭი იყო. ერთხელ გენერალ ღრიაგინთან მიიჭრა და ცხენიდან გადმოთრევა მოუნდომა. ეს ოსმან გურგენიძეა, მაგრამ ამ მოხუცს რომ ვერ ვცნობ?

— ნიკო სანაძე. — ახლა მეორე გოგონამ მიაშველა მოხუცს წარწერიდან ამოკითხული.

— აჰ, ნიკო! როგორ ვერ ვიცანი! მემედ უსტი-ოღლი. ჩვენი მემედი. მაგისტანა პირდაპირი და გაბედული ვაჟკაცი მეორე არ ერია ჩვენს რიგებში. მაგის თავგადასავალი რომ იცოდეთ... პირველი ეს იყო, ბარიკადებზე იარაღით რომ გამოვიდა.

— გვიამბეთ, ძიავე, გვიამბეთ! — მოხუცის ირგვლივ შემჭიდროვდნენ ახალგაზრდები. — ძველი ამბების მოსმენას რა სჯობია!

— მართალია!

— სწორია!

ერთმანეთს აყვენენ ექსკურსანტები.

— რასაკვირველია, — თქვა მოხუცმა. — თქვენ კი არა, მეც მომინდა უკან მოხედვა და გარდასულისათვის თვალის შევლება.. დიდი ამბებისა და მოვლენების მომსწრეა, ახალგაზრდებო, ზემი თაობის ადამიანი. იდრინდელ ათეულ საუკუნეს არ დაუძრავს კაცობრიობა ასეთი სწრაფი ტემპით, როგორც ეს მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეში მოახერხა.

ვესტიბიულში ახალგაზრდა კაცი შემოვიდა.

— დეიდა, აქ მოხუცი კაცი არ შემოსულა? — ჰკითხა მან თეთრხალათიან ქალს.

— კი, შვილო. ზემოთ ავიდა.

ახალგაზრდამ სწრაფად აირბინა ზემო სართულზე.

— ბაბუა გერონტი, — მიმართა მან მოხუცს. — რად გამოგვეპარე?!

— უთქვენოდაც არ გამჭირვებია აქ მოსვლა... მიდი, ნახე, დაათვალიერე. მანამდე მე აქ...

— ვინ არის? — თვალით ანიშნა მოხუცზე ახალმოსულს ექსკურსიამძღოლმა.

— ხმალაძე. — მიუღო ახალგაზრდამ.

— ხმალაძე?!

— გერონტი?!

და ყველამ შეხედა იმ სურათს, რომლიდანაც ხელ-ფეხზე ბორკილდადებული შავ წვერულვაშიანი ვაჟკაცი გამოიყურებოდა.

— ეს თქვენ ბრძანდებით?! — კითხვის ნიშნად ქცეული თვალები მიბრუნდა მოხუცისაკენ.

— მაგრამ დღეს „სიბერე მჭირს“, შვილებო, — თქვა მოხუცმა. ჭაღარა უღვაშზე ამაყად გადაისვა ხელი და იქ მყოფთ გაუღიმა.

* * *

გერონტი ხმალაძე ერთ-ერთი და სიმბოლური წარმომადგენელია ცხრაასიანი და მომდევნო წლების ბათუმის მუშათა რევოლუციური მოძრაობის მოწინავე მოღვაწეებისა. იგი მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში ჩამოვიდა ბათუმში, ერთ-ერთ ქარხანაში დაიწყო მუშაობა და მალე მუშათა წრეში ცნობილი პიროვნება გახდა. აქ შეხვდა იგი მეოცე საუკუნის დაბადებას და ახალი ერის შემოჭრას. მისი თანდასწრებით ჩამოყალიბდა ბათუმის მუშათა რევოლუციური კომიტეტი, მისი მონაწილეობით ეწყობოდა გაფიცვები, დემონსტრაციები, აჯანყებები. მუდამ იგი იდგა მოწი-

ნავე ხაზზე და მშრომელთა განთავისუფლების საქმეს მთელი ძალღონით
ემსახურებოდა.

და ერთხელ, როცა იგი პირველად შეიპყრეს, დააპატიმრეს და ჰკით-
ხეს: — რას აკეთებ? რას ფიქრობ? რას სჩადიხარო? — მან ღიჯად
უპასუხა:

— ისეთს არაფერს. აქ მხოლოდ ერთი ნაპერწკალია, იმას ვაღვივებთ,
ხოლო როდესაც ჩვენს ქვეყანაში მობნეული ასეთი ნაპერწკლები შეერთ-
დებიან და იელვებენ... მაშინ კი ნამდვილი საქმე გაგვიჩნდება...

— ჩუმაღ! — ენა ჩაუგდეს, ბნელ საკანში გამომწყვდიეს, სამართალ-
ში მისცეს, მაგრამ...

— უწლოვანია, ჭაბუკია, სამართალში არნამყოფიო და „ჭკუის სასწა-
ვლად“ ექვსი თვის ციხე აკმარეს.

ჭკუა მართლაც ისწავლა ხმალაძემ. ციხიდან გამოსულმა უფრო ფხი-
ზლად და ფრთხილად განაგრძო თავისი გზა და... როცა ნაპერწკლები მომ-
რავლდა ქვეყნად, ხმალაძეებმაც აიშვეს თავი...

გერონტი კვლავ გაიხსენეს, შეიპყრეს და...

— სხვის ბაღჩაში რომ არ ჩახტესო, ხელ-ფეხზე რკინის ბორკილები
დამაყარეს. — ღიმილით თქვა გერონტიმ და საუბარი დამთავრებულად
მიიჩნია, მაგრამ აღარ მოეშვნენ.

— დიდხანს ატარეთ ბორკილები? — შეეკითხა ერთი ჭაბუკი.

— რამდენი წლის იყავით მაშინ?

— სად გაატარეთ პატიმრობა?

— მაპატიეთ, შვილებო, თავი შეგაწყინეთ. თუ ერთხანს კიდევ ვიცოც-
ხლე და საშუალება მომეცა, აქაურ ამბებზე დაწვრილებით მოგესაუბრე-
ბით. ახლა კი დავიღალე, ნახვამდის.

* * *

გერონტი ხმალაძესთან შეხვედრა და საუბარი დიდი ხანია განზრა-
ხული ჰქონდა მუზეუმის ხელმძღვანელობას, მაგრამ არ იქნა და არ მო-
ხერხდა.

თავიდანვე დაუდევარი ბუნების რევოლუციონერი, მუდამ სხვადა-
სხვა საქმით იყო დატვირთული, დიდ ხანს ჩვენს მოძმე რესპუბლიკებში
ძოღვაწობდა პასუხსაგებ თანამდებობებზე, ხოლო სამოცდათხუთმეტ
წელს მიღწეული მოხუცი ომის ქარიშხლიან დღეებში, როცა ვაჟკაცებისა-
გან სოფლები დაიცალა, რაისაბჭოს ჩაუდგა სათავეში და მართავდა. შემ-
დეგ ოჯახური ამბები; ომში დაკარგული შვილის ცოლ-შვილის პატრონობა,
მათი მოვლა და მიხედვა... და როცა ბაღიშები დაზარდა, დააოჯახა
და თავი დაადგა...

ბუნების კანონს გვერდი არ შეეცვლება: მოხუცდა, მოიქანცა, მოტ-
ყდა და..

„გული არ იშლის გულბას,
მაგრამ არ მოსდევს ძალ-ღონე“

და გერონტი ხმალაძეც მიჰყვა ძალ-ღონის ნებას. ბუნების კანონს დაემორჩილა, საკუთარ ოჯახში დასადგურდა და მოსვენებული ცხოვრება განიზარა. მაგრამ მაინც არ მოასვენეს, გამოუჩნდეს საქმე და სამუშაო. განსაკუთრებით ახალგაზრდობა დაესვია და ააწრიალა: შეკრებებზე, საზეიმო საღამოებზე, თათბირებზე, სადაც კი რაიმე ღონისძიება ტარდება, ყველგან უნდა მივიდეს და მონაწილეობა მიიღოს. ზოგან სიტყვით, ზოგან მოგონებებით. ამ საიუბილეო წელს ზომ სულ აღარ ეშვებია. შეკითხვა უამრავი აქვთ ყველგან. მოზრდილებთან კიდევ რაღაცას გახდები, მაგრამ თანქრებმომარჯვებულ პიონერ-მოსწავლეებს ზომ ველარ დააღწევ თავს! იმდენი რამის მოსმენა და ჩაწერა სურთ, რომ პასუხის გაცემა სჭირს.

მუზეუმის დიდი დარბაზი საზეიმოდ მორთული დახვდა ვეტერან რევოლუციონერს. აქ შეკრებილიყვნენ ძველი რევოლუციონერები, სამოქალაქო და სამამულო ომის მონაწილენი, შრომის მოწინავენი, მუშები და მუშა ქალები, ჭაბუკები, ქალიშვილები, მოსწავლეები, ლიტერატურისა და პრესის წარმომადგენლები. ასეთმა გულთბილმა შეხვედრამ იგი ძალზე გაახარა. ჯერ საერთო საღამო მისცა ყველას, შემდეგ ბოდიში მოიხადა და მისთვის განკუთვნილ სავარძელში ჩაჯდა.

— მაპატიეთ, მუხლებს ვერ ვენდობი. — ღიმილით თქვა მან და სათვალე მოირგო.

— არა უშავს, ეგრე გვესაუბრეთ! — იქ მყოფთა სურვილი გამოთქვა ერთ-ერთმა დამსწრეთაგანმა.

— მაშ, ასე, მეგობრებო.—დაიწყო მან.—თქვენც იცით, ნაპერწკალი, რომელიც ჩვენმა თაობამ ხანძარად აქცია, ძველი მსოფლიოს აღმგველი გახდა. მის ნანგრევებსა და დანაფრთლზე ახალი ქვეყნები აღმოცენდა და... ერთ-ერთი ასეთი ახალი ქვეყნის შვილები ვართ ჩვენც, მისი ერთგული, შემოქმედი და მშენებელი... ესენი ყველაფერი ჩაწერილია დიადი ბრძოლების მატრიანეში. ბევრჯერ თქმულა და მოგისმენიათ ამის შესახებ, ხოლო თუ გსურთ გავიმეორო, რაც უკვე იცით...

— აჯობებს, ჩაუწერელი ამბები მოგვიყვით და ჩავაწერინოთ!—შეჰკადრა ერთმა ახალგაზრდა ჟურნალისტმა, რომელიც თავისი გაზეთის დავალებით მოსულიყო.

— მართალია!

— სწორია!

მოიწონეს სხვებმაც.

— ამ შემთხვევაში უნდა მაპატიოთ, თუ ამბები ქრონოლოგიურად ვერ დავალაგო და თანმიმდევრობა დამერღვეს.

— როგორც გსურდეთ!

— როგორც გენებოთ!
და დარბაზი სმენად იქცა.

* * *

ქარხანაში ერთი მაღალ-მაღალი ახალგაზრდა მოვიდა და სამუშაო ითხოვა.

ადმინისტრაციამ კარგად შეამოწმა: ჯანმრთელი თუ არის, წერა-კითხვა თუ იცისო, კერპი და ურჩი ხომ არ არისო და, როცა ყველა მაჩვენებელი დადებითი აღმოაჩნდა: ჯანმრთელი იყო, გაუნათლებელი, მორჩილი და სანდო, — მუშად მიიღო და ხელფასი დაუნიშნა.

პირველად გერონტი ხმალაძე დაინტერესდა ამ ახალგაზრდა მუშის გინაობით:

— რა გქვია, ყმაწვილო, შენ?

— მემედი. — მიუგო ახალგაზრდამ.

— გვარი?

— უსტი-ოღლი.

— თურქი ხარ?

— თურქი თვითონ ხარ! — გაჯავრდა ჭაბუკი.

— მაშ?

— აქაური ვარ. კახაბრიდან.

— მაშინ ქართული სახელი და გვარი გექნებოდა!

— ქართული გვარი?! — ლოყები შეუჭარხალდა ახალგაზრდას. ნაწყენი შემოხედა ხმალაძეს და თავისთვის რაღაც ჩაილულულა.

ვაწყენინეო, გაიფიქრა გერონტიმ და ინანა, რომ გაცნობისთანავე დაიმდურა ყმაწვილი კაცი: ალბათ, შემძულებს და ახლოსაც არ გამეკარებაო. მართლაც, რამდენიმე დღე შორს იჭერდა თავს უსტი-ოღლი. გულჩათხრობილი და დაღონებული დადიოდა, მაგრამ ერთ დღეს...

— შენთან საქმე მაქვს! — უთხრა შესვენებისას მან ხმალაძეს და ანიშნა გავცალკევდეთო.

ხმალაძეს სხვანაირად ენიშნა, ფერი ეცვალა: ვაი, თუ რაიმე ცუდი განზრახვა აქვს და სისრულეში მოყვანას აპირებსო, მაგრამ თხოვნა მაინც შეუსრულა.

— შენ მართალი თქვი! — ეუბნება ახალგაზრდა ხმალაძეს. — მე მართლაც ქართული გვარი უნდა მქონდეს... უნდა მქონდეს და მაქვს კიდევ... გუშინ სოფელში ვიყავი და დედამ მითხრა, ჩვენი ქართული გვარი სანაძეაო. თუ მირჩევ, სახელსაც გამოვიცვლი. ოღონდ თურქი არ დამიძახო.

გერონტიმ სიყვარულით წვეწვლით თვალი ახალგაზრდა აჭარელ ჭაბუკს.

— არა, კაცო, განა სახელი და გვარი ამმოხილვებს მშრომელებს ერთ-მანეთთან?! მათ საერთო ინტერესები ანათესავენ... ხომ ჩვენთან იქნები? ჩვენს წრეში? ჩვენს გვერდით?

ახალგაზრდამ ღიმილით შეხედა:

— არა. თქვენთან რა მინდა, როდტშილდისა და მანთაშევის ნათესავ-
სა და მოკეთეს?! განა არ ვიცი, რად მეკითხები? იმიტომაც ვარჩიე, — მოკე-
ლა და სამსახური, რომ ასეთი ვაჟკაცები მეგულებოდა.

— მომეცი ხელი!

და ორი ვაჟკაცის მარჯვენა ერთმანეთს შერჩა.

იმ დღის შემდეგ უსტი-ოლლი წინაპრების გვარს დაუბრუნდა: ლოცვა-
ვედრებაზე აიღო ხელი და სარწმუნოებასაც განზე გაუდგა.

— მემედავ, შენ ჭოვ, რაებს ჩადიხარ?! ღმერთი და მაჰმადი დაგივიწ-
ყნია, ერთი ხანია ჯამეში აღარ დაიარები, ქართული შაფხა დაგიხურავს,
აღარ მარხულობ. ალბათ, აწი ღვინის სმასაც დაიწყებ და ღორის ხორცსაც
ჭამ! — უსაყვედურა ერთხელ ხოჯამ და დატუქსა.

— მერე, ამით მე ვის რას ვუშავებ? — შეჰკადრა ვაჟმა.

— ღმერთს ეურჩები და მაჰმადს ღალატობ! — გაცხარდა ხოჯა.

— არა მგონია, ჩემმა ურჩობამ დააკლოს რამე მათ ძლიერებას. — ღი-
მილით უპასუხა ახალგაზრდა მემედმა და ხელი ჩაიქნია. — მე ჩემი გზა და
კვალი ამირჩევია, მათ კი თავისი გზით იარონ.

და მეორე დღეს ქართული წესით გაშლილ სუფრაზე მემედმა პირველ-
მა აიღო ღვინით საცხე სასმისი, თავისი ახალი სახელი ადღეგრძელა და თა-
ვის სიცოცხლეში პირველად შესვა ქართული ყურძნის ალალი წვენი...

— ნიკო სანაძეს გაუმარჯოს, — დასძახეს სუფრის ირგვლივ შემომს-
ხდარმა ვაჟკაცებმა და „მრავალყამიერი“ წამოიწყეს.

— იმ დღიდან ნიკო სანაძე ჩვენი წრის თვალი და ყური გახდა. — გა-
ხაგრძო ხმალაძემ. — ჩვენთან ერთად ჩაება რევოლუციურ მუშაობაში,
გაეცნო მოწინავე ადამიანებს, შეისწავლა წერა-კითხვა და ხელი მოჰკიდა
თვითგანათლებას.

ამ დროს ბათუმის მუშათა რევოლუციური კომიტეტის საქმიანობა წა-
რმატებით ვითარდებოდა. ეწყობოდა დემონსტრაციები, გაფიცვები, ტე-
რორისტული აქტები, იბეჭდებოდა და ვრცელდებოდა არალეგალური
ფურცლები და პროკლამაციები, ჩნდებოდნენ ახალ-ახალი პროპაგან-
დისტები და აგიტატორები, მაგრამ არც ამ მოძრაობის მტრებს ეძინათ.
ამრავლებდნენ ხუნხუზებს, ჯაშუშებს, მოღალატეებს, აძლიერებდნენ
პოლიციისა და ჟანდარმერიის რიგებს, აპატიმრებდნენ და ციხეებში ამწყ-
ვდევდნენ საუკეთესო ვაჟკაცებს და ხშირად საიდუმლოებით მოცულ ტე-
რორსაც მიმართავდნენ.

— და ერთხელ კომიტეტის სხდომაზე დაისვა საკითხი იარაღის შეძე-
ნისა და მუშათა რაზმების შექმნის შესახებ. — უფრო ღრმად ჩაეფლო
გერონტი მოგონებებში.

და ამ სხდომაზე ბევრი საჭირობოროტო საკითხი გაიჩნა. გადაწყდა
დიდი დემონსტრაციის მოწყობა და მიტინგების ჩატარება, ხოლო თუ



პოლიცია შეეცდებოდა ძალის გამოყენებას და იარაღს მიმართდა ძალისთვის ძალა დაეპირდაპირებინათ და იარაღისთვის — იარაღი.

ამ უკანასკნელის შესახებ დიდი სჯა-კამათი გაიმართა: ზოგი შიშობდა, ჩვენ იმდენ იარაღს ვერ შევავსოვებთ, რომ ბარიკადები უზრუნველყოთ, ზოგი სახიფათოდ თვლიდა იარაღით გამოსვლას. მეტი ნაწილი არ უარყოფდა შეიარაღებას, მაგრამ ეჭვობდნენ, იარაღს ვერ ვიშოვითო.

— განა რამდენი თოფი და დამბაჩა დაგვჭირდება პირველი გასვლისას? — იკითხა აქამდე ჩუმად მყოფმა სანაძემ.

— რაც მეტი იქნება, უკეთესია. — წამოიძახეს აქეთ-იქიდან.

— ეს ვიცი, მაგრამ... ასამდე თოფი და დამბაჩა რომ შევავსოვოთ... მერე მტერსაც ავართმევთ რამდენიც გვინდა...

— მაგრამ ასამდე თოფი და დამბაჩა სადღა ვიშოვოთ?

— თუ საჭიროა და ბრძოლა გვინდა, იარაღიც უნდა ვიშოვოთ. ოცამდე შაშხანას მე შევაქუჩებ! ცოტ-ცოტა ყველამ იშოვოს და...

— კი, მაგრამ, ნიკო, საიდან გაქვს შენ ამდენი თოფის შოვნის იმედი? — ღიმილით შეეკითხა სანაძეს ერთი.

— ქალაქში იარაღი რამ გამოლია! რამდენი ბლაცვი გოროდოვოი და ჩერჩეტოვს მოფარებულში... ერთს მაგრად ჩავცხებ თავში და...

ამის თქმაზე ყველას გაეცინა.

— მაშ, როგორ გინდათ, თუ ძალად არ ავართმევთ ვინმეს, ნებით რომელი ბეჩი მოგვიგდებს თავის იარაღს?!

— და შენ გვპირდები ოცამდე თოფის შოვნას? — სერიოზულად გადმოხედა კომიტეტის ხელმძღვანელმა.

— შეიძლება მეტიც შევაქუჩო.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს! — წამოიძახეს აქეთ-იქიდან.

თითო-ოროლა თოფისა და დამბაჩის შოვნა ყველამ ივალდებულა და დაიშალნენ.

* * *

— პრისტავის ნახვა მინდა! — ბოქაულ ჯაფარიძის ბინის სადარბაზო კარებთან ატუხულ პოლიციელს მიმართა ერთმა ახოვანმა ვაჟკაცმა.

— თქვენ ვინ ბრძანდებით? — წინ გადაუდგა პოლიციელი.

— ამას მას ვეტყვი! შენ შედი და მოახსენე! — მრისხანებით ჩახედა უცნობმა პოლიციელს.

პოლიციელი მრისხანებას დაემორჩილა.

ბოქაული ჯაფარიძე ფრთხილი კაცი იყო. უფრთხილდებოდა თანამდებობას, უყვარდა ცოლ-შვილი, მეფე და მისი ხელისუფლება, მაგრამ ყველაზე უფრო სიცოცხლე და თავისი თავი. აქამდე უდარდელად და მშვიდად ცხოვრობდა, მაგრამ ბოლო დროს რომ ეს ქვეყანა აირ-დაირია და ხა-



ლხი გაურჩდა, მისი მშვიდობიანი ცხოვრებაც შეიცვალა. დიდი ხანია რაც განთქმული ჯაშუში შმიკინი მოჰკლეს, გენერალ დრიაგინს ესროლეს. მართალია, დააცილეს და ცოცხალი დარჩა, მაგრამ... ხომ შეიძლება ჯაფარიძეს უმუხტლოს ბედმა და ტყვია არ ასცდეს?! ამიტომ დადის ქალაქში სამი-ოთხი პოლიციელის თანხლებით. საცხოვრებელი ბინის კართანაც ორი პოლიციელი უდგას.

— ვინ უცნობია?! — მკვანედ ახედა პოლიციელს პრისტავმა.

— ვინაობას არ ამხელს, თქვენო კეთილშობილებავ. — მიუგო პოლიციელმა.

— შემოუშვი! — და ჯაფარიძე ჩაფიქრდა. „ვინმე ჯაშუშია“, გაიფიქრა მან. „ვინ ოხერს უნდა მისი სტუმრობა?“ ჯაფარიძე ერთგული პოლიციელია, მეფის მსახური, მაგრამ ჯაშუშები და დასმენის მიმტანი მაინც არ უყვარს. კარგი არ მოაქვს ამისთანა ხალხთან ნაცნობობასა და კავშირს. ჯაშუშებს საიდუმლო პოლიცია და ქანდაკმერია ეტანება და უახლოვდება. ბოქაულს კი ქალაქში წესრიგის დაცვა აქვს მინდობილი... მაგრამ თუ მართლა ჯაშუშია მოსული და დასმენა მოაქვს?! თუმცა შესაძლებელია სულ სხვა განზრახვით მოდიოდეს?! — ჯაფარიძემ რევოლვერი ამოიღო და მაგიდაზე გაშლილი გაზეთის ქვეშ შეაფარა.

უცნობი შემოვიდა და თავის დაკვრით მიესალმა.

მასპინძელმა სალამზე არ უპასუხა, ისე შეაჩერდა და სავარძელში გასწორდა.

— მე ბათუმის მუშათა კომიტეტის დავალებით გეახელით, ბატონო პრისტავო. — უკითხავად წამოიწყო უცნობმა.

— ა! ბათუმის კომიტეტის დავალებით? — და ბოქაულმა იარაღის გამოსაღებად გასწია ხელი, მაგრამ...

— თავის შეწუხებას ნუ ინებებთ, ბატონო პრისტავო! — ხელი არ დაძრათ. — ანიშნა სტუმარმა და, როცა ჯაფარიძე ფერწასული გაიყინა, უცნობი უკითხავად ჩამოჯდა სკამზე. — მართალია, პოლიციის მსახური ბრძანდებით, — მშვიდად განაგრძო მან, — მაგრამ ჯერკერობით ჩვენთვის არაფერი დაგიშავებიათ. იმედი გვაქვს, მომავალშიც ასევე დარჩებით. ამიტომ ჩვენც არ გიცქერით ავი თვალით. თუ ამ საქმეშიც ხელს შეგვიწყობთ და დაგვეხმარებით..

— რა საქმეში? რა გნებავთ ჩემგან? — მოიდრიკა ეს თავმოყვარე ვაჟკაცი.

უცნობმა უთხრა დავალებული:

— მუშათა კომიტეტს იარაღი სჭირდება. ტყვია-წამალი. სად უნდა იშოვოს და შეიძინოს, თუ თქვენისთანა სანდო პირებს არ შეაწყუხებს? რამდენიმე შაშხანა და მისი საყოფი ტყვია-წამალი... დიახ, დიახ. რამდენ-

საც შეძლებთ. მეტის მოცემით მეტ ნდობასა და პატივისცემას დაიმსახურებთ.

— ეს, როგორ? მე, მე იარაღი ავიყარო და... არა. ეს როგორ?! მე...

— ნუ ღელავთ, ბატონო პრისტავო! — ამშვიდებს უცნობი. — ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ თქვენ შეგიძლიათ მშვიდად დაიძინოთ, იაროთ და ისეირნოთ ქუჩაში მცველის გარეშე. მოხსნათ პოლიციელი ბინის კარებთან...

— მაგრამ ჩემს სიცოცხლეს...

— დარდი ნუ გაქვთ. — შეაწყვეტინა სტუმარმა. — თქვენი სიცოცხლის დაცვის პასუხისმგებელი ჩვენი კომიტეტი და ორგანიზაცია იქნება.

ბოქაული ჩაფიქრდა.

— შემოიარეთ ზვალ საღამოს. — უთხრა მან არც თუ ისე კეთილად.

— მაგრამ იცოდეთ, ლალატისათვის საკუთარი თავითა და ოჯახით აგებთ პასუხს! — და სტუმარი გამოეთხოვა.

მეორე საღამოს ნიკო სანაძემ ოთხი შაშხანა და ექვსი ღამბაჩა მიიტანა კომიტეტში და ჩააბარა.

ღარბაზში მოწონების ხმა და ტაში გაისმა.

— მაგრამ სანაძეს ამით არ დაუმთავრებია იარაღის შეგროვების საქმე. — განაგრძო ხმაღაძემ. — ახლა მან ორი სხვა ახალგაზრდაც გაიყვანა და მათი თანხლებით შერჩეულ პირებს ჩამოუარა.

სამსახურიდან გადამდგარი გენერალი გაკვირვებული შეხვდა მოულოდნელ უცნობ სტუმრებს.

— გვაპატიეთ! — მიმართა მას სანაძემ. — ჩვენ ბათუმის მუშათა რევოლუციური კომიტეტის სახელით გეახელით.

— აჰ, რევოლუციური კომიტეტის! — შეჰკივლა გენერლის მოხუცმა მეუღლემ და ცახცახი აუვარდა.

— გთხოვთ! — სახლში შეიპატიჟა მასპინძელმა და მეუღლეს ანიშნა, დამშვიდდო. — დაბრძანდით!

სტუმრები სახლში შევიდნენ, მაგრამ დაჯდომაზე უარი თქვეს.

— რა გნებავთ? რით შემიძლია გემსახუროთ?

სხვების მაგივრად ხიკომ უთხრა, რისთვისაც შეაწუხეს მოხუცი გენერალი და უდროოდ სტუმრობისათვის ბოდიში მოუხადა.

— მაპატიეთ, ყმაწვილებო, — თავაზიანად უთხრა მასპინძელმა. — მართალია, სამხედრო პირი ვარ, უკეთ რომ ვთქვათ, ვიყავი, მაგრამ იარაღის ტარება არ მიყვარდა. ერთი პატარა ღამბაჩა მქონდა და სამსახურიდან გასვლის შემდეგ ჩემს დენშჩიკს ვაჩუქე. ასე რომ, ახლა ხელცარიელი ვარ. . სხვა რამით თუ შემიძლია გემსახუროთ... — და ცოლისაკენ მიიხედა.

— გვაპატიეთ! — და სტუმრებმა გენერლის ბინა დატოვეს.

— ახლა ვის მივადგეთ? — ქუჩაში გამოსვლისას შეეკითხა ნიკოს ერთი მხლებელთაგანი

— ვის? ვის და... უბეში რა გაქვს, ასე რომ გამოგბერვია? — თვალი დაატანა ახალგაზრდას ნიკომ.

— არაფერი. ეს ისე...

მაგრამ სანაძე აღარ ჩაეძია, სწრაფად ჩაუყო ხელი უბეში და იქიდან ოქროს ფულებით საფხე ქისა ამოაცალა.

— სად იყო ეს?! ვის მოპარე?! — ისე ამღვრეული თვალებით ჩახედა მან ახალგაზრდას, რომ უკანასკნელს ფერი ეცვალა.

— არა, არ მომიპარავს. პატიოსნებას ვფიცავ, ყველაფერს ვფიცავ, არ მომიპარავს.

— მაშ, სად იშოვე? გამოტყდი, თორემ! — და ნიკომ ჯიბისაკენ წაიღო ხელი.

— გენერლის მეუღლემ ჩამიდო ჩუმაღ. — გამოტყდა საწყალი ბიჭი.

— მეორედ არ გნახო ჩემთან გავლილი! — უთხრა ნიკომ მას და მიბრუნდა, გაუფრთხილებლად შეაღო გენერლის ბინის კარი და შიგ შევიდა.

— ჩვენ რევოლუციონერები ვართ და არა მძარცველები! — მოხუც ცოლ-ქმარს გადახედა მან. — სიმართლისა და ხალხის კეთილდღეობისათვის ვიბრძვით. ასეთებისთვის რომ დავდიოდეთ, — ქისა აჩვენა. — უფრო მეტსაც აღმოვაჩენდით თქვენს ოჯახში... აჰა, ჩაიბარეთ და ნუ იტყვით, რომ ჩვენ უსამართლოდ ვეჭკევით ვინმეს. — ქისა მაგიდაზე დადო და გამოვიდა.

ნიკოს საქციელით მოხიბლული მოხუცი გენერლის მეუღლე გამოვიდა აივანზე და გადმოსძახა:

— გაუმარჯოს რევოლუციას!

* * *

რამდენიმე წუთის შესვენების შემდეგ ხმალაძემ კვლავ განაგრძო საუბარი...

ციხე სავსეა. ბათუმის მუშათა მოძრაობის მთავარი ხელმძღვანელების მეტი ნაწილი შეპყრობილია. მაგრამ რევოლუციური მუშაობა მაინც არ წყდება: კვლავ იმართება კრებები და გაფიცვები, კვლავ ეწყობა გამოსვლები და დემონსტრაციები, კვლავ კლავენ მეფის ჯალათებსა და გაიძვერებს, კვლავ იბეჭდება და ვრცელდება პროკლამაციები.

ბარცხანა, კახაბერი, ფერია, ქობულეთი უჩინარი ქსელით გადაბმიან ერთიმეორეს და წამოწყებულ საქმეს აგრძელებენ.

ხუთასამდე ცალი პროკლამაცია დაბეჭდეს ბარცხანის საიდუმლო სტამბაში. პორფირე ქუჩაძე, ივანე მგელაძე, ილია შარაშიძე და კოწია

წულაძე ედგნენ ამ საქმეს სათავეში. ამოზეჭდრილი ფურცლები დასაწყის-გებლად გაანაწილეს: რამდენიმე ცალი გაიანე ჩხაიძეს გაატანეს ვაშლებით სავსე კალათს ამოფარებული; ალექსი თოფურიაშვილს და ესე წულაძემ ორასი ცალის განაწილება ივალდებულეს, ქობულეთის რაიონში დასარიგებლად ჯემალ ცენტერაძეს გაატანეს ოთხმოცი ცალი, დანარჩენი გიგო ბასილაშვილს ჩაულაგეს სურსათით სავსე ჩანთაში და მურღულისა-კენ გაისტუმრეს.

გიგო ბასილაშვილი მჭედელი იყო, თბილისელი. იგი ბათუმში რკინიგზის შემოყვანისას ჩამოვიდა. ამ გზის მშენებლობაში მონაწილეობდა. შემდეგ მურღულში გადავიდა. სპილენძის მადნეულის მადაროებში დაიწყო მუშაობა. მადაროელები ყველაზე უფრო იყვნენ დაწაფებული ახალ მოძრაობას და ბათუმის მუშათა კომიტეტთან მტკიცე კავშირი ჰქონდათ. ერთ-ერთი ყველაზე გაბედული და სანდო მეკავშირე გიგო იყო. არალეგალური ლიტერატურით მუდამ იგი ამარაგებდა მადაროელებს და ახლაც მას მიენდო ეს საქმე.

პოლიციას, ალბათ, აღებული ჰქონდა ეჭვი და, როცა ბასილაშვილი „ლინეიკით“ აჭარისწყალზე ჩავიდა, მოულოდნელად გაჩხრიკეს, პროკლამაციები უბოვეს, დააპატიმრეს და რამდენიმე დღის წვალეობის შემდეგ ციხეში გადაგზავნეს.

— გადმოგცემთ მის ნაამბობს. — ცოტა ხნის შესვენების შემდეგ თქვა გერონტიმ და ულვაში შეიგრიხა.

„კამერაში ორი პატიმარი დამიხვდა. ერთი ჩემი ნაცნობი, კარგი რევოლუციონერი, გაბედული ვაჟკაცი, მეორე უცნობი, ჩია ტანის სუსტი ახალგაზრდა. ჩემი ნაცნობი მაშინვე გაიყვანეს იქიდან და მე უცნობ ახალგაზრდასთან დამტოვეს. უცნობი შემოგზავნილ ჯაშუშად მივიღე და ავი თვალით გადავხედე. ალბათ, მასაც ასე მოვეჩვენე და ზიზღით შემომხედა, მაგრამ შეკითხვა მაინც არ დაიწარა.

— სადაური ხარ, ბიძია?

— არ არის შენი საქმე!

— რატომ დაგაპატიმრეს?

— თავი გამანებე! — შევუბღვირე მე და ზურგი შევაქციე. ისიც ჩამომეხსნა, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ კვლავ ჩემი ამბით დაინტერესდა. არც ერთ კითხვაზე პასუხი არ გავეცე, მაგრამ რომ არ მომეშვა, ზეზე წამოვიჭერი და საცემრად წავიწიე. ალბათ, შევეტაკებოდით ერთმანეთს, ზედამხედველს რომ არ ჩამოევლო და საჭკრეტში არ შემოეხედა.

მას შემდეგ ჩვენ ერთმანეთისათვის ხმა არ გავვაცია. იგი მუდამ კარგ მოსაკითხს ღებულობდა. გახსნიდა, ამოალაგებდა ყოველ საგანს ბეჯითად გაჩხრეკდა, ზოგს ჭამდა, ზოგს გადაყრიდა. მე ვიჯექი ზურგშექცევით, მაგრამ მის მოქმედებას ცალი თვალით ვუჭკრეტდი.

ერთ დღეს ასეთი მოსაკითხის მიღებისა და გაჩხრეკის შემდეგ მოულოდნელად წამოდგა, მოვიდა ჩემთან და მხარზე დამადო ხელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე მოვიხედე და წყრომით შევხედე.

— ამხანაგო, შენ გიგო ბასილაშვილი ხარ? — მეკითხება იგი. გაკვირვებული შევაჩერდი.

— მურღულში მიმავალი დაგაპატიმრეს?

— ვინ მოგახსენა?! — კვლავ ეჭვით შევხედე მას.

— აი ახლა მივიღე ცნობა ამხანაგებისაგან. შენთან არის და ენდებო.

— კი, მაგრამ ვინ ხარ ასეთი?

— ჩვენიანი ყოფილხარ, ძმაო. ჯულაშვილი გაგიგონია?

— კობა?! შენ შემოგველე, ბიჭო! — წამოვევარდი, მოვეხვიე და გულში ჩავიკარა.

ამ ეპიზოდს კიდევ უფრო საინტერესო ამბავი მოაყოლა გერონტიმ.

— ქარიშხლიანი ბნელი ღამეა. ზღვა ნაპირისაკენ ერეკება ავარდნილ ტალღებს. ქობულეთის მახლობლად ახლახან გადმოსხეს კაზაკებისა და პლასტუნების მოზრდილი რაზმი.

დასცხეთ, დახოცეთ, გადაწვ-გადაბუგეთ ყველაფერიო, აქვთ ნაბრძანები და მთელი სიზუსტით ასრულებენ.

სოფელ ფიჭვნარში, დიდ შარავზაზე, ერთი ჭაბუკი მიიჩქარის. პერანგის უბე გატენილი აქვს რაღაც ნივთებით, რომელზეც ხშირად შეივლებს ხოლმე ხელს და პიჯაკს ისწორებს.

სიბნელეში პლასტუნების რაზმს შეეჩეხა. არც კი უკითხავთ, ვინ არის და სად მიიჩქარის, ისე ჩასცეს ხანჯალი გულში და, როცა ჭაბუკი ღონემიხდილი იქვე დრმა თხრილში ჩაიკეცა, მიატოვეს და სიკვდილს მიანდეს მისი ბედი.

მაგრამ სიკვდილმა ვერ სძლია ახალგაზრდა ვაჟის სიცოცხლეს. სისხლისაგან დაცლილმა მოახერხა თხრილიდან ამოსვლა და გზისნაპირა მოსახლესთან მილასლასდა.

კეთილი გამოდგა პავლე ძიძიგურის ოჯახი. კარი გაუღეს, შეიყვანეს და დახმარება აღმოუჩინეს.

ვინა ხარ და სადაურიო, მომჯობინების შემდეგ ჰკითხეს და შეიტყვეს, რომ იგი მახლობელი სოფლიდან არის. გენერალ ფონდერლაუცის აგარაკზე მუშაობს აგრონომ გიგო ჟღენტან, მის შვილ თენგიზთან აქვს კავშირი და მის დავალებას ასრულებს.

იმ ღამითაც ასეთი დავალებით მიიჩქაროდა. ბარცხანიდან წამოდებული პროკლამაციები მიჰქონდა სოფელ ლელვაში, ალი სტამბოლიშვილი უნდა ენახა, იქიდან ქაქუთში გადასულიყო და ხასან ზოიძესა და ასლან ქარცივაძეს ხლებოდა. უკანასკნელად წყავროკაში გაივლიდა და ასლან კალანდარიშვილს ჩააბარებდა დარჩენილ ფურცლებს.

„სწორედ ამ ფურცლებმა მიშველაო“, იტყოდა ხშირად ცენტერაძე. ისინი რომ უბეში არ მქონოდა, ხანჯლის წვერი მეორე მხარეს გავიდოდაო“.

დავალემა მაინც შეასრულა ახალგაზრდამ. სიარული იღარ შეეძლო, მაგრამ სანდო პირების მეშვეობით ყველაფერი მოაგვარა.

ამის შემდეგ ცნობილი გახდა ახალგაზრდა ცენტერაძე.

— ძალიან ბევრი შეიძლება ითქვას და დაიწეროს ამ ადამიანებზე. — წერაში გართული ჟურნალისტებისაკენ გაიხედა ხმალაძემ. — უნდა დაწეროთ, უნდა დაბეჭდოთ მათი ამბავი. ბათუმში ბევრი გაბედული ვაჟკაცი გვყავდა, მაგრამ ქობულეთშიც არ იყო ცოტა. რეჟებ თხილაიშვილი იქაური წითელი რაზმის ჯგუფს ხელმძღვანელობდა. მის რაზმში იყვნენ სულეიმან დავითაია, კოსტა ტულუში, არიფ ჩაუშ-ოღლი, ალექსანდრე ანთაძე, მიხაკო ქარსელაძე, ვანო ფესვიანიძე და კიდევ მრავალი და მრავალი ვაჟკაცი. თვითეულ მათგანზე თითო წიგნი დაიწერება.

— დაწეროთ, პატივცემულო გერონტი, დაწეროთ! — წამოიძახა კუთხეში ჩამჯდარმა ახალგაზრდამ, რომელსაც სითამამეზე ეტყობოდა, მწერლობას ეწაფებოდა.

— თქვენ მხოლოდ გვიამბეთ ასეთი საინტერესო ამბები და...

— თუ საკმარისად არ თვლით... — გაეღიმა მოხუცს. — ერთ უფრო მხიარულ ამბავსაც გეტყვით და ამით დავამთავროთ.

— გთხოვთ!

— გთხოვთ!

— მინდა გვიამბოთ ლევან გურიელის, ამ ერთ დროს ქებული გვარის „შემარცხენელზე“. გაგვიგონიათ ლევან გურიელი?

— წაგვიკითხავს, წაგვიკითხავს!

— მე კი გვიამბობთ თქვენამდე მოუღწეველ ამბავს.

— გთხოვთ! გთხოვთ! — კვლავ გაისმა ხმები.

ლევან გურიელმა სწავლა-განათლების მიღება რომ ვერ შეძლო და დაიზარა, მეფის სამსახურში შესვლა გადაწყვიტა და იქ დაწინაურება, მაგრამ არც მეფის მთავრობა იყო იმდენად ბრიყვი, რომ გაუნათლებელი კაცისათვის მაღალი თანამდებობა მიეცა. ამიტომ სხვა რომ ვერაფერი გზა გამონახა, პოლიციაში შესვლა გადაწყვიტა და ვახმისტრი გახდა. ვახმისტრი დღევანდელი სერჟანტის წოდებას უდრიდა, მაგრამ როგორც თავადიშვილს, გუბერნატორიც კი „მისი ბრწყინვალეობით“ იხსენიებდა და ხშირად დიდ წვეულებებზეც იწვევდა. ლევანს არ აკმაყოფილებდა ეს პატივი და ოფიცრის ხარისხისათვის იბრძოდა. ამისათვის დამსახურება იყო საჭირო და ეს დამსახურება მან ჯაშუშობითა და მუშა-რევოლუციონერების დევნითა და შეპყრობით მოიპოვა. მიიღო მეფის წყალობა, დაიმშვენა მხრები „პრაპორშჩიკის“ ეპოლატებით და უფრო გათამამდა.

ხალხი მომთმენი და კეთილია, მაგრამ ღალატს არავის აპატიებდა. ერთხელ იანვრის მზიან დილას, როცა მარხილით გოროდოკიდან მოსვლინობდა, ქალაქში შესვლისას დაუხვდნენ წინასწარ მომზადებული ტერორისტები და...

ძალიან ცოტას თუ ეწყინა მისი სიკვდილი. მუშებმა ზეიმი გადაიხადეს. ახალ-ახალი ლექსებითა და სიმღერებით „შეამკეს“ მისი სახელი.

პოლიციამ ფრთები შეისხა, დატრიალდა, დაფაცურდა, მაგრამ მაინც დამაინც თავი არავის გამოუდვია. ისევ მიცვალებულის მიხედვას შეუდგნენ და საკადრისი გასვენების მოწყობა განიზრახეს.

უპირველეს ყოვლისა, ასეთი „ღირსეული“ კაცის ცხედარს ძვირფასი კუბო უნდა შეუკრან და განთქმულ ხელოსანს მიაღწენ.

„ნათესავი გარდამეცვალა და იქ მივდივარ“, — დახვდათ სახელოსნოს კარზე მიწერილი.

„ცოლი მყავს ავად და ვერ ვიმუშავე“, — მეორე ხელოსანსაც ჰქონდა მიზეზი.

„ცოლოურს მივდივარ ქორწილში და არ ვიქნები“, — დაეხარებინა მეზობლისათვის მესამე დურგალს.

მეოთხე ქალიშვილს ათხოვებდა და დაკვეთებს არ ღებულობდა.

მეხუთეს „ისპანკა“ შეჰყროდა და ლოგინში იწვა.

ირბინეს, იარეს, მთელი ქალაქი მოირბინეს, მაგრამ ისეთი ვინმე ვერ იპოვეს, რომ სცოდნოდა კუბოს შეკვრა.

შემდეგ, როგორც იქნა, აღმოაჩინეს ერთი ოსტატი, რომელიც მხოლოდ ურმის თვლებს აკეთებდა და იმას მიმართეს.

— თავის დღეში კუბო არ გამიკეთებია! — კატეგორიული უარი თქვა ოსტატმა და გაუკვირდა, რატომ მაინცდამაინც მე მომადგნენო.

უარი თქვა, მაგრამ არ გაუვიდა. შეპირდნენ, ორმაგად მეტ ფულს მოგცემთო, კარგ მასალას...

ბოლოს და ბოლოს, რა დიდი რამე უნდა ოთხი ფიცრის შეკვრას.

დათანხმდა, დაუთქვა ვადა და შეუდგა საქმეს...

მართლაც არც ისე ძნელი ყოფილა. შუადღემდე გამოკერა გვერდები, ფსკერი და ის იყო სახურავის შეკვრას შეუდგა, რომ სახელოსნოს კარს ერთი პატარა ბიჭი მიაღდა და შიგ შეიხედა.

— გამარჯობა, ბიძია, თქვენი.

ხელოსანმა უსიამოვნოდ გამოხედა:

— საფლავის მკრელს და მეკუბოვეს მუშაობის დროს გამარჯვებას არ ეუბნებიან. — უთხრა ბავშვს და ჩაქუჩი მოიმარჯვა.

— მერე, თქვენ ხომ საფლავს არა სკრით! — შეესიტყვა პატარა სტუმარი.

— მაგრამ კუბოს ვაკეთებ, ჩემო ბიძიკო!

— ვისთვის გინდათ, ბიძია, კუბო? — დაინტერესდა ბავშვი.

— ვისთვის? გურიელი გაგიგონია? ლევან გურიელი. პოლიტიკაში რომ მსახურობდა. ვიღაც მადლიანს ჩაუძაღლებია და ახლა მე მაკეთებინებენ კუბოს მისთვის. გაიგე?

— დიახ, გავიგე.

— ჰოდა, რას იტყვი ახლა? — გაუღიმა ოსტატმა ბავშვს. — ხომ გააკეთო? როგორ მირჩევ?

— ჰო, გააკეთეთ გურიელისათვის კუბო. ერთი კი თქვენთვისაც გააკეთეთ. — მიუგო ბავშვმა და ისე სწრაფად გაუჩინარდა, რომ ოსტატმა თვალიც ვერ ჰკიდა.

— რაო? ეს რა თქვა ამ საძაგელმა. — ჩაქუჩი ხელიდან გაუვარდა მას. — „შენთვისაც გააკეთო“. გასაგებია, ახლა კი ყველაფერი გასაგებია.

წინსაფარი შემოიხსნა, ხელსაწყო იქით-აქეთ მიჰყარ-მოჰყარა, გარეთ გავარდა, დარბაზი დახურა და ცარცით მიაწერა:

„ტიფი შემეყარა, ვიღუპები. შეპირებას ვეღარ ვასრულებ“, — და ორი კვირით გადაიკარგა.

— ვაგონს, რომლითაც ლევან გურიელის ცხედარი მიჰქონდათ, ახალგაზრდებმა უკან მკვდარი ძაღლი გამოაბეს და ისე გაისტუმრეს! — დაამთავრა ხმალოძემ საინტერესო ამბების მოყოლა და... — მადლობელი ვარ. ჩემი ასაკის ადამიანს სათქმელი და სალაპარაკო არ დაეღევა.

მოხუცმა თვალები მილულა და მისუსტებული ხმით განაგრძო:

— უკან გასული წლები და დღეებია. წინ ნათელი მზე და მომავალი. წარსულში სახელოვანი გმირობის ხსოვნა და სახელებია, მომავალში ახალი ადამიანების დიდი მიზნები და ამოცანები. — თვალები ფართოდ გააღო და დაუმატა:

— ვაჟკაცს ორი სახელი უნდა ჰქონდესო, ამბობს ჩვენი ილია. ერთი აქ დასატოვი, მეორე თან წასაღებო. მე მუდამ ეს ორი სახელი დამქონდა თან და ვუფრთხილდებოდი. ერთს ვტოვებ, მეორეს, ალბათ, მალე გავიყოლიებ, მაგრამ მიხარია და კმაყოფილი ვარ, რომ ორივე ერთად მიმშვენებს ხსოვნას.

მოხუცი დინჯად წამოდგა, მადლობის ნიშნად თავი დაუკრა ყველას და ნელი ნაბიჯით ძველი რევოლუციონერების ჯგუფს გაჰყვა.





ჯემალ ქათამაძე ბაღდადის ზეცა

ვლ. მაიაკოვსკის.

მაისის მინდვრებს ხალიჩად კეცავს
და ბაღებს შვენივან ვარდების ფერი.
ღრმა და ლურჯია ბაღდადის ზეცა,
ასე ნათელი და მშვენიერი.

აქ სადღაც ჰყვავის ოცნების ბაღი,
ჟგავილებს ართობს ნიაფი ნელი...
სადღაც აქ შენი ბავშვობა დარჩა,
სადღაც აქ შენი ბავშვობა მღერის.

კლდეზე ჩამორბის ცინცხალა ღელე,
დაცვარულ მოღზე ირმები დგანან.
პატარა ბიჭი ყელს მოიღერებ
და მწვანე ტყეში მიჰყვები მამას...

ჩიტის ყელივით წკრიალებს წყარო,
ლაღად დაუსტვენს ბუჩქებში შაშვი,
მიჰყვები ბილიკს, ღელავ და ხარობ
და დიდი მუზა მოგარდა მაშინ.

ხის წვეროებზე ნისლები დადის,
ბაღდადის ზეცა ჰგავს მწვანე ფარჩას...
ვით უკვდავება, დარდი და მადლი
სადღაც აქ შენი სიმღერა დარჩა.

მერე როდესაც მოადექ კავკასს
და სურნელება ყვავილთა გეცა,
თქვი: — ლექსის მადლი აქედან წამყვა,
ჩემი დედა ბაღდადის ზეცა.

ცა გავსებული ახლა მტრედებით
და გულს ედება სიმღერა ტალღად...
თუ საქართველო არის ედემი,
შენ აქ ედემის ბულბული არ ხარ?!

ბაბუაჩემი

ბაბუა იყო მორწმუნე ღმერთის,
არ გააცდენდა თარავს და ჯამეს,
როცა საწყალი კვდებოდა, მახსოვს,
როცა სიკვდილი ითვლიდა წამებს,
რა მონდომებით,
რა მოწყურებით
სვამდა და სვამდა ათასგვარ წამლებს...
და ჩურჩულებდა რაღაცას თვისთვის
და აღარ სწამდა ხოჯა, თარავი...
ხშირად მეტყოდა: — ცხოვრებით, შვილო,
ჯერ არ გამძღარა ქვეყნად არავინ...
მე გამიკვირდა, ასი წლის კაცი
სიკვდილს ებრძოდა, მკაცრი და ხასი.
მაშინ ვიყავი პატარა ბავშვი
და არ ვიცოდი სიცოცხლის ფასი.

პოეტის გული

რა არის მართლა პოეტის გული,
როგორ განიცდის ტკივილს და ვნებას,
პატარა ვარდის ჰკლავს სიყვარული,
ჩიორა ჩიტის აჰყვება ნებას.
მისი ფიქრების, ოცნების შარა
არ იზომება საზომით, არა.
დიდი პოეტი უდრის ღუნიას,
თუმცა პატარა ჩიტის გული აქვს...
და ატირდება, ვით ჩვილი ბავშვი,
კარგი ლექსისთვის თუ ერგო ტაში...
და ღღეღღამე იმაზე ფიქრობს,

რადაც მთავარი ვერა თქვა თითქოს.
და ასე მიდის დღეები მისი.
ცხოვრება დიდი, მღელვარე, რთული
და სანთელივით დნება და იწვის
დიდი პოეტის პატარა გული.

ნუ გეშინია

ღია სარკმელში შემოდის ქარი
და სურნელება შემოაქვს ველის
და თმას მიწეწავს, ვით ანცი ქალი,
ქარი ქირქილა და საყვარელი.
ცაზე იშლება ნისლების ფარდა,
ზღვაზე დაეშვა თოლია მშვიდი,
მერე იელვა და მეხი კართან
დაეცა, როგორც ყუმბარა დიდი.
შენ ღია სარკმელს იმ წამსვე ხურავ
და გეშინია მეხის და წვიმის,
შეხედე, როგორ სცივა ბელურას,
შენს ფანჯარასთან წივის და წივის,
გააღე კარგო, ფანჯარა, წვიმის
ნუ გეშინია, ნუ, ნუ სრულიად...
და იმ მეხისგან, ყურიც რომ წივის,
ის სიჭაბუკის დასასრულია.



ნოღარ მოღვაძე

დ ა ბ რ უ ნ ე ბ ა

რვასართულიან მშენებარე სახლს კიბე არ ჰქონდა და ისინი ფიცარნაგს შეჰყვნენ. სართულის ყოველ ბაქანზე და ოთახებში სამშენებლო ხელსაწყოები ეყარა. შეუღესავ კედლებს ოთხკუთხა ჭდეები აჯდა და გეგონებოდა, ბრიკეტები ერთმანეთზე უღუღაბოდ დაუწყვიათო.

ღრუბლიანი დღე იყო. მზე მხოლოდ დროდადრო გამოიხედავდა და მაშინაც შეუტრეხულ ცაზე წვიმის სუსხი იგრძნობოდა. სწორი ქუჩები და ვეებერთელა კორპუსები ზემოდან თავისებურად ლამაზი ჩანდა. არც ისე შორს, შენობის მიღმა, მოლივლივე ზღვა იშლებოდა და სანაპიროს მწვანე ზოლი გასდევდა.

ისინი ორნი იყვნენ. წინ მიმავალი ორმოცდაათი წლისა იქნებოდა. დაჰმუჭნილი კეპი, რომელიც თავზე დაუდევრად ეხურა, ჭაღარა თმას ნახევრადაც ვერ უფარავდა. გამოხუნებული კომბინეზონი ეცვა, ჯიბეჩამოფლართული. იგი თავდახრილი მიაბიჯებდა. ოდნავ შეკრული წარბები შინაგან განსჯასა თუ ღრმა ფიქრებს ამჟღავნებდა, თითქოს რაღაც საბოლოოდ ვერ გადაეწყვიტა, თითქოს გუნებაში თავის თავთან ვერ შეთანხმებულიყო. და ეს პირქუში გამომეტყველება მის სათნო, თბილ სახეს თოვლის ფიფქით ეფინა. იგი ვერ გრძნობდა უკან მომავალის დაჟინებულ მხერას, რომ მის ყოველ მოძრაობას თვალს ადევნებდნენ, როგორც საშიშ, მოსალოდნელი ფატერაკის გარდუვალ წუთებს. თანამგზავრი ორი ნაბიჯით იყო დაშორებული, ზოგჯერ იგი ათი ნაბიჯითაც დაშორდებოდა, როგორც დამნაშავე, რომ შემთხვევისთანავე გაქცეულიყო. მაგრამ თანამგზავრი გაქცევას არ აპირებდა.

— გიმუშავნია ოდესმე? — ჰკითხა ჭაღარა მამაკაცმა გაბზარული ხმით.

პასუხმა რამდენიმე წამით დაიგვიანა.

— არა.

ჭალარა მამაკაცმა ჩაახველა, რომ დაეფარა უქმაყოფილო გრძნობა. თანამგზავრს, ვინ იცის, მერამდენედ ეკითხებიან, თუ გიმუშავიაო. და როცა უპასუხებს არაო, ვერ მიმხვდარა, რატომ მაშინვე დადუმდებიან და ისეთი შეგრძნება იპყრობს, თითქოს დანაშაული პირველად ახლა ჩაედინოს.

როცა კანტორიდან გამოვიდნენ, იგი შეცბუნებული იყო; რა ძალამ მოიყვანა აქ, რა ძალამ აიძულა თავისი სურვილის წინააღმდეგ ემოქმედა. იგი არ ტყუოდა, როცა თქვა, არ მიმუშავიაო, მუშაობას არც აპირებდა. როცა მოსწავლე იყო, ცხოვრების გზას არ აცდესო, შეიბრალებს და საშუალო სკოლა დაამთავრებინეს. მაგრამ საშუალო სკოლის დამთავრებიდან ერთ წელსაც არ გაველო, რომ დამნაშავეის სკამზე აღმოჩნდა...

მას შემდეგ ხუთი წელი გავიდა.

მამა გარდაცვლილიყო, დედას მუშაობა ღამის დარაჯად დაეწყო, უმცროსი და საშუალო სკოლას ამთავრებდა. ოჯახს სიღატაკე ოდნავადაც არ ეტყობოდა; ორი რკინის საწოლი, ძველი მაგიდა და სამი სკამი, მაგიდის გარშემო რომ იყო შემოწყობილი, ისევ ისე ელავა, თითქოს მისი წასვლის შემდეგ არავინ შეხებოდეს. კედლებს ალაგ-ალაგ წვიმის ჩამონახონი შავი ზოლები გავლებოდა. როცა კარები დაუკითხავად, ფეხისკვრით გააღო; დედა კუთხეში დაბალ სკამზე იჯდა და თავის ბამბის ქურთუკს კემსავდა. სახეზე არც გაკვირვება და არც სიხარული გამოხატვია — შეილს ცივად, ეჭვით შეხედა. ამ მომავდინებელ დუმილში რამდენიმე წამმა გაიარა. იგი კარებთან გაქვავებული; ენადაბმული იდგა და ამ ხუთი წლის მანძილზე პირველად შეეკუმშა გული, პირველად იგრძნო, რაღაც შორეული და თანაც ახლობელი ტკივილი.

— ჩამოდი, გოგი?! — დაარღვია სიჩუმე დედამ.

— როგორც ხედავ.

დედის ხმაში გამოხატული ღმობიერება უეცრად ცივმა, უტყვმა მზერამ შეცვალა.

— რას აპირებ? — გაისმა მისი მზერასავით გამჭოლი ხმა.

იგი არ ელოდა ამ კითხვას, არ ეგონა, დედა თუ ნახვისთანავე ამას ჰკითხავდა. რას აპირებს?... ამ კითხვაზე არასოდეს გაუცია პასუხი. შეიძლება ეს გარეშეს ეკითხა და არა დედას. შინისაკენ მომავალი, არავითარ სინდისის ქენჯნას არ გრძნობდა. მართალია, ბიჭების შესახებ არაფერი იცოდა, მაგრამ ისინი ხომ ქალაქში იქნებოდნენ და ხმას უბატონოდ ვერაზინ გასცემდა. როცა ვაგონიდან გადმოვიდა, თვალი სადგურის ბაქანს მოავლო, თითქოს დამხედურს ეძებსო. მაგრამ ქუჩაში ისე გავიდა, არავინ მოსაღმებია. მისი ძველი შარვალი, გახუნებული ტილოს ხალათი, გაუპარსავი სახე და გაკრეჭილი თავი, ავადმყოფური გამომეტყველება და თვალების თავხედური ტრიალი გამვლელებს აეჭვებდა. მიაბიჯებდა მარტო

და სახლები, გაზონებში ქარდაკრული ყვავილები და ტოტებგაშლილი ხეები თითქოს ხელს ჰკრავდნენ, ახლოს არ იკარებდნენ და, როგორც გამვლელები, ისინიც გზას უთმობდნენ.

დედა ახლა თვალებით ეკითხებოდა, რას აპირებო.

მან ჩემოდანი კუთხეში დააგდო და კარებში გაიღალა. გარეთ ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს უცხო ქალაქში, უცხო ქუჩაზე იყო. ქუჩას ორივე მხარეს მაღალი სახლები გასდევდა. იქ, სადაც წინათ ფეხსაცმლების შემკეთებელი ჯიხური იდგა, მინისკედლებიანი მაღაზია გაეკეთებინათ. იმ ჯიხურში იყრიდნენ ბიჭები თავს, ისხდნენ და ლაყბობდნენ, ქალიშვილებს გაუქირდავს არ გაუშვებდნენ. აი ის ადგილი, სადაც ძველი შენობის სარდაფში ჩაძვრებოდნენ და ნახევრად ბნელში კამათლებს აგორებდნენ. ახლა აქ ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი წამოუჭიმავთ. სახეშეცვლილი ჩანან ადამიანებიც, თითქმის ყველა უცნობია. ფეხით შემოიარა მთელი ქალაქი, გაიხსენა ძველი ადგილები, ათვალიერებდა ვიტრინებს, ხედავდა პირმოცინარე ქალ-ვაყებს, მაგრამ ნაცნობთაგანს არავის შეხვედრია. ვილაცამ შემთხვევით მხარი გაჰკრა და იგი ზამბარასავით მოიმართა, მაგრამ... ეს რომ წინათ მოსვლოდა, ალბად, შეაკვდებოდა კიდევ. ახლა თავს ძალა დაატანა და მგზავრს მხოლოდ თვალი გააყოლა.

— გოგი, — უცებ დაუძახეს მას და დაძაბული სხეული მოეშვა. — როდის ჩამოდი, გოგი?

იგი ხელმარცხნივ შებრუნდა. მაღაზიის წინ თენგიზი იდგა.

— დღეს.

მათ ერთმანეთს მხოლოდ ხელი ჩამოართვეს. გოგი მოხვევას აპირებდა, მაგრამ თენგიზი უკან გადაიწია, მოერიდა, რომ ისინი ერთად არავის დაენახა, თითქოს შერცხვა კიდევ.

— ჩვენი ბიჭები სად არიან? — ჰკითხა გოგიმ.

— ბიჭები?..

თენგიზმა მხრები აიჩეხა, ფერმკრთალი ლოყები წამოენთო.

— გივი ციხეში ზის.

— არ გამოსულა?! — გაკვირვებით შესძახა გოგიმ.

— არა. თამაზი სწავლობს, მესამე კურსზეა. თემურმა ცოლი მოიყვანა, მგონი, მეთევზედ მუშაობს, კარგა ხანია არ მინახავს.

— შენ?

— მე?...—თენგიზმა თვალი მოარიდა და განზე გაიხედა, — ინსტიტუტში ვსწავლობ.

გოგიმ თავი დახარა, ბრაზისაგან ლოყებზე ალი მოედო, მაგრამ ვერაფერი თქვა და, როცა შებრუნდა, ჩაესმა თენგიზის ხმა, „ნახვამდის!“ მან მხოლოდ თვალი გააყოლა მიმავალს. იმედგაცრუებული, დამბლადაცემუ-



ლივით უსუსური იყო. იგი საშინელმა განცდამ შეიპყრო ეგონა, დადგა სამაგიეროს ზღვევინების ჟამი. არავის არ აპატიებს მოტყუებას და სიტყვის გატეხას... იგი ქუჩის კუთხეში გაჩერდა, აქეთ-იქით გაიხედა, მაგრამ გაოგნებული ვერაფერს ხედავდა. გადასასვლელზე ავტომობილები მისრიალებდნენ. მის გვერდით ხალხი შექუჩულიყო. იგი ზიზზით განერიდა ხალხს და მაშინაღუთად მიაჩერდა მოპირდაპირე შენობას. აქ წინათ ორსართულიანი სახლი იდგა პატარა ეზოში. რკინის რიკულებიანი ჭიშკარი ქუჩაში გამოდიოდა. ეზოს ბოლო კუთხეში, ქუჩის პირას, წყლის კიოსკი იდგა. გოგი აეყუდებოდა წყლის კიოსკთან და სივარეტის კვამლში გახვეული იცდიდა. როცა სკოლაში გაკვეთილები მთავრდებოდა, ხელი ნაბიჯით მომავალ გოგონას შენიშნავდა და მაშინვე საფარიდან გამოვიდოდა. გოგონა მისი დანახვისას ნაბიჯს აუჩქარებდა და ეზოში გაუჩინარდებოდა. ბევრჯერ უფიქრია, გაეჩერებინა იგი, ან ისეთ ადგილას დახვედროდა, რომ გოგონას დამალვა ვერ მოეხერხებინა, მაგრამ ყოველთვის გამბედაობა ღალატობდა.

— ნეტავ, სად არის იგი? — უნებლიეთ გაიფიქრა მან.

ნაფიქრი მწვავე და მტკივნეული იყო, უფრო კი მოულოდნელი. გაბოროტებული გულის კუნჭულში აციმციმდა მკრთალი შუქი, გაანათა მის შიშმა ბნელი და უსასრულო სივრცე და, ვით ამომავალი მზის სიკაშკაშე, ისე აელვარდა დაკარგული იმედი. იგი თითქოს უგრძნობლად იდგა, მაგრამ წამით შეჩქრიალებული გული გამალებით მუშაობდა. ახლა მას აღარ ამოქმედებდა შურისძიების ცეცხლი, არც სამაგიეროს ზღვევა. თვალწინ ედგა ხალხმრავალი ქუჩა, ქუჩის გასწვრივ ხის მესერი და მზის მოლივლივე სხივებში გახვეული ლოყაფაკლებული გოგონა, თითქოს იგი მოდის, რომ შეხვდეს, მოესიყვარულოს. იმავე წამს, როცა ეს მოჩვენება ხელშეახებდად იხილა, გულზე ჩაქუჩივით დაჰკრა სამაგიეროს ზღვევის წადილმა...

მეორე დღეს ქალაქის მილიციიდან უწყება მოუვიდა. გოგი ადრე დილით ადგა, მაგრამ სახლიდან ჯერაც არ გამოსულიყო. წასასვლელი არსად არ ჰქონდა და არც არავინ ჰყავდა გულის მესაიდუმლე. როცა საწოლში იყო, დედამ ისევე ჰკითხა, რას აპირებო. გოგის პასუხი არ გაუცია. ეს კითხვა ახლა თავად დაუსვასაკუთარ თავს და უწყება ხელში ნაღვლიანად შეატრიალა, თვალებში უნდობლობა და ფარული გესლი გამოეხატა. იგი დანაშაულს არ გრძნობდა. იცოდა კიდევ, რისთვის გამოიძახეს მილიციაში, მაგრამ არ უნდოდა პირი ეჩვენებინა, რომ ვინმეს ემორჩილება. ქალაქის მილიციის უფროსის კაბინეტში დაუკითხავად შევიდა. კარებთან შედგა და კარის ამყოლს მიეყრდნო. სიამაყე დაკარგა და უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მილიციის უფროსმა მშვიდად, მრავლისმეტყველად შეხედა. სახეზე ნაკვთი ოდნავადაც არ შერხევია, პაპიროსის ნაფაზი მთელი ძალით დაარტყა, კვამლი ბოლქვებად გამოუშვა და

თეთრ, მღვრიე კვამლში გაეხვია. გოგი გაუნძრევლად იდგა, უწყების ცი-
სფერი ფურცელი ჯიბიდან ამოაძრო, შენიშნა, ჯიბეში დაჰმუჭმნოდა და
მოერიდა მისი გამოჩენა.

— რას აპირებთ? — ჰკითხა მილიციის უფროსმა. პაპიროსი საფერ-
ფლეზე დარეკა და გასწორდა. — მუშაობას როდის იწყებთ? — დასძინა
მცირე ღუმილის შემდეგ და ხელი ისევ საფერფლისაკენ წაიღო.

გოგი გაშეშებული იდგა. იგი რატომღაც მკაცრ შეხვედრას ელოდა.
პასუხისათვის რამდენადმე მოემზადა კიდევ, მაგრამ მილიციის უფროსს
ხმაში სიმკაცრე ოდნავადაც არ ეტყობოდა.

მილიციის უფროსი პასუხს ელოდა.

— რა თქმა უნდა, პატივცემულო უფროსო, — დაარღვია ღუმილი
გოგიმ.

— ვნახოთ, — თქვა მილიციის უფროსმა და სკამის საზურგეს მიეყრ-
დნო, — ვნახოთ, — გაიმეორა მან.

— მაგრამ სად დავიწყო, განა მე...

— ნუ გეშინიათ, სამუშაოზე მიგიღებენ, მიმართეთ მშენებლობის
ტრესტს.

გოგი გარეთ ლოყააწითლებული გამოვიდა. ბრაზი ახრჩობდა. ვერ
გრძნობდა, რომ ხელები მომჯილა და აქეთ-იქით ისე იცურებოდა, თითქოს
ჩხუბი სურსო. გამვლელები თვალში არ მოსდიოდა, მათი ზიმზიმი, ხმაუ-
რი, სახეზე გაფენილი ღიმილი აღიზიანებდა. ქუჩა ფართოა, ქალაქი დიდი,
იგი არავის კითხავს რას აპირებს და ნურც მას ეკითხებიან რამეს, ნურვინ
უყურებს ეჭვის თვალით. სიბრაზისაგან ნაბიჯს აუჩქარა, თითქოს უნდა
გაეცალოს აქაურობას, ხალხის ფეხის ხმა კი უკან მისდევს, მათ ღი-
მილს ვერსად ემალება. მათი ხმაური — ჩუმი და ზოგჯერ გულის მომაკ-
ვდინებელი, დაძაბულ ნერვებზე შხაპუნა წვიმასავით სცემს. გოგი ჭადარს
მიეყრდნო, წამით შეისვენა. ეზოდან ალუბლის ხეს ტოტი გადმოეყო, ხო-
ლო ტროტუარზე ჩარიგებული ჭადრები წყნარად შრიალეზდნენ. ქუჩის
თავში საწიგნებებიანი გოგონები გამოჩნდნენ, თეთრი ბაფთები თავზე პეპ-
ლებივით ასხდათ, პატარა ფუნთულა თითები მელნით გასვროდათ. სახე-
ზე უმანკო ღიმილი გაჰფენოდათ და ტუტუნებდნენ. მერე მათი ჟრიაღუ-
ლი ძლიერმა ხმაურმა შთანთქა — უფროსკლასელი ვაჟები შუა ქუჩაში
გადადიოდნენ, ხორხოცობდნენ. გოგი გულგრილად იდგა. უცებ სისუსტე
იგრძნო, მუხლები მოეკვეთა. შენიშნა, ცისფერკაბიანი ქალიშვილი მოდი-
ოდა. მოაბიჯებდა თავდახრილი. გოგის თითქოს ეცნო იგი, თითქოს მას
ძალზე ახლობელი სახე ჰქონდა, მაგრამ ვინ იყო იგი? ქალიშვილმა მხრებ-
ზე აწეწილი თმის ტევრი ხელის ნელი მოძრაობით გაისწორა და სწორედ
თითების ეს ნაზი მოძრაობა, მისი ღუმილიანი გამომეტყველება საცნაური
გახდა. ხუთი წლის შემდეგ ისევ ხედავს მას. როგორ არ ჰგავს იგი სუსტ,

გამხდარ გოგონას, რომელსაც ხან თმა ჰქონდა აწეწილი, ხანაც ფეხსაცმლის ქუსლები მოღრეცილი.

ქალიშვილმა გვერდით ჩაუარა. გოგის სახეზე იდუმალი სიბრაღული ეხატა, მიაჩერდა მოწყენილი თვალით ისე, როგორც ამ ხუთი წლის წინათ, და ვერ მიმხვდარიყო, რა უფრო ძლიერი იყო წარსულის გახსენება თუ მკაცრი სინამდვილე. ერთი გულით ქალიშვილის შეჩერება, გამოლაპარაკება დააპირა, მაგრამ როგორც წინათ, ახლაც ფეხი ვერ მოიცვალა. ავტობუსში მგზავრს ფულს უშიშრად წაპნიდა, ქალებთანაც თავი მოჰქონდა, ხოლო სიტყვის დაძვრა უჭირდა ამ ერთ ციკქნა გოგონასთან. იდგა და უყურებდა მიმავალს. გვერდით ბაფთიანმა გოგონებმაც ჩაუარეს. იგი ვერ იტყოდა, რა გრძნობამ გაიღვიძა მასში. ეს გრძნობა უცხო იყო, მაგრამ საკუთარ სახეზე რომ შეეხედა, ალბათ, მიხვდებოდა, რომ თვალებში მშობლის სითბო ედგა.

და სკოლიდან მოსულიყო და მეცადინეობდა. დედა სადილს ამზადებდა. გოგი დამნაშავესავით დაჯდა მაგიდის კუთხეში. მერე სახლიდან აღარ გასულა, აღრე დაწვა. დედა შელამებისას წავიდა. შვილს კარებთან მოუხედა, გოგის არ დაუნახავს მისი მზერა, მაგრამ იგრძნო, დედა კარებთან იდგა. შემდეგ ნელი ნაბიჯით გამოემართა და უსიტყვოდ სასთუმალთან სამმანეთიანი დაუდო, თავშალი გაისწორა და წავიდა. გოგიმ ფულს დახედა, ჯიბეში კაპიკი არ უჭყოდა — რაც ფული ჰქონდა, გზაში შემოეხარჯა. იმედოვნებდა, ჩამოსვლისთანავე ფულს ბიჭებთან იშოვიდა, მაგრამ... ფულს მხოლოდ თითებით შეეხო, უნდოდა აეღო, ვერ გაბედა, თითქოს ვიღაც უთვალთვალებდა და ალებისთანავე ხელზე წაეტანებოდა. რა ჯობს, ფული ხელუხლებელი დაახვედროს დედას, თუ... ბოლოს გადაწყვიტა ფული აეღო და გაიფიქრა, დაეხარჯავ, შემდეგ კი ორმაგად გადაუხზიდო. მაგრამ ფული მაინც არ აუღია, ბალიშის ქვეშ შესწია, რომ არ გადმოვარდნილიყო. ალბათ, დედამ შეატყო, ჯიბეში კაპიკი არ მოეძეოდა. დღეს სადილზე, როცა დედა მაგიდას აწყობდა, გოგიმ კერძს თვალი ვერ მოსწყვიტა. პირზე მომდგარი ნერწყვი სულს უხუთავდა, მუცელში რაღაც საშინლად წვავდა. ეტყობა, ფერი დაეკარგა, თორემ საბრალო დედა არ ეტყოდა, ჭამეო. გოგიმ მაინც ვერ გაბედა პურის გატეხა. მხოლოდ ახლა მიხვდა თავის უსუსურობას: სხვის ხელზეა შეჩერებული და მოწყალეობასავით ელოდება, როდის ეტყვიან, ჭამეო.

იგი იწვა და ფიქრობდა. ოთახში ბნელოდა და ფანჯრიდან ღამის ციალი შემოდოდა. დას ეძინა, და ოთახის მყუდროებას მისი მშვიდი სუნთქვა არღვევდა. დედა ახლა მალაჩიის წინ ზის ქურთუკში გახვეული და, ალბათ, თვალები ებლიტება. გოგი კი თბილ საწოლში მოკალათებულია და ძნელად ნაშოვნ ფულს ართმევს. კედლისაკენ გადაბრუნდა, რომ არ ეფიქრა. მას არასოდეს უფიქრია და ფიქრი ეჯავრებოდა. ახლა ხელშესახებად ხედავდა ყველაფერს. ხვდებოდა კიდევ მის საიდუმლოებას.

რა იოლი ყოფილა დაინახო საკუთარი თავი, შეხედო შენს ყოველ დღეს და იცოდე მისი კარგიც და ცუდიც. არა, არ სურს იფიქროს, მაგრამ ვიღაც აიძულებს, ვიღაც ჩასაფრებია და წყლის ნაკადივით ესვრის ფიქრებს.

კმარა! მოთმინების ფილა აივსო. მან იცის, რა გააკეთოს და როგორ იმოქმედოს. თავი დაანებონ, მისი საქმეა იმუშავებს თუ არა. მარტო კაცი თავს ყველგან გაიტანს. ადამიანების კმაყოფილი სახე და ღიმილი გულს უკაწრავს. ვისაც სურს, იგი დატკებს მათი მშვენიერი ღიმილით.

გათენებისას ჩასთვლიმა და მაშინაც ოთახში დედა შემოვიდა. ბავშვებს ძილი არა დაეუფრთხოო, კარი ფრთხილად შემოაღო, გაიხადა ქუროთუკი და გოგის ნაღვლიანი თვალით დააცქერდა, ყელთან საბანი შემოუკეცა და თმაზე შეუმჩნევლად გადაუსვა ხელი. გოგის არ ეძინა, მხოლოდ თვალი ჰქონდა დახუჭული და დედის მოძრაობა არ გამოპარვია. არ ფიქრობდა შეეხედა, მაგრამ რაღაც შინაგანმა ძალამ შეატოკა, მერე კი თვალიც გაახილა.

დედა მაშინვე გასწორდა.

— მოხვედი?! — თქვა გოგიმ და უძილობისაგან შეშუპებული თვალი მიაპყრო.

— ჰო! — ყრუდ მიუგო დედამ და საწოლს გაშორდა. დაღლილობისაგან მისავათებული მაგიდას დაეყრდნო. სახე მკაცრი ჰქონდა, თვალები — ცივი.

გოგიმ გვერდი იცვალა; გულალმა დაწვა და ჭერს მიაჩერდა. სახეზე იდუმალი ფიქრები ეხატა. ზოგჯერ მკაცრად მოკუმული ტუჩებიც შეუტოვდებოდა. თვალი ჭერისათვის არ მოუშორებია, ნელი, ნაღვლიანი ხმით თქვა:

— დედა, ფულს მალე დაგიბრუნებ!

— არა, შვილო, ფული შენ გქონდეს, არ მინდა, მაგრამ... — დედას ხმა გაეზარა, — სამუშაოს უნდა მოჰკიდო ხელი. რას იტყვის ხალხი. მე სამშენებლო სამმართველოში ვიყავი, ვთხოვე, სამუშაო მოგცენ.

გოგიმ ეჭვით გადახედა.

— შვილო, გზას ნუ აცდები, კარგად დაფიქრდი, რას სჩადიხარ!

„რას აპირებ“, მოესმა დედის ლაპარაკში მილიციის უფროსის ხმა. ინსტინქტურად თავი გააქნია, რომ ეს ხმა ყურთასმენიდან მოეშორებინა. მაგრამ წამით ჩამოვარდნილ სიჩუმეში გუგუნევით გაისმა ხალხის ხმაური, ავტომობილების გრიალი, თითქოს მთელი ქალაქი აქ შეგროვილიყო, ფანჯრის წინ. გუგუნი შემოდირდა ფანჯრისა და კარების ღიობებში, აწყდებოდა კედლებს. იგი გრძნობდა, რომ ეს იყო მოჩვენება, მაგრამ მაინც გაქცევას ცდილობდა. ხალხის ხმაური არ წყდებოდა, დიდი და პატარა, მოხუცი და ახალგაზრდა, ყველა ქუჩაში გამოსულიყო. გოგი კი მირბის და გაიძახის: „თავი დამანებეთ, მომეშვით!“ მაგრამ მის ყვირილს ყურს არაჰინ უგდებს, ხელი გაუშლიათ, გზას უღობავენ. და ეს საშინელი წარმოდ-



გენა უეცრივ შეიცვალა; ახლა სკოლიდან მომავალ გოგონებს ხედავს, თმებზე ბაფთა პეპლებივით ახით, მათი სიცილი მზის ათინათს ჩამოგავს. მოდიან, მოაბიჯებენ და ისევ ხედავს... ცისფერკაბიან ქალიშვილს; ჯერ პატარას, შემდეგ მხრებზე გაფენილი თმის ტევრით. გოგის უნდა დაუძახოს, გააჩეროს, მაგრამ ქალიშვილი ზედაც არ უყურებს... შენდება და ინგრევა ეს წარმოდგენები, ძალა არ შესწევს თვალი გაუსწოროს ყოველივე ამას.

— დედა, — წამოიძახა შიშით მან, მაგრამ ვიდრე რამეს იტყოდა, ხმას დაუწია, — დედა, წავალ, ვიმუშავებ...

როცა სამშენებლო სამმართველოდან გამოვიდნენ, მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ უცნაური რამ გააკეთა. არ სჯეროდა, თუ სამუშაოს დაწყება ითხოვა. ეგონა, დაცინვით ან უარით შეხვდებოდნენ მის თხოვნას, ჰკითხავდნენ, უმუშავნია თუ არა, მაგრამ ეტყობა, დედას ყველაფერი უთქვამს. სამშენებლო სამმართველოს უფროსმა მშვიდად მოუსმინა, მერე თავი ასწია და ასევე მშვიდად უთხრა, განცხადება დაწერეთო, თანაც ელექტროლილას თითი დააჭირა. ოთახში ჯერ საქმის მწარმოებელმა ქალმა შემოიხედა, სამშენებლო სამმართველოს უფროსმა რალაც ანიშნა და ცოტა ხნის შემდეგ კარი ჭალარა მამაკაცმა შემოაღო. გოგი ამ დროს განცხადებას წერდა. დაელოდნენ, ვიდრე განცხადებას დაწერდა, მერე ჭალარა მამაკაცმა ხმადაბლა უთხრა, წავიდეთო.

ისინი სულ მალე ავიდნენ. ერთ მხარეს ამოყვანილი კედელი ფრთამოტეხილი ფრინველივით გამოიყურებოდა. მუშები ერთ კუთხეში მოკალათებულყვნენ და ისვენებდნენ. თითქმის ყველა ახალგაზრდა იყო. ჭალარა მამაკაცის დანახვისას ფეხზე წამოდგნენ. გოგის ქვეშ-ქვეშ შემოხედეს, ცნობისმოყვარედ. ჭალარა მამაკაცმა ორი მათგანი განზე გაიხმო და რალაც უთხრა. ამ დროს რახრახი გაისმა და ვეებერთელა ამწე ამოძრავდა. ქვევით ვიღაც ჩაქუჩს მძლავრად სცემდა, ვიღაც რკინას ადულაბებდა, ვიღაც მღეროდა. ეს კლდესავით მღუმარე შენობა უეცრად გამოცოცხლდა. ჭალარა მამაკაცი ისევ გოგისთან მივიდა. ამწემ მათ რახრახით გადაუარა თავზე და კაუჭზე წამოგებულ ბაგირს ჰაერში მიარხევდა.

— ფრთხილად იყავი, ფათერაკს არ გადაეყარო! — უთხრა ჭალარა მამაკაცმა გოგის და მკლავზე ხელი მოჰკიდა. — შენ დღეს აქ იმუშავებ, კარგი ბიჭები არიან, — თვალი შემპარავად შეავლო და დასძინა, — მოწინავე ბრიგადაა, სირცხვილი არ ჭამო. თუ რამ დაგჭირდეს, მე აქ ვარ, — ბოლო სიტყვები მშობლიური სიტყვითი თქვა და წავიდა.

გოგი ერთხანს გაშეშებული იდგა. ცოტა არ იყოს, ეჭვი შეეპარა, ნათლად დაინახა, რომ მათთან ვერ გაძლებდა. სჯობს ახლავე გაეცალოს აქაურობას. ის იყო, წასვლას აპირებდა, რომ მაღალმა სუსტმა ბიჭმა ხელი დაუქნია, აქ მოდიო. გოგის ბრაზი ყელში მოეხჩინა. ნამდვილად აიგლო

ამოდენა კაცი ბავშვი ჰგონია. ჰმ! არ იციან, ვინ არის იგი, თორემ... მა-
ლალმა სუსტმა ბიჭმა ახლა ხმამაღლა დაუძახა, აქ მოდიო. გოგი უნებლად
ეთ გაემართა მისკენ, შემოუარა დაწყობილ ბრიკეტებს და მის წინ
გაჩერდა.

— ბრიკეტები გადმოზიდე, — უთხრა ბიჭმა და ბრიკეტის დასაწყობი
ადგილი უჩვენა. მერე გადაიხარა და ამოყვანილი კედლის სისწორეს დააკ-
ვირდა. მერე თავისი ნახელავით კმაყოფილმა წაუღიღინა. გოგის ტუ-
ჩები მოეკუმა, თვალები ანთებოდა და რაღაც მღვრიე ბურუსში იყო გა-
ხვეული, და ამ ბურუსში მხოლოდ მაღალ სუსტ ბიჭს ხედავდა; იგი გაეჭა-
ნება, ყელში წვდება და ძირს ჩვარივით ისვრის. შესცქეროდა და ბოროტი
აზრები ტვინს უღრღნიდა. განაზრახის შესრულებისათვის მხოლოდ წამი
იყო საჭირო, მაგრამ...

— რას ელოდები? — უთხრა ბიჭმა.

გოგის ამ სიტყვაში მეგობრული ტონი ენიშნა, თუმცა ძალზე შორე-
ული და მჭრქალი, მაგრამ მაინც მეგობრული. სწორედ ამ ტონით ეძახ-
დნენ წინათ მას ბიჭები და მასში რამდენადმე მორჩილება იგრძნობოდა.
ეს უპირატესობა მას ლმობიერს ხდიდა. ახლაც ამ მეგობრულმა ტონმა
დაიმორჩილა — მოკუმული ტუჩები გახსნა, გონება გადაეწმინდა და, თი-
თქოს მზეს გამოეხედოს, ისე განათდა ყველაფერი. დაინახა, ბიჭები უსიტ-
ყვოდ მუშაობდნენ, არც ქვისა და არც ვედროს აღებას თაკილობდნენ. მა-
ლალმა სუსტმა ბიჭმა ხელები შარვალზე გაისვა და გოგისაკენ შებრუნდა.


— ცუდად ხომ არ ხარ? — ჰკითხა მან.

— არა! — თავი ჯიქურ გააქნია გოგიმ.

— წამოდი, — მკლავზე ხელი მოჰკიდა ბიჭმა, — შეუძლებელი არა-
ფერია, წამოდი.

გოგი თანახმა იყო გაჰყვოდა, მაგრამ სიჯიუტე ვერ დაძლია. ბიჭი
გრძნობდა, რომ ეს ახალბედა უცნაურად გამოიყურებოდა, მასში ორი
კაცი იყო, ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგე. ხელი, რომელიც მის მკლავზე
ედო, არ ჩამოუღია, არც მეორედ უთქვამს, წამოდიო. დაელოდა, ვიდრე
დამშვიდდებოდა. გოგიმ ამ ყურადღებაში თავისი მოქმედების გამარ-
თლება დაინახა და მორჩილად გაჰყვა.

— აი ეს ბრიკეტებია გადმოსატანი, — უთხრა ბიჭმა კუთხეში დაწყობილ
ბრიკეტებზე. ბრიკეტები ორიოდ მეტრზე იყო გადასატანი. გოგის
სახეზე ჯიუტი, უკმაყოფილო გრძნობა გამოეხატა. არასოდეს უფიქრია და
ვერც წარმოიდგენდა, თუ ბრიკეტის გადაზიდვა მოუხდებოდა. ბიჭი კედელთან
მივიდა, ხის ვეებერთელა ყუთიდან დუღაბი ამოიღო და ამოყვანილ
კედლის პირს დაასხა. მერე ზემოდან ბრიკეტები დააწყო. გოგი მისი მუშაობით
გაერთო. თანაც გული ბრიკეტების გადასატანად ეწეოდა. აქეთ-იქით
გაიხედა, ნაცნობთაგანი არავინ იყო. ბიჭმა ბრიკეტს ძებნა დაუწყო.
მაგრამ რომ ვერ ნახა, გოგისათვის არც შეუხედავს, თავად მოიტანა ბრი-
კეტი. გოგი ელოდა, ბიჭი კვლავ ეტყოდა, ბრიკეტი მოიტანეო, ბიჭს კი



არაფერი უთქვამს და გოგიმ უნებლიეთ ბრიკეტი ბრიკეტზე დაადო, დადო ხარა და, როცა ორივე ერთად აიღო, წაიბორძიკა. არ ეგონა, ასე მძიმე თუ იყო.

— რას შვრები! — შესძახა მაღალმა ბიჭმა.

— არაფერია, — ძლივს მიუგო გოგიმ.

— მოიცა, — უთხრა ბიჭმა და ზედა ბრიკეტი ხელებშუა ააცალა, — თავს რატომ იკლავ, თითო-თითო გადმოზიდე.

გოგიმ მყისვე სიმსუბუქე იგრძნო და წინააღმდეგობის გაწევა არ უფიქრია. შემდეგ რამდენიმე ბრიკეტი თითო-თითოდ გადაიტანა. ბოლოს, ბრიკეტი ბრიკეტზე ისევ დადო და ორივე ერთად აიღო. მაღალმა სუსტმა ბიჭმა ისევ დაუძახა, რატომ შვრებიო. გოგის ყურადღება არ მიუქცევია. ბიჭებმა ერთმანეთს გაკვირვებით გადახედეს. გოგიმ ბრიკეტები მაღალი სუსტი ბიჭის გვერდით დადო და ხელები შარვალზე გაისვა. სახეზე სიამაყე ეტყობოდა.

— ახალია, — თქვა ერთმა.

— ღონიერი ჩანს, — დასძინა მეორემ.

— ზარმაცი არ უნდა იყოს, — დაასკვნა მესამემ.

გოგიმ შინაგანი ძალა იგრძნო. კიდევ ერთხელ გადაიტანა ორი ბრიკეტი ერთად. მერე აქოშინებული გულის დასამშვიდებლად წამით შეჩერდა და დააკვირდა მაღალ სუსტ ბიჭს, რომელსაც კედელი ამოჰყავდა. გოგის წარმოდგენა არ ჰქონდა სახლის მშენებლობაზე. ამოყვანილ, სწორ კედლებს ჩვეულებრივ მოვლენად თვლიდა. თურმე... მაგრამ თავისი მორჩილება გულზე მაინც ხენჯად აწვა. ვინმე ამხანაგთაგანი ბრიკეტით ხელში რომ დაენახა, ალბათ, გაშოტავდა მიწაზე. ამ ფიქრმა მოულოდნელად გაუელვა თავში და იგრძნო, თითქოს შეუფერებელ რამეს სჩადიოდა. ბოლო ბრიკეტი უხალისოდ გადაიტანა და ბიჭებმაც შეისვენეს. გოგი მათ ახლოს ჩამოჯდა, ფიცრის თავში. სიგარეტს მოუკიდა და დაჟინებით ეწეოდა. ბიჭები ლაყბობდნენ, ერთმანეთს ამხანაგურად აქილიკავებდნენ, იცინოდნენ. ამ ხნის მანძილზე გოგისათვის არ შეუხედავთ, არც არაფერი უკითხავთ, თითქოს მათ გვერდით არ მჯდარიყოს. სიგარეტს კიდევ უფრო დაჟინებით დაეწაფა. როცა ისინი ხორხოცობდნენ, ერთმა მეორეს ხელი გაჰკრა და ეს უკანასკნელი გოგის დაეჯახა. გოგი შექანდა და, რომ არ წაქცეულიყო, იატაკს ხელით დაეყრდნო. სიგარეტი პირიდან გაუვარდა და ბიჭები კიდევ უფრო ახორხოცდნენ. გოგი ადგა, ხმა არ გაუღია, თვალები ბრაზით აენთო და სახე გაუჰარხალდა.

— რა უსინდისო ხარო! კაცი კინალამ მოკალით, — თქვა მწითურმა, რომელიც აქამდე ბაიყუშვიტ იჯდა.

— რა მოხდა მერე! — აგდებულად მიუგო წამბიძგებელმა.

— როგორ თუ რა მოხდა!

გოგი გაალმასებული იყო, ფეხები გაჩაჩხა, აი ერთ მათგანს დაავლებს

ხელს და ქუჩაში ისვრის. მაგრამ მაღალმა სუსტმა ბიჭმა, რომელმაც შენიშნა გოგის აფორიაქებული სახე, მხარზე ხელი დაჰკრა, გვაპატიე, უნებლიეთ მოგვივიდაო, უთხრა მან. გოგიმ ხელი ჯიქურ მოიშორა და გაბოროტებით ზურგი შეაქცია, თითქოს რაღაც დიდი უბედურება მომხდარიყო. ბიჭები დუმდნენ. ზოგმა მუშაობა დაიწყო. შემდეგ მათ სხვებიც მიჰყვა. გოგი ისევ პირშეკრული იყო.

— თემურ, — დაუძახა მწითურს მაღალმა სუსტმა ბიჭმა, — გადმოიტანე ბრიკეტი.

გოგის უეცრივ გული შეუქანდა, ასე ეგონა, მკერდში რაღაც ჩაწყდა. თემურს ცეცხლმოდებული მზერა გააყოლა. უძლურის სიბოროტემ შეიპყრო, ნეტავ ხელიდან ბრიკეტი გავარდნოდა, ან რაიმე ზიფათი მოსვლოდა. მაგრამ თემურმა ბრიკეტი სწრაფად გადაიტანა და გოგის შეხედა — შენს გასაკეთებელ საქმეს მე ვაკეთებო, ამბობდა მისი თვალები. გაჭარბებული გოგი გაფითრდა და თითქოს საქანელაზე მდგარიყო, ისე შექანდა. აშლილი გონება წინდაუხედავად უბიძგებდა, გადაედგა ნაბიჯი. მერე ამ იდუმალ ბიძგს უნებლიეთ აჰყვა და ისე სწრაფად გადმოიტანა ბრიკეტი, თითქოს ვიღაცას ეჯიბრებო. მუშაობის დამთავრებამდე ერთხელაც არ შეუხსენია და არც ხმა გაუღია.

მუშაობა დამთავრდა. ზოგი კომბინეზონის გამოსაცვლელად წავიდა, ზოგიც ხელ-პირის დასაბანად. გოგის ყურადღებას არავინ აქცევდა. კიბეზე დაეშვა, ჯერ ფრთხილად, შემდეგ კი ფეხების ბრახა-ბრუხით. ქუჩაში სიმსუბუქე იგრძნო და ნაბიჯს აუჩქარა. ქუჩაში გავლა ჭირდა, გოგი მხრით მიარღვევდა ზღვა ხალხს. გახსენებაც არ უნდოდა, რომ დღეს ბრიკეტებს ეზიდებოდა. არა, ამას ვერავისთან იტყოდა და ქვეშეუცნობლად კმაყოფილი იყო. არც მალულად გავლას ფიქრობდა და არც ვინმესთან შეხვედრას ერიდებოდა; ვისაც რა უნდა, ის ჰკითხოვს, მას უკვე სათქმელი აქვს, ვერავინ დაძრახავს. მასში იშვა რაღაც ახალი, რომელსაც გრძნობდა, მაგრამ ვერ აეხსნა. ხელშესახები გახდა წარსული, მისი აუტანელი ტკივილები. თურმე ადამიანებისა ეშინოდა, ეს ფართო ქუჩები ვიწრო ეჩვენებოდა და ვეებერთელა კორპუსები — პატარა.

მას აღარ სურს მარტობა, აღარ სურს განერიდოს ხალხმრავალ ქუჩას და გვერდი აუაროს ნაცნობს. სიამოვნებით გავა შუა ქუჩაში, გამლის ხელებს, ქარს პირს მიუშვერს და გახელებულივით ირბენს, იყვირებს, მან უკვე იცის რა არის სიხარული. გზა! არ შეუძლია ნელა იაროს, არ შეუძლია ამბოქრებული სული დაიოკოს. ასე ჰგონია, თავაწყვეტილი მირბის კიდეც, ხალხი ულოცავს გამარჯვებას, ახალი დღის დასაწყისს. ასე ჰგონია, შეუძლებელი შეძლო!... ტანში აყრუოლებს, სუნთქვა უჭირს, კანკალებს და ვერ გრძნობს, რომ მის არსებობას ვერავინ ამჩნევს. ნეტავ, სად არის ხელჩანთიანი გოგონა, მისი დანახვისას ეზოში რომ ჩაიპარებოდა. ახლაც ზომ აღარ დაემალება?!. უეცრად საყვირისა და მუხრუჭების ძლიერი ხმა



ჩაესმა. შედგა. როცა მძღოლის ყვირილი გაიგონა, მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ მის ფეხებთან „ვოლგა“ დამუხრუჭებულყო. გოგი გამოერკვა, შერცხვა, და ეს სირცხვილი ისე აღებეჭდა სახეზე, თითქოს სირცხვილთან თანშეზრდილი ყოფილიყო. ჩვეულებრივ გადაჭრა ქუჩა და ახლა უკვე სირბილით გაემართა შინისაკენ.

ეზოში ბავშვები თამაშობდნენ, მეზობლის ქალი აივანზე სარეცხს ფენდა. იქით მოხუცები კიბეზე ჩამომსხდარიყვნენ, დამღრალი ხელები ჯოხზე ჩამოეყრდნოთ და ბაასობდნენ. გოგიმ ჩქარი ნაბიჯით ჩაუარა მათ და კიბე აირბინა. კარები დახურული იყო, არც არავითარი ხმა არ გამოდიოდა. წამით შედგა, რომ ძალა მოეკრიბა, შინაგანი ალტკინება დაეშოშმინებინა და კარი ფეხით შეაღო; დედა მაგიდას აწყობდა და პურს ჭრიდა. გოგის დანახვისთანავე ორივე შეცბუნდა, ეტყობა, მის მოსვლას არ ელოდნენ. გოგიმ მათ ეჭვიან მზერას პირი მოარიდა და მტვრიანი პერანგი გაიხადა. ოთახში სიჩუმე დამკვიდრდა, არც ერთმა არ იცოდა, რა ეთქვა. დედამ წვნიანი თეფში მაგიდის ცარიელი კუთხისაკენ გასწია და შვილს ეჭვით შეხედა.

— მოდი, ჩვენთან ერთად ისადილე, — უთხრა მან.

გოგიმ ტანი შეარხია, თითქოს სიცივე იგრძნო, და წვნიან თეფშს გადახედა.

— ჰო, მოშიებული ვარ, დღეს პირში ლუქმა არ ჩამიდგია. დედას ხმა გაეზხარა.

— სად იყავი მთელი დღე?

— სად?.. — ორაზროვნად თქვა გოგიმ და მაგიდას მიუჯდა. დედისათვის არ შეუხებდავს, არ უგრძნია მისი დაჟინებული მზერა, თეფში თავისკენ მისწია და პური გატეხა, — მშენებლობაზე, სადაც გამიშვი.

— მაშ, იყავი?!

— ჰო, ცოტა გამიჭირდა, მძიმე სამუშაოა. მაინცაღამაინც არც ხალხი მომეწონა, კინაღამ გამოვიქეცი.

— არა, შვილო, ჭკუით მოიქეცი, შეეჩვევი მათ და...

გოგიმ მხრები აიქნია, ვნახოთო.

— შეუჩვეველი ხარ, ჯერ მუშაობა გაგიჭირდება. აბა შენ იცი, სიბერეს თუ არ ჩამიშხამებ. ახალგაზრდა ხარ, ყველაფერს მოესწრები. ოჯახში შენ უნდა იყო მამის მაგიერი. შენს დას შენს მეტი ვინ ჰყავს. მას სწავლა უნდა. შენც ისწავლი, თუ კი მოინდომებ!

— ჰო, ნანამ უნდა ისწავლოს!

ეს ხმა ზარის წკრიალივით გაისმა. მოულოდნელი რამ იყო, ვერავინ მიხვდა, ვინ თქვა ეს. ნანა ძმას თვალს არ აშორებდა. იგი მუდამ პირქუში, უხეში ახსოვს, ერთხელაც არ მოფერებია, ვერ იტყოდა, რა იყო ძმის სიყვარული. იგი არ ჰგავდა მისი ამხანაგების ძმებს, მას არასოდეს უკითხავს.

უჭირდა თუ ულხინდა. თავს დამცირებულად გრძნობდა, როცა ჰკითხავდნენ, ძმა თუ გყავსო.

— გოგი, მე შენთვის ახალი პერანგი ვიყიდე, — უთხრა მან დაბალი ხმით.

— მართლა?!

— ჰო, დედას აქვს შენახული.

— ძალიან კარგი.

— დედა დაბადების დღისათვის გინახავს. — იგი ისე ლაპარაკობდა, თითქმის ხელში დედოფალას ესიყვარულებათ.

გოგომ თეფში მოასუფთავა, გასწორდა და სველი ტუჩები ქალაღლის ხელსახოცით მოიწმინდა. რა მცირე დრო გავიდა დილიდან მოკიდებული და ამ მცირე დროში რა დიდი ცვლილება მოხდა. დილას თავს დამცირებულად გრძნობდა, საკუთარ ჭერქვეშ ყოფნა ესირცხვებოდა, არ ფიქრობდა, რა ბედი ეწეოდა საკუთარ დედასა და დას. და აი იგი უფლებამოსილი მამაკაცი გახდა; ოჯახი მისი საზრუნავია. მტერსაც და მოყვარესაც მან უნდა გასცეს პასუხი. აქამდე ერთხელაც არ დაინტერესებულა ავეჯი შეეძინა, ოთახი მოეწყო და სტუმარს დახვედროდა; თუ ვინმე არ შეაწუხებდა, მასაც ეს უნდოდა. თურმე რამდენი რამაა ოჯახში გასაყეთებელი და ეს ყველაფერი მან უნდა გააკეთოს. მამაკაცი ის არის და ეს საქმეც მას ევალება.

ეს ფიქრი სასიამოვნოც იყო და მწარეც. ალბათ, რაც ამ რამდენიმე წამში გაიფიქრა, მის შესრულებას წლები დასჭირდება. არა, ფიქრს არ აჰყვება, ყველაფერს შეძლებისდაგვარად გააკეთებს. იგი გრძნობდა, რომ დედა და და სიყვარულით შემოსცქეროდნენ. დაწოლის წინ ფეხი დაათბილვინეს, საწოლი გაუსწორეს და, ვინ იცის, რამდენჯერ ჰკითხეს, კიდევ ხომ არაფერი უნდოდა. დედამ წასვლისას შუბლზეც აკოცა.

გოგის თვალი არ მოუხუჭავს, უნდა გათენდეს, იყოს დილა, ადგეს და სამუშაოზე წავიდეს, ყველამ დაინახოს, რომ მუშაობა სურს, აქვს ბევრი ფიქრი და მიზანი. რატომ ასე ნელა გადის ეს დრო? ჰგონია, შუაღამეს გადასცილდა. მაგრამ არა, ჯერ ნანა არ დაწოლილა, ისევ წიგნს კითხულობდა. უცებ საწოლი უხეში, აუტანელი გახდა, თითქმის სხეულის ქვეშ ჭიანჭველები დაბობლავდნენ. მას აღარ შეუძლია ამდენი ლოდინი, არ უნდა ძილი, არც ამდენი ფიქრი. კმარა! ისედაც ბევრი დრო დაკარგა!

და ხედავს, ავტობუსში შედის, ხალხი ერთმანეთს აწყდება, ფეხზე დასადგომი ადგილიც არაა. იგი მაინც მიძვრება, თვალები დასისხლიანებული აქვს, სახე—აშლილი. მას უკვე იცნობენ და გზას უთმობენ, ჯიბეებზე ხელს იკიდებენ. გოგი მოხერხებულ ადგილას ჩერდება, თანაც ხელჩანთებს, ჩემოდნებსა და ჯიბეებს ათვალიერებს. ყურადღებას არ აქცევს

მგზავრების ზიზლიან თვალებს. იცის, შიშისაგან ხმას ვერ ამოიღებენ გვერდით ბერიკაცს გადახედა, ეტყობა, სოფლელი ვინმეა; მაღალსაყდურს ორივე ხელით ჩაფრენია და უაზროდ გამოიყურება. გოგამ ხალათის ჯიბეში ორ მანეთს მოჰკრა თვალი. დიდი არაფერია, მაგრამ ცოტას ცოტა მიემატება. ბერიკაცს გვერდით ამოუდგა, ხელი ნელა გააცურა მისი ჯიბისაკენ...

გოგი საწოლში ტყვიანაკრავივით შეხტა. მიმოიხედა, კარგა დიდი დრო გასულიყო. ოთახში გულისგამაჩუყებელი სიჩუმე იდგა. თავი შეაქნია, რომ მუშლივით დახვეული ფიქრი მოეშორებინა. უნდოდა, მაგრამ თვალიდან ვერ იშორებდა ამ საშინელ მოგონებას.

ღამე გატყდა. აღდგომა ცისკრის მოსვლას დაასწრო. უძილობისაგან შეშუპებულ სახეზე ცივი წყალი შეისხა და სამუშაოზე წაუხეხმებლად წავიდა. დილის ნისლში გახვეული ქუჩები თანდათან იღვიძებდა. დღეს უკვე საშინო არაფერი აქვს, იცის რა უნდა გააკეთოს და არავის არ გამოეჩივრება, არავის არ ათქმევინებს, მუშაობა არ შეუძლიაო. გოგამ ფიცარნაგი სირბილით აიარა. ბიჭებს შინაურულად, ხმადაბლა მიესალმა, ხალათი გაიხსნა და ბრიკეტების გადმოტანას შეუდგა. ბიჭები რატომღაც არ ჩქარობდნენ, ზოგს ტანზე ჯერაც არ გამოეცვალა, ზოგიც სიგარეტს მშვიდად აბოლებდა. ცოტა ხნის შემდეგ გოგამ მათი ეჭვიანი მზერა იგრძნო, ეტყობა, შეატყვევს, რომ თავის გამოჩენა სურს.

ერთი საათის შემდეგ ბიჭებმა შეისვენეს, გოგიც გაემართა მათკენ და აი უცებ გაიგონა, ნაცინარიო. რა თქმა უნდა, ეს სიტყვები მას ეკუთვნოდა. აი თურმე რატომ უყურებენ ეჭვით, რატომ არიდებენ პირს. მაშ, ყველაფერი გაუგიათ! ერთი გულით გაქცევა დააბირა, შეიძლება სხვას. მაგრამ მათ არ უნდა გაკვირვებოდათ. როცა ბიჭებმა მუშაობა განაგრძეს, გოგი გაშეშებული იდგა: იმედგაცრუებული და განადგურებული. მას არავინ ავალებს ბრიკეტის გადაზიდვას. რა საშინელებაა, როცა გინდა ტოლბთან საერთო ენა გამონახო, ყველასთან გულთბილად იყო, გაუხიარო შენი ფიქრები, როცა გულში არავითარი ბოროტება არ გიდევს და მაინც უნდობლად გიყურებენ, გინდა და ვერ გაგიმყდვენებია შენი კეთილი სურვილები, ცდილობ და ვერ მიახლოებიხარ მათ. ნუთუ არ იციან რა არის მარტოობა, ყველასაგან მოძულება? რატომ ერიდებიან, რატომ გაურბიან? იგი არაა პირფერი, არ ეხერხება ერთი თქვას და მეორე გააკეთოს, მოვიდა გულწრფელი გრძნობით და ასე გულწრფელი იქნება მუდამ.

მაგრამ გოგის გულისთქმა არავის ესმის. გრძნობს, ამ ვეებერთელა მშენებარე კედლებში იგი მარტოა. რა გულით აიღოს ბრიკეტი? გაუცრუვდა მთელი იმედები. რა თქვას შინ?... რაკი ერთხელ აცდა გზას, ასე გზააბნეული უნდა იაროს?... წავა სახლიდანაც, იგი საკუთარი სინდისის წინაშე მართალი იქნება, მას სურდა სწორ გზას დადგომოდა, მაგრამ ამის საშუალება არ მისცეს.

ადგილს მოწყდა, თვალაჭრელებული კინალამ კედელს მიეხადა და როცა ფიცარნაგზე დაეშვა, მხოლოდ მაშინ მოჰკრა თვალი ბიჭების გაციებულ მხერას. მაგრამ გვიანდა იყო, იგი მთელი სისწრაფით ჩარბოდა ფიცარნაგზე, თითქოს ვიღაც მოსდევდა უკან. ჩქარა, ჩქარა... მაგრამ იგი ქვემო სართულის ბაქანზე წამით შედგა და შიშისაგან კინალამ დაიყვია, ჩათეთილი ლოყები აეფაკლა, ხელები მოწყვეტით დაუშვა და კედელს მიეკრა. მის წინ ჭალარა მამაკაცი იდგა.

— საით, გოგი?

გოგიმ ხმა ვერ გაიღო და თვლებში შეაჩერდა.

— ხომ არაფერი მომხდარა? — დინჯად უთხრა ჭალარა მამაკაცმა.

გოგი ისევ დუმდა.

— წამოდი, საქმე მაქვს, — მშობლის სიტბოთი უთხრა მან. გოგიმ წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია, უნებლიეთ დაემორჩილა ამ ხმაში გამოხატულ იდუმალ სიტბოს. როცა ზემოთ ავიდნენ და ბიჭებს შეხედა, ტანში გააყრუოლა, მუხლები მოეკვეთა. ახლა იგრძნო, რომ არ უნდა წამოჰყოლოდა, ბიჭები ყველაფერს იტყოდნენ. ჭალარა მამაკაცი ბიჭებს მიესალმა, მერე მიუახლოვდა მაღალ სუსტ ბიჭს და გოგისაკენ ნახევრად შებრუნებულმა უთხრა:

— გოგი კარგი ბიჭი ჩანს, მოწაფედ აიყვანე. — თვალი ეჭვით მოჰკრათ, — სირცხვილს არ გვაჰმევს, კარგი კალატოზი დადგება. აბა შენ იცი.

გოგიმ კრინტი ვერ დაძრა. ჭალარა მამაკაცი სხვებს მიუბრუნდა, რაღაც უთხრა მათ და ფიცარნაგს დაჰყვა.

— ვინ არის იგი? — ცოტა არ იყოს, ხმამაღლა იკითხა გოგიმ.

— ყოფილი მუშაა, ახლა ჩვენი ტრესტის პარტიუროს მდივანია.

— ჰო... — აღმოხდა გოგის და დაძაბული სხეული მოეშვა, იგრძნო, რომ ჰაერი არ ყოფნიდა, ფეხქვეშ იატაკი შეერყა.

— გოგი, მოდი აქ, — დაუძახა მაღალმა სუსტმა ბიჭმა.

გოგი ნელი ნაბიჯით გაემართა მისკენ. დილის ნისლი მთებს გადაეყარა და ამოწითლებული ცისკიდური ელავდა. შენობების მიღმა მთვლემარე ზღვაზე ოქროსფერი სხივები ლიცლიცებდნენ. ამწე რახარახით მისრიალებდა. ქვემოდან ისმოდა ერთმანეთში არეული მშენებლების ხმა, ვიღაც რკინას ადუღაბებდა, ვიღაც მღეროდა, ვიღაც იძახდა. გოგი იდგა მაღალი სუსტი ბიჭის გვერდით და ელოდა რას მეტყვისო.

ჯამალ ჯაყელი

გ ე მ ი „ რ ო ს ი ა “

ზღვისპირა ქუჩა!
ეშვება ტრაპი...
და დგას ქათქათა გემი „როსია“.
ზეციდან მოჰქუხს ფირუზის შხაპი
და ოქროსფერი მზე — ტაროსია.

და ჟღერენ ხმები ზღვისა და მიწის
და ცისარტყელა გამა-ზოლია.
მზის დაფიონი ჩახჩახებს, იწვის
და ალისფერად ღებავს თოლიას.

ჩაევილი ქუჩას და გაეშლი ხელებს,
ვწვდები იალბუზს და ამაყ ანძას.
მზე ზღვაზე იმკის აქოჩრილ ველებს,
ტალღებზე ანთებს ოქროსფერ ხანძარს.

შემდეგ ძნასავით აკონავს სხივებს,
ჩაეშვება და ბრიზებს მობერავს,
ცა გადმოთესავს ვარსკვლავთა მძივებს
ზღვისა და მიწის შესამკობელად.

ჩაევილი ქუჩას.
ისე ახლოა
ახლა ეს გემი, მიწა და ზეცა...
„როსია“ თითქოს ჩემი სახლია,

მგვსდევ ტრაპსა და სიმაღლეს ვკეცავ
და ერთგან ვხედავ მთებს გოლიათებს
და მეორეგან—რუსეთის ველებს.
და როს ცისკარი ამოინათებს,
მიწაზე ფერებს რომ აამღერებს,
ჩავეჭიდები გემბანის კიჩოს
და შემართების საოცარ გზნებით
მოვწყდები ადგილს და ჰერი, ბიჭო! —
მივექანები ცისფერი გზებით.

გზას გაუმარჯოს თბილსა და ცისფერს . . .

ბევრი რამ მრჩება გემბანის გაღმა,
ბევრს ვაგვიანებ, ბევრიც ადრეა.
ბევრჯერ შხუილით მომეჭრა ტალღა,
სამუშზე მკერდი შემიჯანდრია.
გამოუწყწავს, როგორც ფაფარი,
თმები ჭაღარა, იქნებ სვიანი,
მომისმენია, როგორც ზღაპარი,
სევდა კრწანისის და ბასიანის.
მაგრამ ყოველი არის წარსული
და მისი მოსჩანს მხოლოდ საპირე.
ორღანის ქედი გადაპარსული
მიმზერს და სალამს არც კი ვაპირებ.
რა ვუყოთ მერე, თუ ვაგვიანებ
ანდა ადრეა, ბევრიც, ეგება.
გზებს შემოდგომა ანაგვიანებს,
ხმელი ფოთლები ფეხქვეშ მეგება.
მამასადამე, ვარ მოგზაური,
ფერთა სულებად იქცნენ იანი —
და ყოველ კუთხით მხვდება ზღვაური
ანდა მუსონი,
ანდა ფიონი.
ბევრსაც ველევი, ბევრიც მელევა
და ანძასავით გრიგალი მარხევს.
ყოველდღე მიწა ახლად მეძლევა,

ყოველდღე ზეცას თვლებით ვამხელ.
და მე ვტრიალებ ახლა მორევად,
სიკვდილის შემდეგ მიწამ იცოდეს —
ახლა ძნელია ჩემზე მორევა,
რაკი შენ ხელი გამომიწოდე.
და მე მოვდივარ
და ისე მკაცრად,
რომ ვერაფერი შემატრიალებს.
შენ მე მიწამე ნერვულ კაცად.
მე შენ გიწამე მემკვიდრედ!
ბევრი რამ მრჩება ნაპირის გაღმა,
ბევრიც დაკარგვით გარიყულია.
შემომელეწა მრავალი ტალღა
მაშინ, როდესაც მრავალს სწყურია.
იყო გვაღვა და მაინც არ დავშრი,
როგორაც შენი სული არ დაშრა.
მე ბავშვობაში ვიყავი ბავშვი
და დიდობაშიც დაერჩები ბავშვად;
და ამ ბავშვური სულით და გულით
მოვარდევ სივრცეს ღრუბლის ქულიანს.
გპოულობ, მაინც ხარ დაკარგული,
მპოულობ, მაინც დაკარგული ვარ.
მაგრამ მე ისევ გიპოვი ისე
და არ იქნება ვიცი გვიანი...
გზას გაუმარჯოს თბილსა და ცისფერს,
რომელზეც გხვდება ადამიანი!




ჩვენს პათილაყვან ზღვან, მიყვარხარ

ზღვან, მიყვარხარ ზღვა გულით,
ზღვან, მიყვარხარ სხვა გულით,
შენი საამო ზღვაურით
და უნაპირო ნაპირით,
ეს სიყვარული დავმალე,
შემდეგ შეგხედო რა პირით.
ვეცადე, ბევრჯერ ვეცადე
მეც მევლო ზღვაში მხარულით,
გცოდნია ზღვა დარდიცა და
გცოდნია ზღვა სიხარულიც.
განებიერებულს შენს მკერდზე
შიშველ ბეჭებზე მზე მწვავდა,
გულში ჩაკრული მყოლოდი
მეწადა, გულით მეწადა,
მაგრამ მიხმოვდა თავისკენ
ჩემი ზეცა და... მიწა და...
ერთი პატარა ასული
ისიც თავისკენ მიწვევდა.
ქარში, დარში თუ ავდარში
მისი თვალების მზე მწვავდა,
თურმე იმასაც ვეწადე,
თურმე გულსაც ის ეწადა.
მან შემაყვარა ძალუმად
ჩემი ლამაზი მიწა და,
მისი თვალების სითბოთი
ზამთრის ყინვისგან მიცავდა,

აღბათ, ძალიან ვუყვარდი
მიცადა, ბევრი მიცადა..
და იმ პატარას ამქვეყნად
მართლაც ზღვა გული ჰქონია,
რომ თითისტოლა ასულმა
გაჯობა ამ დიდ გოლიათს.

* * *

სამყარო ზომ ვრცელია იმოდენად
ჩვენი სურვილები ათასჯერ ვრცელია,
ძნელია ცხოვრება მარტო იმედებით,
უიმედობა კი ათასჯერ ძნელია.
სულის სიმარტოვე გუნებას გვიმძიმებს,
სიმხნევეს ვიკრებთ და მეგობრებს ვუხმობთ,
ზომ ასე ძნელია სხეულის სიცივე,
სულის სიცივე კი გვაშინებს უფრო.
გრძელია მანძილი დღემდე დაძლეული,
მაგრამ დასაძლევია ათასჯერ გრძელია,
ზომ ასე ძნელია შიმშილი სხეულის,
სულის შიმშილი კი ათასჯერ ძნელია.
ლამაზი სახეები წამით აგვანთებენ,
ლამაზი სული კი ცეცხლს გვიჩენს უქრობს,
სულის სიმახინჯეს ვუძღვნიტ ანათემას,
ხოლო სხეულისას ავიტანთ უფრო.
სამყარო ზომ ვრცელია იმოდენად,
ჩვენი სურვილები ათასჯერ ვრცელია,
ძნელია ცხოვრება მარტო იმედებით,
უიმედობა კი ათასჯერ ძნელია.





გიორგი კეჭალაძე

ოცდაათი წლის შემდეგ

გოგიმ ჯიბეში პაპიროსი მოძებნა, მერე ფანჯარასთან მივიდა და მოუკიდა.

ავადმყოფი უძრავად იწვა და ჭერს მიშტერებოდა.

— უცნაური ბუნება აქვს ადამიანს, — თქვა მან, — შემოდი თუ არა, მაშინვე გავიფიქრე, აბა გაბედულად თუ მოვა-მეთქი საწოლთან...

— ჰო, — გაიცინა გოგიმ, — არც ისე ადვილია ტიფიანის საწოლთან გაბედულად მისვლა.

ერთხანს ორივენი დუმდნენ. გოგი კვლავ ფანჯარასთან იდგა და პაპიროსს ეწეოდა.

— ლადო გახსოვს? ხელაძე ლადო, ჩემთან რომ მუშაობდა საგარეუბნო კოლმეურნეობაში. მას ერთხელ ყბაყურა ჰქონდა. მითხრეს, გადამდებიაო. მე მაინც თამამად მივედი მასთან და საკოცნელადაც კი წავიწიე. მან მაშინვე მომარიდა სახე, მაგრამ უნდა გენახა, რა უსაზღვრო სიხარულმა გაუელვა თვალებში. ასე, ალბათ, ვერაფერი გაახარებდა მას იმ წუთს.

— დიმიტრი მგელაძემ თქვა, ლადო ჩვენთან „წერა-კითხვაში“ ინსტრუქტორად გადმოვიყვანოთო.

— ალბათ, ჩემს ადგილზე. არა? უფროს ინსტრუქტორად.

— რატომ? მაგ ადგილზე შენ თვითონ იმუშავებ.

მიშა დუმდა.

— წუწუნი არავის უხდება, — თქვა გოგიმ, — მით უმეტეს შენ... მალე მორჩები და კვლავ ჩვენთან იმუშავებ. მორჩა და გათავდა.

მიშას არც ახლა უთქვამს რამე. იგი კვლავ ჭერს შეჰყურებდა უძრავ თვალებით.

— რაზე ფიქრობ? — ჰკითხა გოგიმ.

— ვცდილობ წარმოვიდგინო ის დრო, ოცდაათი წლის შემდეგ რომ დადგება. ავად გახდომის შემდეგ სულ ამაზე ვფიქრობ. უცნაურია, არა?

— არც ისე, — თქვა გოგომ, — შენ გიყვარს ასე შორეულ მანძილზე
ოცნება, — დაუმატა მან ღიმილით, — ოცდაათი წლის შემდეგ მე ორმოცდა-
ცამეტი წლის ვიქნები, შენ ორმოცდაათისა. უმჯობესი არაა, რომ ოცდა-
ოთხის ვიყო, შენ კი ოცის?

— მე მაინც ოცის ვიქნები, — თქვა მიშამ, — მე სულ ოცი წლის
ვიქნები.

გოგი დუმდა.

— ოცდაათი წლის შემდეგ ცოტა ვინმეს თუ ემახსოვრება ბათუმის
საგარეუბნო კოლმეურნეობა „ახალი წამოწყება“. აქ მაშინ მრავალსართუ-
ლიანი სახლები იქნება წამოჭიმული, იქნება ფართო, ლამაზი ქუჩა. ვიღაც
გაახსენდება მაშინ ჩვენი „წერა-კითხვის“ საზოგადოება. ვინღა იქნება
აჭარაში წერა-კითხვის უცოდინარი... მაშინ სადღა ნახავ აჭარაში ჩადრიან
ქალს...

— უფრო მეტიც, — თქვა გოგომ, — აჭარა, გურია, სამეგრელო,
აფხაზეთი დაფარული იქნება ჩაის პლანტაციებით, მანდარინის, ლიმონის
და ფორთოხლის ბაღებით.

— მამაჩემი უკვე მოხუცი იქნება, — განაგრძობდა მიშა, — დედაჩე-
მიც... ისინი მარტონი იქნებიან. ვინ იცის, როგორ გაუძნელდებათ ამხელა
მანძილის მარტო გავლა. დიდი ღრთა ოცდაათი წელი.

— შენ თურმე ისევ წუწუნებ, — შეაწყვეტინა გოგომ, — მე კი მეგონა
ოცნებობდი.

— გოგი, ნუ მიჯავრდები, თუ ძმა ხარ. წინათგრძნობა მაქვს ასეთი,
საშინელი წინათგრძნობა, რომ ამ ტიტს ვერ გადავიტან. მენანება, ვერ
წარმოიდგენ, როგორ მენანება. ჯერ რა მიცხოვრია ამქვეყანაზე... ჯერ რა
გავაკეთე. რა სახსენებელია ის, რომ ერთ წელს კოლმეურნეობაში ვმუშაო-
ბდი, ერთ წელსაც ჩვენს „სოცკულტურაში“. სულ ეს არის ჩემი ბიოგრა-
ფია.

გოგომ ნაძწვი გადააგდო. მერე ახალი პაპიროსი ამოიღო და მოუკიდა.
საწოლისაკენ მოიხედა. დაინახა, რომ მიშას თავი მოსკენ მიებრუნებინა და
მწარედ იღიმებოდა.

— კოლმეურნეობაში შენ ბევრი გცემს პატივს, — თქვა გოგომ, —
განსაკუთრებით ახალგაზრდები, შენ ხომ მათი ბორის ძნელად ხარ. არც
ჩვენთან ყოფილხარ გულსელდაკრეფილი. შენი თაოსნობით არ ჩამოყა-
ლიბდა წერა-კითხვის უცოდინართა საზოგადოების 37 უჭრელი?...

მიშამ მწარედ გაიცინა.

— დიდებული ბიოგრაფია ხარ, ჩემო გოგი, რა მშვენივრად ჩამოთვა-
ლე ჩემი ღვაწლი... მე ჯერ არაფერი გამიკეთებია, არაფერი! გესმის
თუ არა, არაფერი არ გამიკეთებია. მე ახლა ვიწყებდი ცხოვრებას.

— შენ ახლა იწყებ ცხოვრებას და გააკეთებ ათასჯერ მეტს, მაგრამ შენს ასაკში ჩვენ არცერთს არ გავგიკეთებია ამდენი რამ...

* * *

პატარა ოთახში ხუთი ისხდნენ. თხელი მაღალი ბიჭი, რომელიც ბუხართან იჯდა, სწრაფად არიგებდა ბანქოს.

— ბედი გწყალობს, ლადო, — თქვა ერთმა, რომელმაც ეს ხელიც წაავო, — ბანკი გაგიმდიდრდა.

— თუ გაგიგეს შენმა კომკავშირელებმა, რომ ჩვენთან კარტს თამაშობ, ბედის წყალობა მაშინ ნახე, — გაიცინა ვილცამ.

— ლადო რა კომკავშირელია... ასეთი კომკავშირელი ჩვენ ყველანი ვართ.

— თქვენი მდივანი, — თქვა ერთმა, რომელიც ფანჯარასთან ახლოს იჯდა, — მიშა კვაჭაძე, მგონი, აქეთ მოდის. თავს უშველე, ლადო.

ლადომ გულგრილად განავრძო ბანქოს დარიგება.

— ოჰო, თურმე არც კი ეშინია, — თქვა ფანჯარასთან მჯდომმა.

— არ მეშინია, — თქვა ლადომ მშვიდად.

დერეფანში ფეხის ხმა გაისმა. მერე კარი გაიღო და ოთახში მიშა შემოვიდა.

ლადოს არც აუხედავს.

— ოცდაერთია? — იკითხა ახალმოსულმა.

— ოცდაერთია, — მიუგო ვილცამ.

მიშა ახლოს მივიდა და ლადოს გვერდით ჩამოჯდა ბუხრის კიდეზე.

— მეც მომეცი კარტი.

ლადომ ჩამოარიგა ბანქო. მეხუთე მიშას მიაწოდა, მეექვსე თვითონ დაიდო წინ.

ყველა აგებდა. სწრაფად იზრდებოდა მოთამაშეებს შორის თავშეყრილი ფულის გროვა.

მიშას რიგი იყო. მან ხმადაბლა თქვა:

— ბანკი მომეცი...

ლადო წამით შეეყოყმანდა. მერე ბანქო გაუწოდა.

— შენთვის, — თქვა მიშამ.

ლადომ ორი ბანქო ზედიზედ აიღო. მერე მესამეც და ბოლოს ოთხივე ძირს დაყარა.

— წავაგე, — თქვა მან და ფული მიშას მიუხვეტა.

— ოცში ვიყიდე, — უჩურობდა მიშას, — ოცში...

— ვიცი, — ჩუბჩულოთვე მიუგო მიშამ და ადგა. მერე მოთამაშეები მოათვალიერა და ხმამაღლა განავრძო:

— ამ თვის შემდეგ კლუბში პიესა უნდა დავდგათ. კარტის მოთმამა შეეხება. კარგია, რომ შეგხვდით. თქვენზე უკეთეს შემსრულებლებს ვის ვნახავ. აქ 230 მანეთია. ამ ფულს სცენის მოწყობაში გამოვიყენებთ. თუ პიესის დადგმაში მონაწილეობა არ გინდათ, ფულს ახლავე დაგიბრუნებთ. მოთამაშეები გაოცებით შეჰყურებდნენ მიშას.

დილაადრიან იგი უკვე ლადოს ბინაზე იყო.

— სად ვიშოვო ახლა პიესა, — თქვა მან მაშინვე, — ეს რა ხათაბა-ლაში ჩავივდე თავი.

— პიესა? — გაუკვირდა ლადოს.

— ჰო, პიესა... პიესა სასწრაფოდ უნდა ვიშოვო და ის ბიჭები დრამ-წრეში უნდა მივიღოთ. ამის შემდეგ კი ხელიდან ვეღარ დამიძვრებიან. წუხელ მთელი ღამე ამაზე ვფიქრობდი. მეტი გზა არა გვაქვს, პიესა შენ უნდა დაწერო.

— რას ამბობ, მიშა! მე სად შემიძლია პიესის დაწერა?!

— შეგიძლია. ლექსებსა და პატარ-პატარა მოთხრობებს ხომ წერ? კომკავშირელები ყველანი დაგეხმარებით... თუ უარს იტყვი, გაგცემ, იმ ვაჟბატონებთან კარტს რომ თამაშობდი.

* * *

— გახსოვს, გოგი, პიესის ამბავი რომ მოგიყევი? საწყალ ლადოს ერთ კვირაში გამოვაცხოვინეთ პიესა... არც ისე ცუდი გამოვიდა. მთელი სოფელი სიცილით კვდებოდა, სცენაზე რომ დავდგით. ის ბიჭებიც შესანიშნავად თამაშობდნენ.

— ლადო ნიჭიერი ბიჭია, — თქვა გოგიმ, — შეიძლება მისგან მართლა გამოვიდეს მწერალი.

— ეჰ, ბევრია ნიჭიერი ხალხი აჭარაში... გახსოვს ის გოგონა? ლეილა ანთიძე. ჩადრიანი ჩუმად რომ დადიოდა ჩვენს უჯრედში წერა-კითხვის შესასწავლად. მერე გაუგეს და სცემეს კიდევ სახლში.

— როგორ არა, — თქვა გოგიმ ღიმილით, — ლეილა მერე სახლიდან გაიპარა... ახლა თბილისში სწავლობს. ლეილა განათლებული ქალი იქნება.

— ნეტავი ცოლი მაინც შემერთო, — ნაღვლიანი ღიმილით თქვა მიშამ, — მამაჩემი მებრალეობა... შვილიშვილი ეყოლებოდა და ისე აღარ დაიტანჯებოდა, ალბათ...

— ისევ დაიწყე წუწუნი, — შეაწყვეტინა გოგიმ, — მამაშენი კიდევ მოესწრება შვილიშვილებს.

— ვეღარ... ვეღარ მოესწრება.

* * *

გოგის აქამდე წამითაც არ უფიქრია იმაზე, რომ არსებობდა სიკვდილი, დაუნდობელი და მკაცრი, ცივი და დაუნდობელი სიკვდილი. მას ვერც



კი წარმოედგინა, რომ შეიძლება მიშას ვერ გადაეტანა ეს ავადმყოფობა. ვერ წარმოედგინა, რომ იქნებოდა ჩვეულებრივი დღე, ღამე, იქნებოდა სიცოცხლე, იქნებოდნენ მიშას ამხანაგები და მეგობრები: გოგი გეგეშიძე, ლადო ხელაძე, იქნებოდა ლურჯი ზღვა და ბათუმი. შეუღრეკელი გოგონა ლეილა ანთიძე, რომელიც ახლა სწავლობდა წერა-კითხვას, ახალი ცხოვრების ანბანს, გაბედულად მიიწევდა სინათლისაკენ, ებრძოდა წარსულის სიბნელესა და უმეცრებას, როგორც მთელი აჭარა, როგორც მთელი ჩვენი ხალხი... მას ვერ წარმოედგინა, რომ იქნებოდა ყოველივე ეს და არ იქნებოდა მიშა. მას არც უფიქრია ამაზე...

და ახლა ამ საშინელმა წინათგრძნობამ, მიშას რომ დაუფლებოდა, შეაძრწუნა იგი.

გოგი შემოფოთდა, აწრიალდა. მთელ სხეულზე, თითქოს უთვალავმა ჭიანჭველებმა დაკბინესო, განუწყვეტელი ჩხვლეტა იგრძნო. შეშინებულმა მიიხედ-მოიხედა, თითქოს მშველელს უნდა მოუხმოსო. დიახ, მშველელს ეძებდა ახლა გოგი, ეძებდა ადამიანს, რომელიც განკურნავდა მიშას ამ საშინელი წინათგრძნობისაგან, დაიხსნიდა სიკვდილის კლანჭებისაგან, მოაცილებდა ამ დაწყევლილ ტიფს.

— ცუდად ხომ არა ხარ? — ჰკითხა მიშამ, — ფერი დაკარგული გაქვს...

— არაფერია, არაფერი, — თქვა გოგიმ და ოთახში სიარული დაიწყო, — არაფერია...

— მიხვალ დღეს თბილისში? — კვლავ ჰკითხა მიშამ.

— მივდივარ. სადამოს მატარებელზე. სამი-ოთხი დღის შემდეგ დავბრუნდები და ფეხზე უნდა დამხედე, იცოდე, ფეხზე.

გოგის მოეჩვენა, რომ ყალბი ხმით ლაპარაკობდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ მიშა მიუხვდა, რამ შეაშფოთა წელან. ოთახში უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

— ამას წინათ, — თქვა მიშამ, — სოფელში მივემგზავრებოდი. სადგურზე ჩვენს ქალიშვილებს შეევხდი — თეოს, ლიანასა და რუსიკოს. თამროს დღეობაში მიდიოდნენ თურმე. შემომიჩნდნენ, თუ არ წამოხვალ, სამუდამოდ დაგემდღურებითო. წასვლა მაინც არ შემეძლო. იქვე პატარა აჭარელი ბიჭი იდგა და იებს ყიდდა. მე მივედი მასთან და ორი თაიგული გამოვართვი. იები გოგონებს ჩავაბარე, ეს ერთი თაიგული თამროს მიუტანეთ, მეორე კი თქვენ გაიყავით-მეთქი. მაშინვე შემირიგდნენ და ერთი ღერი ია უკანვე დამიბრუნეს და უბის წიგნაკში ჩავიდე. ის წიგნაკი ახლა ბუხრის თაროზე დევს ჩემს სახლში...

გოგი აღარ დადიოდა ოთახში. იგი საწოლთან იდგა და თვალებში შეჰყურებდა მიშას.

ავადმყოფს გაელიმა.

— შენ გიკვირს, ალბათ, რატომ მიყვება ამ უმნიშვნელო ამბავსო
ძალიან უმნიშვნელო ამბავია, მაგრამ ვერ წარმოიდგენ, როგორ მენატრება
ახლა ის ია, იის ერთადერთი ღერი, ჩემს სახლში რომ დევს ბუხრის თა-
რზე, ვერ წარმოიდგენ...

* * *

გოგი ოთხი დღის შემდეგ დაბრუნდა. შინ არც შეუვლია, ქუჩაში
იების თაიგული იყიდა, ჯიბეში ჩაიღო და პირდაპირ მიშას სანახავად გა-
შურა. კარებზე დააკაკუნა და, როცა გაუღეს, ძლივს შეიტანა ფეხები
ოთახში. თაიგული ბუხრის თაროზე შემოღო. მიშას არ დაუნახავს იები.
არც სხვა ვინმეს დაუნახავს ისინი. თვითონ გოგიც ძალიან ცოტა რამეს
ხედავდა და ამჩნევდა მაშინ. იგი ხედავდა მხოლოდ ავადმყოფის საოცრად
შეცვლილ სახესა და მის მშობლებს იაგორსა და პუპის, ფერდაკარგულნი
და შეშფოთებულნი უმწეოდ რომ დაბორიალობდნენ ოთახში. მეტს ვერა-
ფერს ხედავდა. არც დამახსოვრებია რამე ამის გარდა.

* * *

მე მაგიდასთან ვიჯექი და აუჩქარებლად ვფურცლავდი გაცრეცილ
ქაღალდებს, წიგნებსა და რვეულებს. მოხუცი კაცი ჩემს გვერდით იჯდა,
ქალი კი ფეხზე იდგა და ცრემლიანი თვალებით ზევიდან დაჰყურებდა ამ
ფურცლებს.

უცებ მაგიდაზე რომელიღაც ბალახის გამხმარი ღერი დავარდა. ის
იყო, ბალახი უნდა ამეღო და საფერფლეში ჩამეგდო, რომ ქალმა დამასწ-
რო, ფრთხილად აიღო და თქვა:

— ეს ია ოცდათორმეტი წლისაა...

— ჰო, — დაუდასტურა კაცმა და მე შემომხედა, — ოცდათორ-
მეტი წლისაა.

— მიშას კი ორმოცდათორმეტი წელი უსრულდება, — თქვა ქალმა,
— ორმოცდათორმეტი...

წამით გაოცებით შევაღლე თვალი მოხუც ცოლ-ქმარს. უცებ ვერც
კი მივხვდი, რომ ეს მიშას შეუსრულდა ორმოცდათორმეტი წელი, მიშა
კვაჭაძეს, რომელიც გარდაიცვალა ოცდათორმეტი წლის წინათ, ოცი წლის
ასაკში.



ზურაბ შოკილაძე

ბავშვი დაბიდან

მარმარილოში

დატორტმანდა როგორც ჰაერი
მიქელ-ანჯელო, ვერონეზი და რაფაელი.
მინდვრის მუსიკით...

და ბოჰემის მთვრალი ფოთლები,
ფარშავანგების ჭვანგებს მოჰყვა გული ბოდლერის.
და მარტის ტოტებს...

როს რძისფერი ზვირთით ემოსავდი,
ტყეების თავზე წრიალებდა სული მოცარტის.
ორღანოებზე ნაღვერდლოვან თოვლის მთოველი,
მთაწმინდის მთვარეს დაეძებდა თვით ბეთჰოვენი.
როს მწარე მწუხრი ბობოქრობდა ქარის კალთებით,
მზისკენ გარბოდნენ ვან დეიკის მწვანე ლანდები.
და მადონების სიზმრის მსგავსი ფრთების ტლაშუნით,
შემოაშენეს იბერიას სული ბავშვური.

მერე „მერანის“ თვალთა სევდამ ზეცა დაბინდა
და გაჩნდა ბავშვი, ნაღვლიანი, შორი დაბიდან.
მოვარდა ბავშვი!.. ნაწვიმარი კვირტის თვალებით
მოჰყვა მინდვრები... ყვავილები... ლურჯი ჭალები.
და დემონების მაღალ მუხებს, მკლავდაკვალთულმა,
ასწავლა სუნთქვა და ცახცახი მხოლოდ ქართულად.
და ზვიად ფუნჯებს...

ჭვარტლიანი ქონის ხარებამ

მისცა ქართული სისხლისა და მზის მცხუნვარება.

ქრისტეს წუხილით...

და მგზნოვარე თვალთა გიშერი
ცვრიან ბალახზე დადიოდა სულ ფეხშიშველი.
კლდეებზე ჰვრებდა
დაბმულ რაინდს, ტინის ტანიანს,
მერე ტყეები მოსძახოდა — „ამირანია“!
გრგვინავდა ურო...
მქუხარება არა პირველი,
პალოზე ისევ ნებივრობდა ლურჯი ფრინველი.
ჯაჭვის ჟღერიალი ჰგავდა ხანძარს ელვის ტანიანს,
ტყეები ისევ გუგუნებდა — „ამირანია!“
ლოცვით დაღალულ
და დაქანცულ ქალთა სურნელი,
სევდა, ვით სევდა და ტკივილი განუკურნელი.
ნამქერს მიჰქონდა...
ცას მიჰქონდა ტოტი ვერხვისა,
ბედი, რომელიც მას ჰქონდა და სხვას არ ეღირსა.

* * *

ასე დამთავრდა ეს სინორჩე...
ასე დავსრულდით...
სხვა ტყეებს, გორებს გადუფრინეს თეთრმა ქორებმა.
არ შეიძლება დავიწყება წრფელი წარსულის,
არ შეიძლება განმეორებაც.
დარჩნენ სიზმრები და მთხოველი დარჩნენ თვალები,
შორი მინდვრები... ჭვავილები... ნისლის ნამქრობა,
არ შეიძლება დაბრუნება იმ მხურვალეობის,
არ შეიძლება თურმე ჩაქრობაც.
ფხიზელ გონებას შეეჩვია სულის თამაში,
მზეს შემოდგომის მოაქვს ნაზი წვა და დაზრობა,
არ შეიძლება დაბრუნება იმ სილამაზის,
არ შეიძლება ულამაზობაც.
მთვარის რონინი... მდუმარება... სევდა ფარული,
კიდეც ფოთლებში თავანკარა ნამი წკარუნობს,
არ შეიძლება დაბრუნება იმ სიყვარულის,
არ შეიძლება უსიყვარულოდ!...
ასე დამთავრდა ეს სინორჩე, ასე დავსრულდით,
შემოინახა რაღაც ძვირი მწვანე კორდებმა...
როგორ კარგია გახსენება წრფელი წარსულის
და ისიც, რომ ის არ მეორდება.

დაანთეთ დროზე!..

აანთეთ დროზე!..

თორემ ასაკი მიაგავს ლტოლვილს.

როგორ ყვაოდა ყვავილი თოვლზე

და ნაკვალევში დნებოდა თოვლი.

ბობოქარ ბურანს ვაზის თუ ნუშის,

თოვლის მსუბუქი სიზმრები ეყოთ,

ტყეებს ესმოდათ სიმღერა გუშინ,

ტყეებს მტირალი შემორჩათ ექო.

ფერფლად ქცეული ფანტელის სევდას

ნიბლიას თვალი ტიროდა რტოზე,

მთელი სიცოცხლე გეძებნათ ნეტა

და ვერ გეპოვნათ ყვავილი თოვლზე.

სულს უხსოვარი დროიდან სდევდა

მთხოველი მზე და ფხიზელი „არა“,

სინაზის სევდა, სინორჩის სევდა,

მიუწვდომელი მარად და მარად.

დაიფშვნა სისხლში ზარების ზავით

მზე მღვრიე, ფიცხი, ჭარბი და ავი,

როგორ არ მსურდა და მაინც ჰგავდი

თოვლზე ამოსულ თვითნიერ ყვავილს.

ძველი და მძიმე შემოაქვს ფიქრი

ტყეების თავზე გაფრენილ ქორებს,

რომ მოგუნდავე ლანდების რიგი

ამოეფარა გაკვალულ გორებს.

კიდევ ამოვა ყვავილი თოვლზე,

კვალის გარეშე დადნება თოვლი,

ვინღე მოვა და სიხარულს მოგცემს

სხვეწზე მიჩვეულ ჩიტოვით მოვლილს.

დაანთეთ დროზე!

აანთეთ დროზე!

თორემ ასაკი მიაგავს ლტოლვილს.

როგორ ყვაოდა ყვავილი თოვლზე

და ნაკვალევზე დნებოდა თოვლი.



ლეონიდა დედაზე

ახალგვინეური თქმულება

უხსოვარ დროს — ღრმა მოხუცებიც რომ არ მოსწრებიან, — როცა დიდი და მძლავრი მდინარე ფლავი ბებრებს ახალგაზრდობას უბრუნებდა, ახალ გვინეაზე ცხოვრობდა ერთი ქალიშვილი, სახელად დანდაი. იგი ულამაზესი და ყველაზე მხიარული იყო კუნძულის გოგონათა შორის. ყველას ხიბლავდა დანდაი, განსაკუთრებით მაშინ, როცა ტოლებთან ერთად ცეკვავდა ხმელი ბალახის ქვედატანითა და შავ თმებში ჩაწნული ღაღაყა ყვავილებით. სიმღერისა და ტამტამის უღერის ტაქტზე წკარუნობდნენ ტახის ეშვის ლამაზი მძივები და ბრჭყვიალა რგოლები, ხელებსა და ფეხებზე რომ ეკეთა დანდაის.

ერთხელ, როცა დანდაი დაიღალა და ჩამოჯდა, მასთან მივიდა მოხუცი ბუინახი. დედაბერს ხალხი პატივისცემით და შიშით ეკიდებოდა. ამბობდნენ, მას ესმისო ფრინველთა და ნადირთა ენა, ესაუბრება ქარსა და წყალსო.

— შენ ახლა იცინი, დანდაი, — თქვა ბუინახმა. — რა თქმა უნდა, შენ ახალგაზრდა და ლამაზი ხარ. მაგრამ ყოველთვის ასე როდი იქნება. ერთ დროს მეც ვიყავი ლამაზი. წლები მაგ მუქ თმებზეც ჩამოთოვს, აღარ იკიაფებს შენი შავი თვალები, სახეს კი ნაოჭები დაგიფარავს. რაღა გავაგრძელო, ისეთივე იქნები, როგორიც მე ვარ ახლა: ბებერი და უსახური.

დანდაიმ გადაიკისკისა:

— მერე რა, ჩვენი კეთილი მდინარე ფლავი ახალგაზრდობას დამიბრუნებს. შენც ხომ ისარგებლე მისი სიკეთით.

— ჰო, — ამოიოხრა დედაბერმა, — ჩემმა მეორე ახალგაზრდობამაც ჩაიარა, ხოლო ფლავი მხოლოდ ერთხელ გვიბრუნებს მას.

— დანდაი! უ-უ-უ! დანდაი! — ეს მაიკასი ეძახდა გოგონას, კუნძულის ყველაზე ლამაზი, ყველაზე გაბედული, მამაცი და შრომისმოყვარე ჭაბუკი.



ის იყო ცეცხლისა და ახალგაზრდობის დღესასწაული იზეიმეს, რომ დანდაი მაიკასიმ შეირთო. ახლა იგი აღარ ცეკვავდა ტოლებში, აღარ ეცალა გრუზა თმების ყვავილებით შესამკობადაც. ოჯახი ლერწმის ქონში ცხოვრობდა. ცოლ-ქმარი ერთად მუშაობდა მინდვრად, ერთად ზრდიდნენ ბავშვებს.

დანდაი ექვსი შვილის დედა იყო. იყო... რადგან უფროსი ბერი-ბერის გადაყვა, მეორე შხამიანმა გველმა შეიწირა, მესამე — აზობოქრებულმა მდინარემ, მეოთხე ჯუნგლებში დაიბნა და დაიკარგა, მეხუთე კი ტყის ხანძრისას გაიგულა. დარჩა დანდაის ერთადერთი — ყველაზე უმცროსი შვილი ლეიტუკი. დანდაის იგი გაგიჟებით უყვარდა და თან დაჰყავდა, უმღეროდა მშვენიერ სიმღერებს.

ერთხელ მაიკასი ჯუნგლებში პალმას ჭრიდა, წაქცეული ხე დაეცა და შინ აღარ დაბრუნებულა. მას შემდეგ დანდაი დილიდან საღამომდე მარტო მუშაობდა ყანაში. სწრაფად და შეუმჩნევლად შეეპარა დანდაის სიბერე. ეს მან პირველად მაშინ დაინახა, როცა გამჭვირვალე ჭის წყალში იხედებოდა, შავი თმები გაჭალარავებოდა, სახე კი დანაოჭებოდა. „მალე წავალ კეთილ მდინარე ფლაისთან და ვთხოვ დამიბრუნოს ახალგაზრდობა, — გაიფიქრა დანდაიმ, — ვეტყვი რაოდენ ძნელია ჩემი ცხოვრება, ვეტყვი, მინდა ჩემმა შვილმა მნახოს ისეთი, როგორიც წინათ ვიყავი. იგი ხომ უფრო შეიყვარებს ახალგაზრდა და ლამაზ დედას.“

ლეიტუკი ექვსი წლის რომ გახდა, დანდაი სამოგზაუროდ მოემზადა, გახსნა ქოქოსის კაკლის გამხმარი ნატუჭი, რომელშიც ეწყო მისი ახალგაზრდობის სამკაულები: ტახის ეშვის მძივი და დიდი ბრჭყვიალა ბეჭდები. დანდაიმ გადაწყვიტა თან წაეღო ისინი.

— მიდიხარ, დედა? — გაკვირვებით ჰკითხა ბიჭმა, — მე არ წამიყვან?

— არა, ამჯერად ვერა, შვილო, — იღუმალად ჩაუჩურჩულა დანდაიმ, — დამელოდე და დავბრუნდები.

ლეიტუკმა თავი დაუქნია.

— პალმის ქვეშ დაგელოდები, დედა!

ძნელი იყო გზა მდინარემდე, რომელიც შორს, კუნძულის სიღრმეში მიედინებოდა. დანდაიმ უდაბნო გადაჭრა. დაღლილ ფეხებს ბასრი ეკლები უკაწრავდა. მერე გადაიშალა ბნელი ჯუნგლები, რომლის გაუვალ ბარდებში ნადირთა ბილიკები მიიკლავნებოდა. მხოლოდ მეორე დილას შორეულ ცივ ნისლში ალაპლაპდა უზარმაზარი მდინარე. დანდაი ნაპირთან გაჩერდა. იგი ძლივს სუნთქავდა.

— ო, წმიდაო მდინარე ფლაი, — წაიჩურჩულა მან, — მე მოვედი შენთან და ისმინე ჩემი ვედრება!

დანდაიმ გაიძრო ხმელი ბალახის ქვედატანი, ნაპირზე დადო ქოქოსის კაკლის ნატუჭი და შავი ნაზი ხელები მდინარისაკენ გაიშვირა. განთიადის პირველმა სხივმა გაუბრწყინა გამხდარი სხეული, ქარმა აუწე-

წა ჭალარა თმები. დანდაიმ წამოიწყო სიმღერა, რომელსაც დიდი ხნის წინათ მღეროდა.

ხნის
ქართული
ლიტერატურა

და ექოს შორს მიჰქონდა ამ სიმღერის ხმა.

— ო, კეთილო მდინარე ფლაი, — ჩურჩულებდა იგი და ნელა ეშვე-
ბოდა მომწვანო წყალში, — შეხედე ჩემს ტანჯვას, შეხედე, როგორ
ვიღვრები ცრემლად, შეხედე ჩემს ჭალარა თმებს. შეხედე, შეხედე და
მაჩუქე ახალგაზრდობა, მდინარე, წმიდაო და ძლიერო!

მდინარე ფლაი უცებ გაძუქდა, ახმაურდა, მაღლა აზიდა მწვანე
ტალღები და შთანთქა დანდაი. მაღე ტალღები უკუიქცა და ნაპირზე გამო-
ვიდა ახალგაზრდა მზეთუნახავი, ბადალი რომ არ ჰყავდა მთელ კუნძუ-
ლზე. იგი შეჩერდა, შეხედა თავის გამოსახულებას წყალში და სიხარუ-
ლით დაიყვირა:

— მადლობა შენ, ფლაი! მადლობა თქვენც, მწვანე ტალღებო! —
დანდაიმ შორს გატყორცნა ჯოხი, რომლითაც შორი გზა გამოიარა მდინა-
რემდე, და ქურციკივით მკვირცხლად გაიქცა მშობლიური სოფლისაკენ.
ეკლიანი კაკტუსები გზას უთმობდნენ მას, ხმელი ბალახი ფეხქვეშ ეფინე-
ბოდა. ლეიტუკი ქოხის გვერდით, ზღურბლთან, პალმის ჩრდილში თამა-
შობდა.

— შვილო ჩემო, შვილო ჩემო!

ბავშვი შესახვედრად გაექანა.

— დედა! დედა!

მაგრამ მყისვე შეჩერდა იმედგაცრუებული და ნაწყენი:

— მე დედაჩემი მეგონე.

დანდაი დაიხარა შვილისაკენ.

— ეს ხომ მე ვარ, შვილო! შენ დედა ვერ იცანი.

ლეიტუკი მწარედ ატირდა.

— წადი, გამეცალე, მე არ გიცნობ შენ! არავინ იყო დედაჩემზე ლამა-
ზი ამქვეყნად. მას ჰქონდა თეთრი თმები და წვრილი ნაოჭები სახეზე.

— დაწყნარდი, შვილო, და დამიჯერე: მე ვარ შენი დედა! კეთილმა
მდინარემ ფლაიმ დამიბრუნა ახალგაზრდობა. შემხედე, განა არ გიხარია,
რომ ახალგაზრდა და ლამაზი დედა გყავს?

ახალგაზრდა დანდაის დაბრუნების ამბავმა მთელი სოფელი მოირბი-
ნა. ისევ ისე, როგორც დიდი ხნის წინათ, სიმღერისა და ტამტამის ხმაზე
დანდაი ცეკვავდა გოგონებთან ერთად. ლეიტუკი იქვე იჯდა, მაგრამ სულ
ზურგს აქცევდა დედას და ტიროდა. დანდაის გული ნაღველით აევსო. მას
ხომ მხოლოდ ლეიტუკისათვის, მხოლოდ მისთვის უნდოდა ყოფილიყო
ახალგაზრდა და ლამაზი.

და დანდაი ისევ წავიდა მდინარე ფლაისთან, ისევ მთელი დღე და ღამე იარა რუხ უდაბნოსა და ბნელ ჯუნგლებში. ისევ მივიდა ნაპირზე, იხადა ხმელი ბალახის ქვედატანი და ჩაეშვა ცივ მომწვანო წყალში. როცა წყალმა მხრები დაუფარა, დანდაიმ თქვა:

— მე, შავი დანდაი, გმადლობ, დიდო მდინარევ, ფასდაუდებელი ახალგაზრდობის დაბრუნებისათვის! მაგრამ უკანვე გიბრუნებ მას, ბრძენო ფლაი. შვილის სიყვარული სილამაზესა და ახალგაზრდობაზე ძვირფასია. ო, მდინარევ, მაპატიე, მაგრამ მომეცი ისევ ჩემი სიბერე!

გამუქდა ბრძენი მდინარე ფლაი, ახმაურდა და მისმა ტალღებმა ისევ შთანთქეს დანდაი. როცა ტალღები უკუიქცა, მდორე მდინარის შუაგულში იდგა მოხუცი ჭაღარა ქალი, ყელზე მიძვითა და ხელზე ელვარე ბეჭდებით.

— მადლობა შენ, მდინარევ! წაიღე ესეც ჩემს სილამაზესთან და ახალგაზრდობასთან ერთად. — და დანდაიმ წყალში ჩაყარა მძივები და ბეჭდები.

როცა დანდაი თავის ქოხში დაბრუნდა, მის შესახვედრად მზიარული ლეიტუკი გამოეჩანა.

— დედა, რახანია არ ჩანდი!

— შვილო, — ჩურჩულებდა დანდაი, — შვილო ჩემო!

მას შემდეგ მდინარე ფლაი არავის უბრუნებს ახალგაზრდობას.

თარგმანი ჭ. ჩავჭეიშვილისა.





სკაზეი ესენიონი

ძ რ მ ხ ა

დაჩაჩანაკდა, კბილეები დასძვრა,
რქებზე ატყვია წლები რგოლებად.
მას მეხრე ბევრჯენ მოექცა მკაცრად
და ემძიმება მოსაგონებლად.

ხმაურს ვერ იტანს, ისე მხდალია,
თაგვის ფაჩუნსაც უფრთხის ბებერი.
თეთრფეხა ხბოზე ჯავრმა დალია,
ის არის მისი სადარდებელი.


პირმშოს ალერსი აღარ აღირსეს,
პირველ სიხარულს დაუხშეს კარი
და ვერხვის ძირში მაღალ მარგილზე
აფრიალებდა ტყავს ნიავექარი.


შვილის ხვედრი ხომ მოელის მასაც,
მალე მისწვდება უწყალო ხელი,
გამოუნასკავს კისერზე ბაწარს,
რომ მერე დანით გამოსჭრან ყელი.

მიწას ჩაასობს რქებს გამწარებით
და ვიდრე თვალი დაიბინდება,
დაესიზმრება თეთრი წარადი
და მწვანე მდელოს აბიბინება.

თუმცა წყურვილი სხვას მოუკალი,
 მაგრამ მე დამრჩა, მე დამრჩა ჯერაც
 შუშისებური შენი თმის კვამლი,
 შემოდგომური დაღლილი ცქერა.
 ო, შემოდგომის ღღეღა მოსწრებაჲ!
 რა არის მასთან ყრმობა, ზაფხული.
 ყაფხარ პოეტის ახალ ოცნებას
 ორგზის წარმტაცად წარმოსახული.
 გული არასდროს ყალბი არა მაქვს,
 ამპარტავნობას ამიტომ ვწყევლი
 და შემძლია გითხრა თამამად
 ხულიგნობაზე ავიღე ხელი.
 ლოთიფოტობას ხარკს აღარ ვუხდი,
 აღარ ვიქნები აწ თავისნება.
 გული დაითრო სხვაგვარი ლუდით
 ძარღვებში სისხლის გასაფხიზებლად.
 მეც ფანჯარაზე მომიკაკუნა
 ტირიფის ტოტმა, ოქრო რომ მოსავს,
 თითქოს მამცნო, რომ ბედმა მარგუნა
 შევხვდე სექტემბრის უბრალოდ მოსვლას.
 ახლა ბევრ რამეს ანგარიშს ვუწევ,
 აღარ ვარ კერპი და მემამბოხე.
 სულ სხვანაირად ვუცქერი რუსეთს,
 სასაფლაოებს და ნაცნობ ქოხებს.
 თვალს ეფარება ფერთა ფერობა
 და ყველგან ვხედავ ღვთიურ წყალობას,
 და მჯერა, შენ ერთს — დას და მეგობარს
 ძალგიძს პოეტის თანამგზავრობა.
 მხოლოდ შენით და შენთვისღა შევძლებ,
 რომ ერთგულების ვისწავლო ფასი.
 შენთვის ვიმღერებ დაბინდულ გზებზე
 და ხულიგნობის მიტოვებაზე.

თარგმნა გიორგი სალუქვაძემ.





იასონ სარსაძე

გმირთა სსრკ-ის უკვლავი

დიდ სამამულო ომში, როცა წყდებოდა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ყოფნა-არყოფნის საკითხი, კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ გადაწყვიტეს წითელი არმიის ეროვნული ნაწილების და შენაერთების შედგენა ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში.

1942 წელს საქართველოში შეიქმნა რამდენიმე დივიზია, რომლებსაც სხვადასხვა ღრის მეთაურობდნენ გენერლები: ვ. ძაბაშიძე, გ. ყუფარაძე, გ. ყურაშვილი, პ. ჩხობაძე, ი. სილაგაძე, მ. ხუბულური, ვ. ლისინოვი.

სამამულო ომის პერიოდში ქართულ დივიზიებს, სხვა მოძმე ერების შენაერთებთან ერთად, საბრძოლო ამოცანის სასახელოდ შესრულებისათვის არაერთხელ დაუმსახურებიათ უმაღლესი მთავარსარდლობის მადლობა.

დიდი სამამულო ომის პირველ ხანებში მოქმედ არმიაში მხოლოდ ერთი—224-ე ქართული მსროლელი დივიზია იყო. 1942 წელს ყირიმის ფრონტის სხვა ნაწილებთან ერთად მას მეტად მძიმე და სასტიკ პირობებში მოუხდა ბრძოლა. მიუხედავად მტრის ჭარბი ძალებისა, სადესანტო ოპერაციების ღრის დივიზიის მეომრებმა არნახული სიმამაცე და სამშობლოსათვის თავდადება გამოიჩინეს. ბევრმა მათგანმა ყველაზე ძვირფასი—სიცოცხლე შესწირა ჩვენი ქვეყნის თავისუფლების დაცვას.

ქერჩი-ფეოდოსიის სადესანტო ოპერაცია იყო პირველი დიდი ოპერაცია, რომელიც 1942 წელს განახორციელა საბჭოთა არმიის ნაწილებმა.

1942 წლის 27 თებერვალს განთიადისას 17-კილომეტრიან ვიწრო ყელში, რომელიც მდებარეობს აზოვისა და შავი ზღვების

შუა, გაიხსნა ყირიმის ფრონტის არტილერიის მძლავრი ცეცხლი. არტილერიას მხარს უჭერდა ავიაცია. 224-ე დივიზიის ნაწილებმა გაარღვიეს მტრის თავდაცვა, შეიჭრნენ გერმანელთა ზურგში და გააფთრებული ბრძოლებით აიღეს სოფლები ჯანტორა, პარპაჩი, ტულუმჩაი და სხვ. სოფელ ჯანტორის ალებისას დივიზიის მეგრძოლებმა აღმოაჩინეს გერმანელების მიერ ნაწამები და კოცონზე დამწვარი წითელარმიელის — ზუგდიდელ გრიგოლ სხულუხიას გვამი. როგორც ცნობილია, გ. სხულუხიას სიკვდილის შემდეგ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

პიტლერელთა წინააღმდეგ ბრძოლაში მამაცობისა და გმირობის უჭკნობი მაგალითი უჩვენეს 224-ე დივიზიის კომუნისტებმა. ბევრი მათგანი ბრძოლის ველზე გმირთა სიკვდილით დაეცა. მათ შორის იყვნენ 143-ე პოლკის გულადი და მამაცი კომისარი აკ. გიორგაძე, პოლკის მეთაური ა. ლევკოვიჩი, ათასეულის კომისრები და ასეულების პოლიტბელები: ბორის ნეფარიძე, დავით მგელაძე, ივანე კასრაძე, ალექსი რუხაძე, დავით ბრეგაძე და სხვ.

1942 წლის მაისში დივიზიის მეთაური პოლკოვნიკი ვ. ძაბახიძე მძიმედ დაიჭრა. ჭრილობების მოშუშების შემდეგ იგი კვლავ სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა და მალე საქართველოში მყოფ 406-ე დივიზიის მეთაურად დანიშ-

ნეს. მაგრამ მას არ ასვენებდა ყირიმის ბრძოლის საშინელებანი და გული იქითკენ მიუწევდა.

1944 წლის იანვრის პირველ რიცხვებში 414-ე ანაპის სახელობის ქართული მსროლელი დივიზია ქერჩის ნახევარკუნძულზე გადაიყვანეს. დივიზიის ნაწილები მოგერიებით ბრძოლაში ჩაებნენ. მაშინ მას მეთაურობდა პოლკოვნიკი (ამჟამად თადარიგის გენერალ-მაიორი) გ. ყურაშვილი, რომელიც ავადმყოფობის გამო თბილისში გადაიყვანეს. 1944 წლის 4 თებერვალს დივიზიის მეთაურად დაინიშნა გენერალ-მაიორი ვ. ძაბახიძე. 414-ე ქართული დივიზიის შემადგენლობაში ჩაირიცხა 224-ე მსროლელი დივიზიის მეგრძოლებისა და მეთაურების ერთი ნაწილი. ახლა დივიზია უკვე სევასტოპოლთან მომწყვდეულ მტერს უტევდა. ქერჩის ნახევარკუნძულიც თავისუფალი იყო, ნახევარკუნძული, სადაც 1942 წლის თებერვალ-მაისში 224-ე დივიზიის სამკვდროსასიცოცხლო ბრძოლები გაიმართა.

414 -ე ანაპის სახელობის წითელდროშოვანი დივიზია, რომელმაც მძიმე კლიმატურ პირობებში 1942 წლის აგვისტოდან დაწყებული უთანასწორო ბრძოლებით გაიარა მთელი ჩრდილოეთ კავკასია, კრასნოდარის მხარე, ტამანის ნახევარკუნძული, ქერჩის სრუტე, ყირიმის მიწა-წყალი და გმირ ქალაქ სევასტოპოლის განთავისუფლებით დაავირგვინა თავისი სახელოვანი საბრძოლო გზა, არაერ-

თხელ იყო მოხსენიებული უმაღ-
ლესი მთავარსარდლის ბრძანებე-
ბში.

1943 წლის 9 ოქტომბრის ი. ბ.
სტალინის ბრძანებაში ნათქვამი
იყო, რომ გერმანელი დამპყრო-
ბლებისაგან ტამანის ნახევარკუნ-
ძულის განთავისუფლების საქმე-
ში დიდი საბრძოლო დამსახურე-
ბისა და განსაკუთრებით ქალაქ
ანაპის აღებისას ბრწყინვალე სამ-
ხედრო ოსტატობის გამოჩენისათ-
ვის 414-ე ქართულ მსროლელ დი-
ვიზიას მიენიჭა ანაპის სახელწო-
დება. ამავე დროს, 22 საათზე მო-
სკოვი მხურვალედ მიესალმა ტა-
მანის ნახევარკუნძულის განმათა-
ვისუფლებლებს — 224 ქვემეხის
ოცი საარტილერიო ზალბით. შემ-
დგომში დივიზია დაჯილდოებულ
იქნა წითელი დროშის ორდენით.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად
ქართველი ხალხი ღრმა პატივის
სცემს ომში დაღუპულთ და ყვე-
ლაფერს აკეთებს მათი ხსოვნის
უკვდავსაყოფად.

სევასტოპოლში, საპუნ-გორაზე
ქართველი მეომრების ძმათა სა-
საფლაოზე აღმართულია 12,5 მე-
ტრი სიმაღლის ობელისკი. ობელი-
სკის წინ დადგმულია ქართველი
მეომრების ბრინჯაოს ქანდაკება,
შესრულებული სკულპტორ ტიტე
ზიხარულიძის მიერ. ძეგლის წინ
ვარდ-ყვავილებით შემკობილი სა-

ფლავის ლოდები აწყვია რომელ-
ზეც ამოკვეთილია ქართველ ვაჟ-
კაცთა გვარები.

1961 წლის 21 ივნისს ობელი-
სკის საზეიმო გახსნას ათი ათასზე
მეტი კაცი დაესწრო. საქართვე-
ლოდან წარგზავნილ დელეგაციაში
შედიოდნენ საქართველოს უმა-
ღლესი საბჭოს თავმჯდომარე
აკადემიკოსი ვ. კუპრაძე (დელეგა-
ციის ხელმძღვანელი), 414-ე ანა-
პის სახელობის დივიზიის ყოფი-
ლი მეთაური გენერალ-მაიორი
ვ. ძაბახიძე და სხვ.

ყოველწლიურად სევასტოპო-
ლის განთავისუფლებისა და ფაში-
სტურ გერმანიაზე გამარჯვების
დღეს — 9 მაისს სევასტოპოლის
მოსახლეობა და შავი ზღვის ფლო-
ტის მეზღვაურები და ოფიცრები
ძმათა სასაფლაოზე აღმართულ
ობელისკთან სახალხო მიტინგს მა-
რთავენ. მათ ტრადიციად გაიხადეს
ამ დღეს პატივი სცენ მშობლიური
ქალაქისათვის გმირულად დაღუ-
პული მეგობრების ხსოვნას.

მადლიერი ქართველი ხალხი
არასოდეს არ დაივიწყებს იმ ქარ-
თველი ვაჟკაცების შეუპოვარ მა-
ცაობას და თავდადებას, რომლე-
ბმაც საკუთარი სისხლით დაწერეს
თავისი უკვდავების ისტორია და
ხალხში უჭკნობი სახელი დაიმკვი-
დრეს.



შოთა ქაჩია

მხატვრული ლიტერატურა აჭარაში დიდი ოქტომბრის 50 წლისთავზე

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია მოასწავებდა ძირეულ გარდატეხას ჩვენი ხალხის ცხოვრებაში. ექსპლოატაციისაგან გათავისუფლებულ მშრომლებს პირველად მიეცათ შესაძლებლობა სრულად გამოეცვლინებინათ შემოქმედებითი უნარი და ენერგია. ლიტერატურაში და ხელოვნებაში მოვიდნენ ახალი ადამიანები — ხალხის დიდი შვილები და თან მოიტანეს ახალი იდეები, ახალი თემები, ახალი სიტყვა. მათ შექმნეს ძირითადი ბირთვი იმ მწერლობისა, რომელიც ისტორიაში შევიდა პროლეტარული ლიტერატურის სახელით და მიზნად ისახავდა ხალხის უანგარო სამსახურს, მისი ძირეული, სასიცოცხლო ინტერესების გამოხატვასა და დაცვას.

მართალია, პროლეტარულ მწერალთა ერთი ჯგუფი (ს. ეული, ნ. ზომლეთელი და სხვ.) ჯერ კიდევ რევოლუციამდე მოღვაწეობდა, მაგრამ ქართული პროლეტარული ლიტერატურის ნამდვილი აღორძინება დაიწყო მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ, როცა შეიქმნა პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია და დაარსდა ამ ასოციაციის ყოველთვიური სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი „ქურა“.

ეს ჟურნალი მთელი ხმით აცხადებდა, რომ პროლეტარიატის ლიტერატურის ხანაში ჭეშმარიტი პოეზია შეიძლება იყოს მხოლოდ პროლეტარული, კომუნისტური და ამ რევოლუციური კლასის ლიტერატურის გატარების როლის შემსრულებელი. ამიტომ იგი თავის უმთავრეს ამოცანად თვლიდა ყოფილიყო „პროლეტარული ლიტერატურის, მხატვრული კრიტიკის და პოეზიის ქართული სამყედლო“ (ჟურნ. „ქურა“, № 1, 1922 წ.).

თავისი მაღალი იდელების განხორციელებისათვის პროლეტარულ მწერლობას მოუხდა მძიმე ბრძოლები გადაეტანა ანტირევოლუციურ-დეკადენტურ ლიტერატურულ დაჯგუფებებთან. ზოგიერთი მათგანი, როგორც მაგალითად, ქართველ სიმბოლისტთა — „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული ორდენი, ჯერ კიდევ რევოლუციამდე, 1915 წელს შეიქმნა, მაგრამ ხელსაყრელი კლასობრივი ვითარების გამო ისევ განაგრძობდა არსებობას, ხოლო ე. წ. „აკადემიური ასოციაცია“ და „ლევდი“ ანუ ფუტურისმი ჩამოყალიბდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ,



როგორც კლასობრივი ძალების ახალი განლაგების რეზულტატი. თუ „აკადემიურ ასოციაციაში“ თავი მოიყარეს პროლეტარიატის გამარჯვებით უკმაყოფილო ელემენტებმა, საზოგადოების ყველაზე რეაქციულ - ნაციონალისტური წრეების იდეოლოგებმა, სამაგიეროდ ქართველი ფუტურისტები მოქმედებდნენ რევოლუციის სახელით და პროლეტარულ მწერლებზე უფრო მემარცხნე პოზიციას ჩემულობდნენ. ფუტურისტების ასეთ საქციელს „სრული გაუგებრობა“ უწოდა ცნობილმა ქართველმა კრიტიკოსმა ივ. გომართელმა და ასეც იყო. ფაქტიურად ისინი, როგორც ანტირეალისტი მწერლები, რეაქციის წისქვილზე უშვებდნენ წყალს და სიმბოლისტებთან და „აკადემიკოსებთან“ ერთად ქმნიდნენ ერთიან ფრონტს პროლეტარული მწერლობის წინააღმდეგ.

თავისთავად ცხადია, პროლეტარული მწერლობა ისე ვერ განვითარდებოდა, ისე ვერ დაიპყრობდა მბრძანებელ მწვერვალს ლიტერატურაში, თუ ვერ მოიგერიებდა სამივე ამ ანტირეალისტურ-დეკადენტური ლიტერატურული დაჯგუფების შემოტევას, თუ ვერ დაძლედა მათ გააფთრებულ წინააღმდეგობას. ამდენად, ქართული პროლეტარული მწერლობის დამკვიდრება-განმტკიცება პროცესი მიმდინარეობდა მძაფრ ბრძოლებში, რაშიც თავის გამოხატულებას პოულობდა მთელ საქართველოში გაჩაღებული მწვავე კლასობრივი ბრძოლა, ბრძოლა ძველსა და ახალს, მომავლედსა და განვითარებადს შორის.

საბედნიეროდ, აჭარაში მსგავსი ანტირეალისტურ-დეკადენტური ლიტერატურული დაჯგუფებანი არ ყოფილა და პროლეტარული მწერლობის შექმნა-დამკვიდრების პროცესიც რამდენადმე თავისებურად წარიმართა. რა თქმა უნდა, აჭარაშიც იგივე კლასები არსებობდა, მათ შორისაც ისეთივე მძაფრი ბრძოლა წარმოებდა, როგორც მთელ საქართველოში, მაგრამ თუ მაინც არ წარმოქმნილა ურთიერთ დაპირისპირებული ლიტერატურული დაჯგუფებანი, ეს ორი უმთა-

ვრესი გარემოებით უნდა აიხსნას: ერთი, იმ დროს, ე. ი. ოციაწი წლებში დამდეგს ბათუმში თითო-ორიოდე მწერალი მოღვაწეობდა, მთელი ლიტერატურული ცხოვრება დღედა და გაღმოდღედა მხოლოდ თბილისში, სადაც თავმოყრილი იყო ქართველ მწერალთა აბსოლუტური უმრავლესობა; შემდეგ, ბათუმში არ იყო სახელმწიფო გამომცემლობა, არ გამოდიოდა არც ერთი ლიტერატურული ჟურნალი ან გაზეთი. მართალია, დრო და დრო მწერალთა ჯგუფი უშვებდა ლიტერატურულ ჟურნალებს, მაგრამ კადრებისა და ლიტერატურული პროდუქციის სიმცირის გამო ისინი ერთი-ორი ნომრის გამოსვლას შემდეგ არსებობას წყვეტდნენ. ამდენად, ლიტერატურული ჟურნალის სახელით ცნობილი „ისპირი“, „კანდელო“ და სხვა გამოცემები ფაქტიურად აღმანახი იყო და არა პერიოდული ორგანო.

მაშასადამე, თუმცა აჭარაში იყო ობიექტური პირობები ურთიერთ დაპირისპირებული ლიტერატურულ დაჯგუფებათა წარმოსაქმნელად, მაგრამ ისინი არ წარმოშობილან სუბიექტური ფაქტორების უქმარობის გამო. რაც შეეხება ბეჭდვითი ლიტერატურული ორგანოების უქონლობას, ეს აფერხებდა საერთოდ მთელი ლიტერატურული ცხოვრების აზვირთებას, ხელს უშლიდა მწერალთა ახალი კადრების აღზრდა-გამოვლინებას, საბოლოო ანგარიშით კი პროლეტარული მწერლობის განვითარებასაც.

ამ მხრივ ფრიად დამახასიათებელი იყო სამსატვრო-საილუსტრაციო ჟურნალ „აჭარისტანის“ რედაქციის განცხადება:

„აჭარისტანი ისე, როგორც საქართველოს ყოველი კუთხე, მდიდარია შემოქმედებით ძალებით. თუ აქამდე ქართულ ლიტერატურაში აჭარელი მწერალი არა ჩანს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ აჭარისტანი ყველასაგან მივიწყებული კუთხე იყო. ყველაზე ნაკლებად აჭარისტანის მცხოვრებთათვის ლიტერატურის ასპარეზი იყო გახსნილი. ეს საკითხი აქამდეც მოუგვარებელია. ბათუმში ჟურნალი არ

იყო ამდენხანს. თბილისი კი შორს არის. ესეც არ იყო, ძნელია ახალგაზრდისათვის ჟურნალში შესვლა... განსაკუთრებით ეს ძნელია პროვინციისათვის, რომელიც ცენტრს დაშორებულია“ (№ 1, 1926 წ.).

როგორც ვხედავთ, ლიტერატურული ცხოვრების ჩამორჩენის უმთავრეს მიზეზად „აპარისტანის“ რედაქცია თვლიდა საკუთარი ბეჭდვითი ლიტერატურული ორგანოს უქონლობას, რაც განსაკუთრებით აფერხებდა ახალგაზრდობის მიზიდვას ლიტერატურაში. საინტერესოა, რომ ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად ჟურნალს უცდია შემოეღო სპეციალური განყოფილება „ახალი ძალების გამოფენა“, სადაც უნდა დაბეჭდილიყო საზოგადოებისათვის სრულიად უცნობ ავტორთა თხზულებანი. ამასთან დაკავშირებით რედაქცია წერდა: „შეიძლება ბევრი ამ განყოფილებაში მოთავსებულთაგანი უნიჭო და უშედეგო დარჩეს, მაგრამ რედაქციას სჯერა, რომ აპარისტანში ბევრი ხალასი ნიჭი აღმოჩნდება, რომ ჩვენი ჟურნალი ბევრს გაუთავის ლიტერატურული კარიერის ძნელ დასაწყისს. ხოლო აპარისტანში რომ ბლომად არიან პოეტური ნიჭით დაჯილდოებულნი, ამას მოწმობს მდიდარი სახალხო პოეზია.“ სამწუხაროდ, ჟურნალს არ დასცალდა თავისი დაპირების შესრულება, რადგან გაიზიარა თავის წინამორბედთა ბედი — სულ მალე არსებობა შეწყვიტა.

ასე შეიქმნა რაღაც მოჯადოებული წრე — ლიტერატურული ახალგაზრდობის აღზრდისათვის აუცილებელი იყო სათანადო ბეჭდვითი ორგანოები, ხოლო ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებს ხანგრძლივი არსებობა არ ეწერა, თუ არ ეყოლებოდა ფართო აქტივი. სადღა იყო გამოსავალი ამ მოჯადოებული წრიდან?

გამოსავალი იპოვა პოლიტიკურ-საზოგადოებრივმა გაზეთმა „ფუხარამ“. სწორედ იგი გახდა ძირითადი ბეჭდვითი ორგანო, რომლის ირგვლივაც ირახმებოდნენ მწერალთა ახალი კადრები. მან გულლიად და სტუმართმოყვარულად გაუღო კარები ახალგაზრდა, დამწყებ ავ-

ტორებს, განსაკუთრებით იმ პერიოდში, როდესაც გაზეთს რედაქტორობდა პროლეტარულ პოეტთა პირველი თაობის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი ნოე ზომლეთელი. თვითონ პოეტი და ნიჭიერი პარტიული ლიტერატორი, ნოე ზომლეთელი, ბუნებრივია, საგანგებო ყურადღებას აქცევდა ლიტერატურასა და ხელოვნებას, სისტემატურად ბეჭდავდა ლექსებს, მოთხრობებს, მხატვრულ ნარკვევებს, ლიტერატურული კრიტიკულ სტატიებს და ამით ახალისებდა ახალგაზრდა ავტორებს, ხელს უწყობდა მათს აღზრდასა და გამოვლინებას. აქ საყურადღებოა მეორე მომენტიც. იმის გამო, რომ ლიტერატურული ცხოვრების აღმავლობას სათავეში ჩაუდგა პარტიული ორგანო „ფუხარამ“, ხოლო მის საქმიანობას წარმართავდა პროლეტარული პოეტი ნოე ზომლეთელი, ჩვენი მწერლობა თავიდანვე წარიმართა ერთი გარკვეული მიმართულებით — ხალხის უანგარო სამსახურის გზით და თავიდანვე მიიღო მკაფიოდ გამოკვეთილი კომუნისტური შინაარსი.

ასეთი ყოველდღიური ზრუნვისა და ყურადღების შედეგად ლიტერატურული ცხოვრება აჭარაში თანდათან გამოცოცხლდა. ასპარეზზე გამოვიდნენ ახალგაზრდა ლიტერატორები და მალე შესაძლებელი გახდა მწერალთა ორგანიზაციული გაერთიანებაც. 1927 წელს შეიქმნა პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის აჭარის განყოფილება. ეს იყო უმნიშვნელოვანესი მოვლენა, უმნიშვნელოვანესი ეტაპი აჭარაში მხატვრული სიტყვის განვითარების ისტორიაში. იგი მოასწავებდა ლიტერატურული ძალების კონსოლიდაციის დამთავრებას პროლეტარული მწერლობის დროშის ქვეშ და ამ ისტორიის ახალი თავფურცელის გადაშლას.

აი როგორ აფასებდა აჭარის ლიტერატორთა წარმატებას ერთ-ერთი პროლეტარული მწერალი ვ. მახარაძე, რომელიც თვითონ მოჰყვა ახალ ლიტერატურულ ტალღას. „ღია წერილში“ თავისი კოლეგებისადმი იგი წერდა: „სისტემატურად ვკიხულობ თქვენს ლექსებს გა-

ზეთ „ფუნარაში“. მომწონს მათი შინა-
არსი. ჩანს, რომ ოდესღაც სიბნელით
მოცულ მხარეში გამოდიან მწერლები
და პოეტები, რომლებიც ადრე თუ გვი-
ან ყურადღებას მიიპყრობენ და დაფას-
დებიან. არ მოველოდი აჭარისტანში
პროლეტარული მწერლობის ამ დონემდე
განვითარებას. სულ ერთი წელი არც კი
იქნება მის შემდეგ, რაც ბათუმელი
მწერლები, ზოგი ძველი და ზოგი ახალი,
პროლეტარული მწერლობის დროშის
ქვეშ დაირაზმნენ და გწევიან მუშაობას.
მას აქეთ დიდი მიღწევები გაქვთ... საზო-
გადოება დააწმუნდა, რომ აჭარისტანში
ძალებია, რომლებსაც შეუძლია თავისი
სიტყვა თქვას ქართულ და საერთოდ
პროლეტარულ ლიტერატურაში“ („სიტ-
ყვა ტრიბუნიდან“, 1928 წ.).

ამრიგად, 1921-1927 წლები იყო აჭა-
რის ლიტერატურული კადრების აღზრ-
დისა და პროლეტარული მწერლობის
დროშის ქვეშ მათი კონსოლიდაციის
წლები.

* * *

ახალი, პროლეტარული მწერლობის
განვითარება აჭარაში, როგორც
ვთქვით, შედარებით უმტკივნეულოდ მი-
მდინარეობდა, რადგანადაც არ არსებობ-
და მისდამი მტრულად განწყობილი ლი-
ტერატურული დაჯგუფებანი. მაგრამ შე-
ცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს
პროლეტარული მწერლობის დამკვიდრე-
ბის პროცესი აქ კარჩავეტილად მიმ-
დინარეობდა, საერთო ლიტერატურუ-
ლი ცხოვრებისაგან მოწყვეტით. არა,
ასე არ ყოფილა. აჭარაში არა მარტო დი-
დი ინტერესით ადევნებდნენ თვალ-
ყურს ზოგადქართული ლიტერატურული
მოვლენების განვითარებას, არამედ თა-
ვისი წვლილიც შეჰქონდათ ანტირეალის-
ტური, ანტისაბჭოური ლიტერატურული
დაჯგუფებების წინააღმდეგ ბრძოლაში.
საკმარისია ითქვას, რომ ჟურნალ „აჭა-
რისტანის“ მარტო პირველ ნომერში
მოთავსებული იყო ორი სტატია ლიტე-
რატურის იდეური სიწმინდის, მისი ხალ-
ხურობისა და პარტიულობის დასაცა-
ვად. მათგან შვარცის სტატია „წარსუ-

ლის ნანგრევებზე“ („ტანჯვის ბარძიმი“) —
მიმართული იყო „ავადმთიური ასულობის“
ციის „ერთ-ერთი მთავარი შენაკადის —
ყოფილი „დემოკრატიული“ პოეზიის წა-
რმომადგენელთა (ხ. ვარდოშვილი, ალ.
აბაშელი) იდეური პოზიციის წინააღმ-
დეგ, ხოლო მიმომხილველის სტატია
„ლიტერატურული საქართველო“ ამხი-
ლებდა ქართველ ფუტურისტთა ფორმა-
ლისტურ ჩხირკედელაობას, მათი პოე-
ზიის ყალბ რევოლუციონიზმს. გარდა
ამისა, ჟურნალში დაბეჭდილია სტატიე-
ბი ზელოვნების, ქართული თეატრის გან-
ვითარების პრობლემებზე, გამოჩენილი
რუსი პოეტის ს. ესენინის თვითმკვლე-
ლობის გამო და ა. შ. ეს ერთი მაგალი-
თიც კი, ვფიქრობთ, ცხადყოფს იმ
ფაქტს, რომ აჭარის მხატვრული სიტყვის
ოსტატები სრულიადაც არ ეწეოდნენ
განცალკევებულ ცხოვრებას, ფეხდაფეხ
მიჰყვებოდნენ როგორც ქართულ, ისე
რუსულ და საერთო საკავშირო ლიტერა-
ტურულ მოვლენებს.

სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა,
რომ მომდევნო პერიოდში — 1928-1934
წლებში, როცა ჩვენს ქვეყანაში დაიწყო
მასობრივი სოციალისტური გარდაქმნე-
ბი, აჭარის მწერლები აღმოჩნდნენ ახ-
ლისათვის მეტბოლთა პირველ რიგებში
და თავისი წვლილი შეიტანეს სოცია-
ლისმის მშენებლობის დიად საქმეში.

1928 წელს პროლეტარულ მწერალთა
აჭარის განყოფილებამ გამოსცა თავისი
პირველი აღმანახი „სიტყვა ტრიბუნი-
დან“, რომელშიც უკვე ოცდაათამდე
ავტორი მონაწილეობდა. კრებულში და-
ბეჭდილი იყო პ. რურუას, ნ. მალაზო-
ნიას, გრ. შავიშვილის, ნ. იმედაშვილის,
თ. ლეჟავას, ხ. კომხაძის, ჯ. ნოღაიდ-
ლის, ზ. ქეზხაძის, ლ. შარაშიძისა და
სხვთა ლექსები. ბ. თაველშაძის, დ.
ჭანჭათელის, გრ. გრიგორიანის, ალ. მე-
ლაძის, პ. ლორიას, ვ. მახარაძის მოთხ-
რობები, დოც. ნ. ქუთათელაძის, ირ. ფე-
რაძის კრიტიკული სტატიები და ა. შ. სა-
გულისხმოა, რომ კრებულში დაბეჭდი-
ლი თითქმის ყველა ლექსი და მოთხრო-

მა მხოლოდ თანამედროვეობას ასახავს, წარსულს მასში სრულიად უმნიშვნელო ადგილი უკავია.

სამწუხაროდ, კრებულის „სიტყვა ტრიბუნიდან“ მხატვრული დონე დაბალია. ვერც პოეტები და ვერც პროზაიკოსები ბოლომდე ვერ ახერხებენ იდეის მხატვრულ განსჯეულებას და ხშირად კმაყოფილდებიან მშრალი პუბლიცისტიკით, ლიტონი დეკლარაციით. მოთხრობათა სიუჟეტები მიაბიძგურია, თემატიკა კი ძლიერ ღარიბი და ერთფეროვანი. ასე, რომ სრულიადაც არ გვეჩვენება გადაჭარბებულად კრებულის სარედაქციო კოლეგიის აღიარება: „ახალ ლიტერატურას, რომელიც პროლეტარული მწერლობის სახელწოდებით შედის პოეზიის მაღალ ტაძარში, საკვებით ჯერ კიდევ არა აქვს დაურეგულირებული ფორმალური ხერხები... ამჟამად კი მოცემული სახე პროლეტარული მწერლობის ზრდისა და მუშაობის პროცესშია. ამიტომ მკითხველი კრიტიკული თვალთი უნდა ღებულობდეს (მით უმეტეს აჭარისტანის სინამდვილეში) ამ კრებულში მოცემულ ნაწარმოებთ. როგორც ჯერ კიდევ მაღალი პრეტენზიებით მომთრებულ თეზისს. პროლეტარული მწერლობის შემოქმედება მკითხველთა ბაზარზე გამოდის ისე, რომ მას სჭირდება ნაჯახის და წალდის დახმარებით აგება და გათლა...“

ნაწარმოები, რომელსაც დაბეჭდვის შემდეგაც კი ესაჭიროება ნაჯახითა და წალდით გათლა, რა თქმა უნდა, ძნელია მივაკუთვნოთ მხატვრულ ლიტერატურას. მაგრამ აღმანახი „სიტყვა ტრიბუნიდან“ მაინც თვალსაჩინო მოვლენად უნდა მივიჩნიოთ ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში. უთუოდ მართალი იყო მისი საარედაქციო კოლეგია, როცა ამ კრებულის ისტორიულ მნიშვნელობას ასე განსაზღვრავდა: „პროლეტარული მწერლების ასეთი კოლექტიური დარაზმვა კრებულის სახით აჭარისტანისათვის პირველი მერცხალია, რომელმაც გაზაფხული უნდა მოიყვანოს“.

ეს იყო აღიარება, რომ აღმანახი „სიტყვა ტრიბუნიდან“ არ ჰქონდა ფორმალური ტერატურის პრეტენზია, იგი მხოლოდ აჯამებდა წინა პერიოდში გაწეულ მუშაობას ჩვენი მწერლობის აღორძინებისათვის. და დღეს, ორმოცი წლის შემდეგ, შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ ეს მუშაობა მართლაც ფრიალ ნაყოფიერი და თვალსაჩინო იყო, განსაკუთრებით მწერალთა კადრების რაოდენობრივი ზრდის თვალსაზრისით. პირველი ნაბიჯი ყოველთვის ძნელია და სასიხარულო იყო, რომ იგი გადაიდგა მტკიცედ, რწმენით, გამარჯვების იმედით. ლიტერატურის კარები შემოაღეს მუშებმა და გლახებმა ან ამ სოციალური წრეების ღვიძლმა შვილებმა, რომლებსაც საბჭოთა ხელისუფლებამ გაუღვიძა სულიერი ინტერესები და მწერლობის სიყვარულიც. ამ მხრივ ძლიერ კოლორიტულ ფიგურას წარმოადგენდა ხასან (ხარიტონ) კომახიძე, აღმანახის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე. იგი ჩვეულებრივი ბოზოყვავთელი გლეხი იყო, უნდოდა სწავლა, მაგრამ უსახსრობის გამო ვერ შეძლო. წერა-კითხვა ისწავლა უკვე მოწიფულმა ვაჟკაცმა, როცა ოცდაათ წელს გადააბიჯა.

პროლეტარულ პოეტთა შორის, რომლებიც აღმანახში „სიტყვა ტრიბუნიდან“ მონაწილეობდნენ, თავისი ბიოგრაფიით ხასან კომახიძე გამონაკლისი როდი იყო, პირიქით, მასზე ოდნავ უფრო ნასწავლი იყო პარმენ ლორია, რომელმაც სოფლის ორკლასიანი სკოლის დამთავრება მაინც მოახერხა. ისიც გლეხი იყო, შემდეგ მუშა, ჯარისკაცი, ოციან წლებში კი, როცა აქტიურად ჩაება ლიტერატურულ ცხოვრებაში, — რიგითი მდილიცელი. და თუმცა მან გაცილებით მეტი გააკეთა, ვიდრე მისმა თანამოკალმებებმა, ამას თვითგანვითარებას უნდა უმაღლოდეს. ასეთივე ბიოგრაფია და განათლება ჰქონდა ბევრ სხვა პროლეტარულ მწერალსაც, რომლებმაც ჩვენი პირველი, მართალია, სუსტი, მაგრამ მაინც ლიტერატურა შექმნეს. კარგად თქვა ამის შესახებ ერთ-ერთმა პროლეტარულმა მწერალმა: „ბეზი-

მენსკები ჩვენში (ე. ი. აჭარაში — შ. ქ.)
ჯერ არაა, მაგრამ არიან პატარა ბეზიმენ-
სკები“. ცხადია, პატარა პოეტობაც არ
არის ცული.

ასეთი კრიტიკული დამოკიდებულება
საკუთარი შემოქმედებითი მოღვაწეობი-
სადმი, ჯერ ერთი, მოწმობდა, რომ პრო-
ლეტარულ მწერალთა პირველი თაობა
მხოლოდ გულის კარნახით წერდა, არ
ეძიებდა სახელსა და დიდებას; შემდეგ,
იგი მოასწავებდა ახალი ხანის, ახალი
ეტაპის მოახლოებას, როცა მშრალი აგი-
ტაცია და ლიტონი დეკლარაცია საკმარი-
სი აღარ იქნებოდა, როცა მწერლობის
წინაშე გაცილებით უფრო რთული ამო-
ცანები დადგებოდა. სწორედ 1928 წელს
დაიწყო დიდი გარდატეხა, გრანდიოზუ-
ლი სოციალისტური რევოლუციის
მილიონობით ადამიანის საუკუნეობით
განმტყიცებელი შეგნებისა და ფსიქო-
ლოგიის გარდაქმნა. საჭირო იყო ცხოვ-
რების სიღრმისეული მოვლენების ასახვა,
მათ არსში ჩაწედომა და ახალი ადამი-
ანის — სოციალიზმის მშენებლის სულიე-
რი სამყაროს, მისი გართულებული ფსი-
ქოლოგიის ჩვენება. სხვანაირად მწერლო-
ბა ვერ გახდებოდა სოციალიზმის მშენე-
ბლობის აქტიური მონაწილე, ვერ მოა-
ხდენდა ჯეროვან გავლენას მოვლენათა
მსვლელობაზე. ეს კი მწერლისაგან მა-
ღალ ოსტატობას მოითხოვდა. მეორე
მხრივ, ჩვენს ქვეყანაში განხორციელებუ-
ლი კულტურული რევოლუციის შედე-
გად თვალსაჩინოდ ამოღდა მოსახლეო-
ბის კულტურული დონე. შესაბამისად
გაიზარდა მკითხველის მოთხოვნილებაც.
ის, რაც აქამყოფილებდა მცირემცოდნეს,
ვერ დააკმაყოფილებდა განათლებულ
მკითხველს. ამით აიხსნება, რომ 1928-34
წლების მანძილზე აჭარის მწერალთა შე-
მადგენლობაში დიდი ცვლილება, დიდი
გადახალისება მოხდა — მწერალთა პირ-
ველი თაობის აბსოლუტური უმრავლე-
სობა ჩამოშორდა ლიტერატურას. მათ
აღარ ხელეწიფებოდათ ახალი მკითხვე-
ლის გაზრდილ მოთხოვნილებათა დაკმა-
ყოფილება. ეს ცხადი გახდება, თუ ერთ-

მანეთს შევადარებთ ამ პერიოდის პირ-
ველი აღმანახის „სიტყვა ტრიბუნიდან“
(1928 წ.) და უკანასკნელი კრებულის
„ლიტერატურული აჭარისტანის“ (1934
წ.) ავტორთა სიას. ახალ აღმანახში ძველ
ავტორებიდან დარჩნენ მარტო პ. ლორია,
პ. რურუა და ნ. მაღაზონია, აგრეთვე ჯ.
ნოღაიდელი და ლ. შარაშიძე, მაგრამ ეს
უკანასკნელნი უკვე წარმოდგენილი არი-
ან არა ლექსებით, როგორც წინათ, არამედ
მეცნიერული და ლიტერატურულ-კრიტი-
კული სტატიებით.

კრებული „ლიტერატურული აჭარის-
ტანი“ გამოსცა აჭარისტანის მწერალთა
კავშირმა, რომელიც შეიქმნა სკკპ ცენტ-
რალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპ-
რილის ისტორიული დადგენილების შე-
საბამისად. ამ დადგენილებით, როგორც
ცნობილია, გაუქმდა პროლეტარულ მწე-
რალთა ასოციაცია და სხვა ლიტერატუ-
რული დაჯგუფებანი. მათ ნაცვლად ჩამო-
ყალიბდა სსრ კავშირის საბჭოთა მწე-
რების კავშირი, რომელიც აერთიანებდა
უძლელობივ ყველა მწერალს, ვინც კი
აღიარებდა და მხარს უჭერდა საბჭოთა
ხელისუფლების პლატფორმას. ეს იყო
უაღრესად დროული და ბრძნული გადა-
წყვეტილება. მან ბოლო მოუღო ჯგუფო-
ბრიობას და უპრინციპო ბრძოლას ლი-
ტერატურაში, მწერალთა კადრების დაქ-
საქსვას და უზრუნველყო ლიტერატურის
ახალი მძლავრი აღმავლობა, ყველა მწე-
რლის თავმოყრა მარქსიზმ-ლენინიზმის
დროშის ქვეშ. მაღე, სულ ორიოდე
წლის შემდეგ, 1934 წელს გაიმართა
მწერალთა კავშირის პირველი სრულიად
საკავშირო ყრილობა, რომელსაც ხელ-
მძღვანელობდა დიდი პროლეტარული
მწერალი მაქსიმ გორკი. და აი ამ ღირს-
წესანიშნავ მოვლენას — მწერალთა პირ-
ველ საკავშირო ყრილობას მიუძღვნა აჭა-
რის მწერალთა ორგანიზაციამ კრებული
„ლიტერატურული აჭარისტანი“.

ეს კრებული წინა აღმანახებისაგან უპი-
რველეს ყოვლისა განირჩევა მეტი კონკ-
რეტულობით, მეტი საგნობრიობით, ხა-
ლხის ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირით.



თითქმის ყველა თხზულებას თავისი საგანი, თავისი მისამართი აქვს. თუ ერთ პოეტს ადლებებს ჩელუსკინელთა ეპოპეა, მეორე წერს ოჩხამურზე, მის ჩაის პლანტაციებზე, მესამე უმღერის აწკესს, მეოთხე — ქარხნის მუშას და ა. შ. კიდევ უფრო კონკრეტული, ცხოვრებისეული მასალა უდევს საფუძვლად ნარკვევებს, რომლებიც განსაკუთრებით უხვად არის წარმოდგენილი კრებულში. ნარკვევის ჟანრის ასეთი ფართოდ გავრცელება სრულიად არ ყოფილა შემთხვევითი. არის რა უაღრესად ოპერატიული, მხატვრული ნარკვევი საშუალებას აძლევს მწერალს დაუყოვნებლივ გამოეხმაუროს ამა თუ იმ მოვლენას, დააყენოს იგი ყურადღების ცენტრში. რამდენადაც ოცდაათიან წლებში ყოველი დღე აღსავსე იყო ახალ-ახალი მოვლენებით, მიმდინარეობდა ძველის მსხვერვა და ახლის დამკვიდრება, ნარკვევი ყველაზე უფრო მოქნილ ეანრად ჩანდა და მწერლებმა მასობრივად მიმართეს მას. დამახასიათებელია, რომ „ლიტერატურულ აპარისტანში“ არ არის არც ერთი მოთხრობა, ნოველა, მინიატურა — ყველა პროზაული ნაწარმოები ნარკვევია. საინტერესოა თვით ამ ნარკვევების თემა, მისამართი: პ. ლორია თავის ნარკვევს უძღვნის ბათუმელ მენავთობეებს, მ. მეგრელიძე — აწკესს, რ. მენაბდე და პ. ზამბახიძე — ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობას, ე. ხელაშვილი — კვირიკის ლიმონ-მანდარინის საბჭოთა მეურნეობას და სხვ.

ყველაფერი ეს ცხადყოფს, რომ აპარის მხატვრული სიტყვის ოსტატები ცდილობდნენ მჭიდროდ დაკავშირებოდნენ ხალხის ცხოვრებას, აესახათ იგი თავისი კონკრეტული გამოვლინებით, ეჩვენებინათ, როგორ დევნიდა ახალი ძველს საუკუნეობრივი პოზიციებიდან, როგორ გარდაქმნიდა ხალხი ბუნებას და მასთან ერთად თავის თავსაც. სასიამოვნოა იმის აღნიშვნაც, რომ მათ თვალსაჩინოდ აიმაღლეს მხატვრული ოსტატობის დონე. კრებულში დაბეჭდილი თხზულებები ამ თვალსაზრისით შესამჩნევად სჭობს ძველი აღმა-

ნახების თხზულებებს — მათში მეტეპროფესიონალიზმი იგრძნობა. განსაკუთრებით სასიხარულო იყო, რომ ამ პერიოდში ჩვენს ლიტერატურას შეემატა სამი ნიჭიერი პოეტი — მ. ვარშანიძე, შ. იოსელიანი და ლ. ძიმიტარიშვილი (ლ. ტბაუერი), რომელთა ბედი სულ სხვადასხვანაირად წარიმართა. თუ ერთი დღესაც ნაყოფიერად მოღვაწეობს, მეორე დიდ სამამულო ომში დაიღუპა, ხოლო მესამე — 1937 წელს.

ამრიგად, 1928-1934 წლები — ეს იყო ჩვენი ლიტერატურის დავაუკაცების და წინსვლის წლები, როცა მწერლობა შეიჭრა ცხოვრებაში და დაიწყო მისი კონკრეტული ასახვა. პირველი თაობის ბევრი მწერალი ჩამოშორდა ლიტერატურას: მათ ნაცვლად მოვიდნენ ახალგაზრდები, რომლებსაც ნიჭთან ერთად ჰქონდათ საკმაოდ ფართო განათლებაც.

* * *

ახალი მძლავრი აღმავლობით აღინიშნა ჩვენს ლიტერატურაში 1935-1941 წლები.

ეს იყო პერიოდი, როცა ჩვენს ქვეყანაში არაჩვეულებრივი შრომითი ენთუზიზმით გრძელდებოდა დიდი სოციალისტური გარდაქმნები, სახეს იცვლიდნენ არა მარტო ცალკეული მოვლენები და ქალაქები, არამედ მთელი მხარეები და რესპუბლიკები. ადამიანთა შეგნებაში ძირითადად აღმოიფხვრა კაპიტალისტური გადმონაშთები. ჩვენი საზოგადოება გახდა მორალურ - პოლიტიკურად ერთიანი, არსებითად შეიცვალა მისი კლასობრივი სტრუქტურა. პირველად კაცობრიობის ისტორიაში მოისპო ყველა ექსპლოატორული კლასი. ასეთ ვითარებაში საჭირო გახდა ძველი კონსტიტუციის შეცვლა. საყოველთაო-სახალხო განხილვის შემდეგ საბჭოების მე-8 საგანგებო ყრილობამ ერთსულოვნად, უდიდესი აღფრთოვანებით მიიღო მსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია. მეგობრული კლასები — მუშები და გლეხები, აგრეთვე ახალი, სახალხო ინტელიგენცია ხელიხელჩაი-

დებულო ქმნიდნენ ახალ ცხოვრებას. ჩამოყალიბდა ახალი ადამიანი, რომლის მსგავსი არ იცოდა ისტორიამ. მაღალი მორალური თვისებები, რომლებიც მოწინავე მოაზროვნეებს იდეალურად მიაჩნდათ, მისი საკუთრება გახდა. მას უწოდეს საბჭოთა ადამიანი, მაგრამ უკვე ამ დროს იგრძნობოდა მომავალი ომის სუსხი. 1939 წელს ევროპაში დაიწყო მეორე მსოფლიო ომი, რომელიც თანდათან უახლოვდებოდა ჩვენს სამშობლოს. დაიწყო ომისათვის იდეოლოგიური მომზადება და განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ადამიანთა პატრიოტულ აღზრდას, სოციალისტური სამშობლოს სიყვარულის დანერგვა - განმტკიცებას.

საბჭოთა მწერლობა ცხოვრების აქტიური მონაწილე გახდა. იგი ზედისეუდ იპყრობდა ახალ-ახალ მწვერვალებს. დიდი ძვრები მოხდა ქართულ ლიტერატურაშიც. კერძოდ, აჭარის მხატვრული სიტყვის ოსტატებმა შექმნეს ნაწარმოებები, რომლებმაც საყოველთაო ყურადღება მიიპყრეს.

განსაკუთრებით ხაზგასასმელია, რომ სწორედ ამ პერიოდში დაიწერა აჭარისა და აჭარელთა ცხოვრების ამსახველი პირველი რომანები. გამოჩნდა „დიდი“ დრამატურგია. თუ წინათ უმთავრესად წერდნენ ვოდევილებს, სკეტჩებს და საერთოდ „მცირეფორმიან“ პიესებს, ახლა უკვე ფართო ტილოებს მოჰკიდეს ხელი — დაიწერა პირველი დრამები, კომედიები. ამავე დროს განუწყვეტლივ ვითარდებოდა პოეზია და ლირიკის გვერდით გამოჩნდა ეპოსიც. ამასთან ერთად მწერლობაში მოვიდნენ ნიჟიერი ახალგაზრდები, მათ შორის ქალებიც. აღმანახში „საბჭოთა აჭარა“, რომელიც 1936 წელს გამოიცა, უკვე ორი პოეტი ქალი — სურია პაუუნაიშვილი და ფატყუმე დადიანი მონაწილეობდნენ. მალე მათ შეემატა ნანა გვარამიშვილი, რომელიც დღეს ცნობილი ქართველი პოეტია. ამავე პერიოდში გამოაქვეყნეს თავისი პირველი ნაწარმოებები გ. სალუქვაძემ, კ. რუსიძემ და სხვ.

ცალკე და საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ ჩვენი მსოფლიო მწერლის ლორის დამსახურება. სწორედ მან დაწერა აჭარისა და მისი ადამიანების ამსახველი პირველი რომანი. ეს იყო დილოგია „ჩაი“. წიგნს არაჩვეულებრივი წარმატება ხელა და პ. ლორის მთელ საქართველოში მოუპოვა ფართო პოპულარობა. მისი გმირები — მოწინავე ადამიანები მხურვალედ შეიყვარა ქართველმა მკითხველმა. თუ „ჩაი“ ასახავდა სოციალისტურ გარდაქმნებს აჭარაში ოცდაათიან წლებში და მათ საფუძველზე ახალი ადამიანის ფორმირების პროცესს, რომანს „განთიადი ხევი“ გადაეყვარა ქრონოლოგიურად უფრო ადრინდელ ხანაში — ოციან წლებში, როცა აჭარის სოფლებში მკვიდრდებოდა და მტკიცდებოდა საბჭოთა ხელისუფლება. თხზულების გმირები მურადი, ნაოლე, ანდრო ახლისათვის მებრძოლთა შთამბეჭდავი მხატვრული სახეებია.

აქტიურ პოეტურ მოღვაწეობას განაგრძობდა მუშა პოეტი პარმენ ოდიშელი-რურუა. იგი სამწერლო ასპარეზზე ჯერ კიდევ რევოლუციამდე — 1911 წელს გამოვიდა და სიკვდილამდე ხელიდან არ გაუგდია კალამი. ოცდაათიან წლებშიც იგი მუშა იყო — ოპერატორად მუშაობდა ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში, შემდეგ კი მსახურობდა აჭარის სახელგანამში. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში იგი პენსიაში იმყოფებოდა. პარმენ რურუა წერდა ლირიკულ-მოქალაქეობრივ ლექსებს, მოღვაწეობდა საბავშვო ლიტერატურის დარგშიც და ნორჩ მკითხველებს დაუტოვა ბევრი კარგი ლექსი და რამდენიმე პოემა.

პროზასა და პოეზიაში ნაყოფიერ მოღვაწეობას განაგრძობდნენ ნ. მაღაზონია, მ. ვარშანიძე, ნ. გვარამიშვილი, გ. სალუქვაძე, მ. მეგრელიძე, ა. კაკიაიშვილი, შ. იოსელიანი, ხ. ოქროპირიძე, მ. გოგაძე, შ. შუბლაძე და სხვ. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ნიჟიერი ახალგაზრდა პოეტი ლ. ძიმისტარიშვილი, რომელსაც არ დასცალდა სრულად გამოველინებინა თავისი შემოქმედებითი შესაძლებლობანი.

როგორც უკვე ვთქვით, 1935-1941 წლებში დიდი აღმავლობა განიცადა ჩვენმა დრამატურგიამ. პირველი პიესები აჭარის ცხოვრებიდან დაწერა პ. ლორიამ, მაგრამ ისინი უმთავრესად გამიზნული იყო სოფლის სცენისა და აგიტმხატვრული ბრიგადებისათვის. ამდენად ისინი ე. წ. „მცირე“ დრამატურგიას განეკუთვნებოდნენ. პირველი პიესა აჭარის ცხოვრებიდან, რომელიც სახელმწიფო თეატრის სცენაზე წარმოადგინეს და წარმატებაც ხვდა, ეს იყო კ. კალაძის „ხატიჯე“, რომელიც კ. მარჯანიშვილმა დადგა ქუთაის-ბათუმის თეატრში. მას შემდეგ ეს ტრადიცია განაგრძო დრამატურგმა ამირან შერვაშიძემ.

ამირან შერვაშიძე სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1928 წელს, სრულიად ახალგაზრდა. მისი პირველი ნაწარმოები იყო პატარა მოთხრობა „ფატმა“, რომელიც ცალკე წიგნად გამოიცა, ხოლო პირველი პიესა, რომელშიც ახალგაზრდა დრამატურგმა სცადა აეჩახა აჭარის ცხოვრება, იყო „პატარა შეცდომა“. ეს პიესა მიმართული იყო აჭარაში ჯერ კიდევ შემორჩენილი ძველი ადამ-ჩვევების წინააღმდეგ. უფრო მნიშვნელოვანია ა. შერვაშიძის ისტორიულ-რევოლუციური პიესა „მზე“. იგი 1941 წელს დადგა ბათუმის თეატრმა და მიუძღვნა საბჭოთა საქართველოს ოცი წლისთავს. „მზეში“ გადმოცემულია მასების ბრძოლა კომუნიტური პარტიის მეთაურობით საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად აჭარაში. განსაკუთრებით ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებს ღარიბი აჭარელი გლეხის — ახმედის მხატვრული სახე. უფრო ადრე — 1940 წელს უკრაინის ოცამდე თეატრმა დადგა ა. შერვაშიძის დრამა „კრავჭუკის ტყემლები“. იგი მიეძღვნა საბჭოთა არმიის მიერ დასავლეთ უკრაინის განთავისუფლებას 1939 წელს და უკრაინის სახელმწიფოებრივ გაერთიანებას, რასაც მთელი უკრაინელი ხალხი უდიდესი სიხარულით შეხვდა.

ჩვენი ლიტერატურის წარმატებებში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ლიტერატურის კრიტიკოსებმა და ლიტერა-

ტურისმცოდნეებმა ალ. ჩავლეიშვილმა, ლ. შარაშიძემ, ნ. პიჭაძემ და სხვ. ისინი მარქსიზმ-ლენინიზმის შუქზე განიხილავდნენ აჭარის მწერალთა ცალკეულ წიგნებს თუ შემოქმედებას.

თუ შევაჯამებთ ზემოთქმულს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დიდი სამამულო ომის წინ აჭარაში უკვე არსებობდა საკმაოდ მაღალხარისხის მხატვრული ლიტერატურა, რომელიც ქართული მწერლობის სულ უფრო მძლავრი შენაკადი ხდებოდა.

* * *

დიდმა სამამულო ომმა შეწყვიტა საბჭოთა საზოგადოების მშვიდობიანი განვითარება. ფაშისტური ბანდების თავდასხმამ მომავლდინებული საფრთხე შეუქმნა ჩვენს სამშობლოს და სოციალიზმის მონაპოვრებს. დადგა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნის საკითხი. მშობლიური კომუნისტური პარტიის მოწოდებით მთელი საბჭოთა ხალხი აღსდგა სოციალიზმის სამშობლოს დასაცავად, ევროპისა და მთელი კაცობრიობის გადასარჩენად მიხაკისფერი ჭირისაგან. ჩვენი ლიტერატურა ომის პირველი დღიდანვე ჩაღდა ხალხის სამსახურში და ყველაფერს აკეთებდა მტერზე გამარჯვებისათვის. თავისი მხატვრული თხზულებებით საბჭოთა მწერლები ზრდიდნენ პატრიოტულ გრძნობას, უნერგავდნენ მკითხველებს ჩვენი გარდუეალი გამარჯვების რწმენას. ბევრმა მწერალმა კალამთან ერთად ხელში აიღო შაშხანა და იარაღით ებრძოდა მომხდურ მტერს. მათ შორის იყვნენ მ. ვარშანიძე, შ. იოსელიანი და სხვ.

ომის დაწყების წინ გამოვიდა პ. ლორიას რომანი „მევლუდი“, რომელიც ასახავდა ცნობილი აჭარელი ყაჩაღის მევლუდ დიასამიძის ცხოვრებას, მისი რაზმის ბრძოლებს სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის. თავისი იდეებით მწერლის ახალი რომანი ეხმაურებოდა დროის მოთხოვნას და მას დიდი წარმატებაც ხვდა. ომის პერიოდშივე გამოაქვეყნა პ. ლორიამ რამდენიმე საინ-

ტერესო მოთხრობა და ნარკვევი, ხოლო ერთ-ერთ ახალ რომანში „ალისფერი დილა“ სცადა აესახა საბჭოთა ადამიანების გმირობა და პატრიოტიზმი დიდ სამამულო ომში.

საბჭოთა ხალხის ერთიანობას, ფრონტისა და ზურგის ურღვევ კავშირს მიუძღვნა კ. რუსიძემ რომანები „იწერებოდა სისხლით“, „ყვირი დევნა“, ხოლო უფრო გვიან საკმაოდ სქელტანიანი რომანი „გამარჯვება“. მხატვრული თვალსაზრისით ეს ნაწარმოებები არ წარმოადგენს თვალსაჩინო მოვლენას, მაგრამ მათ მაინც გარკვეული როლი შეასრულეს და ხელი შეუწყვეს მკითხველთა პატრიოტულ აღზრდას.

ომის წლებში განსაკუთრებული ძალით ძღერდა ნ. მაღაზონიას პოეტური ჩანგი. თავისი შეიარაღებული ძალებისადმი საბჭოთა ხალხის უპასღვრო სიყვარულს შესანიშნავად გადმოგვცემს მისი ლექსი „წყვილი წინაა“: სამამულო ომის სახელოვან გმირებს განადიდებდა ლექსები „სიმღერა“, „მფრინავის ბარათი“ და სხვ. შინაგანი ტკივილებით, დიდი უშუალობითა და ემოციურობით წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს ნ. მაღაზონიას ლექსი „მოდიან, შვილო, ჯარისკაცები“. მიძღვნილი პოეტის ერთადერთი ეპიკონამი, რომელიც გმირულად დაიღუპა დიდი სამამულო ომის ფრონტზე. ყველა ეს ლექსი შეტანილია კრებულში „გულის ხმა“, რომელსაც მკითხველი საზოგადოებრიობა ძლიერ გულთბილად შეხვდა.

პირველივე ლექსით „სიმღერა ისრაფელ ჭინჭარაძეზე“ მიიქცია მკითხველის ყურადღება ფრიდონ ხალვაშმა, რომლის ლიტერატურული დებიუტი დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში შედგა. პოეტის ომისდროინდელი ლექსები ღრმად პუბლიცისტურია, მაგრამ არ აკლავ ემოციურობა, შინაგანი დრამატიზმი და მუსიკალობა. სწორედ ამის გამო მოხდა, რომ ახალგაზრდა მგოსნის ლექსი ხალხმა სიმღერად აქცია და მას დღესაც კი მღერაინ.

ფრონტზე, ყუმბარების გრაილსა და ტყვიების წვიმაში პოეტური მოღვაწეობა

არ შეუწყვეტია მამია ვარშანიძეს და საზიზლარ მტერს ერთდროულად. ამიტომაც ებრძოდა და ხიშტიოდა. ამით აიხსნება, რომ პოეტის ლექსებმა შეიძინეს ღრმა ემოციურობა და დიდი უშუალობითაც გამოირჩეოდნენ: მ. ვარშანიძე ხომ მათ ქმნიდა ფრონტზე, პირადად განცდილისა და თვალთ ნანახის საფუძველზე!

პატრიოტულ გრძნობებს უღვიძებდნენ. მტერზე გამარჯვების რწმენით მსჭვალავდნენ მკითხველებს პ. რურუას, გ. სალუქვაძის, ნ. გვარამიშვილის და სხვ. ლექსები.

პროზასა და პოეზიას არ ჩამორჩა დრამატურგიაც. კერძოდ, ა. შერვაშიძემ დაწერა დრამა „მხედართმთავარი ბაგრატიონი“, რომელმაც მაშინვე მიიქცია ყურადღება თავისი პატრიოტული სულისკვეთებით და ხალხთა მეგობრობის იდეის აქცენტირებით. დიდი წარმატებით განახორციელა ეს პიესა სცენაზე ბათუმის სახელმწიფო თეატრმა. იგი დადგა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ შ. ინსარიძემ. სპექტაკლში ბრწყინვალე თამაშით თავი ისახელეს საქართველოს სსრ სახალხო არტისტებმა ი. კობალაძემ (ბაგრატიონი), მ. ხინიკაძემ (ნაპოლეონი), ნ. თეთრაძემ (სკაერონსკაია), საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტებმა გ. ახვლედიანმა (სუვოროვი), ზ. ლლონტმა (კუტუზოვი) და სხვ. უფრო გვიან ა. შერვაშიძემ პერიოდული პიესა „სიმღერა შეგარდენზე“ მიუძღვნა დიდი სამამულო ომის სახელოვან გმირს ი. ჭინჭარაძეს.

გარდა ამისა, მწერალთა კავშირი მთელი ომის მანძილზე დიდ საშეფო-ორგანიზაციულ მუშაობას ეწეოდა. პოსპიტლებში, ჯარის ნაწილებში და მოსახლეობაში ხშირად იმართებოდა ლიტერატურული დილა-სადამოები და სხვ.

მიუხედავად ომის მძიმე პირობებისა, შეიძლება თამამდ ითქვას, რომ ლიტერატურის განვითარება აჭარაში არ შეფერხებულა. იგი განაგრძობდა წინსვლას და ჩვენმა მხატვრული სიტყვის ოსტატებმა ღირსეულად მოიხადეს თავისი მოვალე-

ობა სამშობლოს, ხალხის, პარტიის წინა-
შე.

* * *

უკანასკნელი ოცწლეული—1947-1967 წლები აჭარაში მხატვრული სიტყვის არა-ჩვეულებრივი წინსვლის წლებია. ლიტერატურულ ცხოვრებაში მოხდა როგორც რადიკალური, ისე თვისებრივი ცვლილებები. მწერლობაში შემოვიდნენ ნიჭიერი ახალგაზრდები ვ. კანდელაკი, მ. გორგილაძე, შ. როყვა, ჯ. ჯაყელი, ალ. ჩხაიძე, ქ. მჟავია, ი. რურუა. უფრო გვიან მათ შეემატნენ ლ. გელაძე, ლ. სედიშვილი, ზ. გორგილაძე, რ. ართილაკვა, ნ. მოდებაძე, გ. სანადირაძე, გული სალუქვაძე, ალ. სამსონია, ნ. ჩხაიძე, აგრეთვე ი. ფაღავა, გ. ლორთქიფანიძე, ი. მელია და სხვ. დღევანდელი ახალგაზრდული მწერლობის ბირთვს კი ქმნიან შ. ზოიძე, გ. ქუთათელაძე, ნ. ძირკვაძე, ც. ანთაძე და სხვ.

ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში დიდი მოვლენა იყო აჭარის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა თბილისში 1957 წელს, რომელსაც წილად ხვდა არა-ჩვეულებრივი წარმატება. არავინ მოელოდა, თუ ეს დეკადა ესოდენ ბრწყინვალედ ჩაივლიდა. ყოველი ლიტერატურული სილამო, სპექტაკლი თუ კონცერტი მიმდინარეობდა ხალხით გაჭედულ დარბაზში. აჭარის ლიტერატორთა თხზულებები განიხილებოდა მწერალთა კავშირის ცალკეულ სექციებში და, როგორც წესი, მაღალ შეფასებას იღებდა. განხილვაში მონაწილეობდნენ გამოჩენილი ქართველი მწერლები კ. ლორთქიფანიძე, ა. ბელიაშვილი, მ. მრევლიშვილი, ს. ჭილაია, ბ. ედენტი, ი. სიხარულიძე და ბევრი სხვა. ყოველ ლიტერატურულ სხდომაზე ესწრებოდნენ კ. გამსახურდია, შ. დიდიანი, გ. ქიქოძე, დ. შენგელია, ლ. გოთუა და სხვ. მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმმა სპეციალურ სხდომაზე განიხილა აჭარის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის შედეგები, მაღალი შეფასება მისცა მას და საჭიროდ ჩასთვალა აჭარას ჰქონოდა საკუთარი ლიტერა-

ტურულ-მხატვრული ორგანო. ამ დღეებ-
ნილებს საფუძველზე 1958 წელს გამო-

ვიდა ჟურნალ „ლიტერატურული აჭარის“ პირველი ნომერი. მიმდინარე წლის დეკემბერში, როგორც ვხედავთ, ჩვენს ჟურნალს არსებობის ათი წელი უსრულდება. ეს პირველი შემთხვევაა, რომ აჭარაში ლიტერატურულ-მხატვრულმა ორგანომ ამდენხანს იარსება და რეგულარულად გამოდის. ჩანს, ჟურნალს გააჩნია მწერალთა სათანადო აქტივი და იგი უკვე მტკიცედ დადგა ფეხზე.

აჭარის მწერალთა ძირითადი თემა თანამედროვეობაა. საგულისხმოა, რომ ისტორიულ თხზულებებშიც კი იგრძნობა თანამედროვეობა — ყველა ისტორიული ფაქტი დანახული და გაშუქებულია თანამედროვე ადამიანის თვალთახედვით. ჩვენი მწერლები თავის უწყმინდეს მოვალეობად თვლიან იყენენ საბჭოთა საზოგადოების სასიცოცხლო საფუძვლის—პარტიის პოლიტიკის განუხრელად გამტარებელნი, პარტია კი მიგვითითებს კიდევ უფრო დავუახლოოთ ლიტერატურა ხალხის ცხოვრებას, ვუჩვენოთ თანამედროვე საბჭოთა ადამიანის მდიდარი სულიერი სამყარო, აღეზარდოთ მკითხველები უმაღლესად დადებით მაგალითზე. ლიტერატურა ღრმად უნდა შეიჭრას ხალხის ცხოვრებაში და უაღრესად აქტიური მონაწილეობა მიიღოს ახალი ადამიანის აღზრდაში.

ამ ამოცანებს ემსახურება პ. ლორიას რომანები და მოთხრობები. დიდი ინტერესით შეხვდნენ მკითხველები მის ახალ რომანებს „ნაირა“, „მადარებში“, „შვილები“, „დაზგიდან დაზგამდე“, „ჩემი პატარა ოჯახი“, რომლებიც მწერალმა ბოლო თხუთმეტი წლის მანძილზე გამოაქვეყნა. მოწონება ხვდა რომანსაც „საიმედო მომავალი“, რომელიც შარშან გამოვიდა. ვერ ვიტყვით, რომ ეს რომანები თანაბარი მხატვრული ღირებულების ან უნაკლონი იყვნენ, მაგრამ არ შეიძლება უარყვიოთ, რომ მწერალი დიდი პოპულარობით სარგებლობს არა მარტო ქართულ მკითხველთა შორის. რუსულად თარგმნილმა მისმა რომანებმა „ჩაი“ და „გა-



ნთიადი ხევში“ მილიონობით რუსი მკითხველის აღტაცება დაიმსახურა, რასაც მოწმობს უამრავი წერილი, რომლებსაც მწერალი იღებს მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, ტამბოვიდან, ხარკოვიდან, ფრუნზედან და ა. შ. ბევრი მკითხველი ჰყავს პ. ლორიას მოთხრობებს, რომლებიც „ლიტერატურულ აპარაში“ იბეჭდებოდა.

„მორევი“, „პროვინციელი“, „მახინჯაურელი ჭაბუკი“ — აი რა ახალი პროზაული თხზულებანი დაწერა და გამოაქვეყნა ა. შერვაშიძემ ბოლო წლებში. მწერალმა უკვე დაამთავრა და რუსულ ენაზე მოსკოვში მალე გამოვა ისტორიული-ბიოგრაფიული რომანი „ბაგრატიონი“. ნაწყვეტები ამ რომანიდან დაიბეჭდა „ლიტერატურულ აპარაში“ და მას კარგად იცნობს ჩვენი მკითხველი. ამავე ჟურნალში დაიბეჭდა ა. შერვაშიძის იუმორისტული მოთხრობები „უკუღმართი.“ „ეოლო“ და სხვები, რომლებიც რუსულ ენაზეც ითარგმნა.

დიდი ნაყოფიერებით გამოირჩეოდა პროზაიკოსი კ. რუსიძე. აპარაში მოღვაწეობის დროს მან ზედიზედ გამოსცა რომანები „მოუხსენარი ადამიანები“, „ბეწვის ხილზე“, „ნახიბროლა“, „ჭიდილი მთებში“, აგრეთვე ბევრი მოთხრობა. მათგან განსაკუთრებით საგულისხმოა „მოუხსენარი ადამიანები“, რომელიც ეხება პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის ცალკეულ პრობლემებს პარტიის მეოცე ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე. ცალკეული ნაკლოვანებების მიუხედავად, ინტერესით იკითხება კ. რუსიძის „ჭიდილი მთებში“, რომელიც აპარის დღევანდლობას ასახავს.

პრემიებით აღინიშნა ალ. ჩხაიძის მოთხრობები „მეგობრობა“ და „როცა ბავშვობა მთავრდება“. მასვე ეკუთვნის ვრცელი მოთხრობა „ზღვისპირა ქალაქში“ და მხატვრულ-ბიოგრაფიული ნარკვევა „ზღვის შვილი“, რომელსაც საფუძვლად უდევს სახელოვანი კაპიტანის ელიზბარ გოგიტიძის ცხოვრება და მოღვაწეობა. მალე „ნაკადული“ გამოიცემს ალ. ჩხაიძის ახალ წიგნს ოთხ

გმირ მეზღვაურ ქალზე, რომელზეც დიდი სამამულო ომის წლებში დაწერა ლეს სამშობლო.

ახალი მოთხრობებითა და რომანებით გამდიდრეს ჩვენი ლიტერატურა პოეტებმა ფრ. ხალაშმა, ჯ. ჯაყელმა, შ. როყვამ, პროზაიკოსებმა ი. რურუამ, ალ. სამსონიამ, ნ. მოდებაემ, ნ. ჩხაიძემ, გ. სანაღირაძემ და სხვ. აღსანიშნავია ი. ფაღავას გაბედული ცდა, მან პირველმა სცადა აესახა აპარის შორეული წარსული, აპარელთა თავდადებული ბრძოლა ქართველობის შენარჩუნებისა და დედა-საქართველოსთან კვლავ შეერთებისათვის. სასიხარულოა, რომ ი. ფაღავას წარმატება ხვდა. მისი რომანები „ჩაუჭრობელი კერა“ და „ქედუხრელი“ დიდად პოპულარული მიუღო საქართველოში. მწერალს ხშირად იწვევენ საქართველოს სხვადასხვა ქალაქში და აწყობენ მისი წიგნების განხილვას. ერთი ასეთი განხილვა ამას წინათაც გაიმართა ქუთაისში.

დიდი დანაკლისი განიცადა ჩვენმა პოეზიამ მსოფლიო პოეტის პ. რურუს, განსაკუთრებით კი ლ. გელაძის მოულოდნელი გარდაცვალებით. ლ. გელაძე ფრიალ ნიჭიერი შემოქმედი და საუკეთესო მოქალაქე იყო. მან დაწერა არაერთი შესანიშნავი ლექსი და ჩვენ მისგან ბევრს, ძალიან ბევრს მოველოდით, მაგრამ უბედურმა შემთხვევამ არ დააცალა პოეტს გაფუტრჩქნა თავისი ნიჭი.

მიუხედავად ხანდაზმულობისა, ნ. მაღაზონია კვლავ განაგრძობს ნაყოფიერ შემოქმედებითს მოღვაწეობას. მისი ბოლოდროინდელი ლექსები გვჩნობავს ცხოვრების დიდი გამოცდილებით, მოხუცის სიბრძნით. მან სახელი მოიხვეჭა თავისი ჰაბავეშო ლექსებითაც. პოეტის ნორჩმა მკითხველებმა ზეპირად იციან მისი ბევრი გულშიჩამწვდომი ლექსი და მას თავის უახლოეს მეგობრად თვლიან.

ქართველმა საზოგადოებრიობამ ძლიერ გულთბილად აღნიშნა მამია ვარშანიძის დაბადების ორმოცდაათი წლისთავი და

ნიჭიერ პოეტს ახალი შემოქმედებითი წარმატებანი უსურვა. მ. ვარშანიძე ლირიკოსია, მისი ლირიკის უმთავრესი თემა კი სამშობლოს სიყვარულია. სულ ახლახან გამოვიდა მისი ახალი ლექსების კრებული, რომელსაც საყოველთაო მოწონება ხვდა. მ. ვარშანიძე პირველი პოეტი იყო, რომელმაც მხატვრულ ლიტერატურაში დაამკვიდრა აჭარაში ეროვნულ - განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ - ერთი სახელოვანი მეთაური სელომ ხიმშიაშვილი. მიაი პოემა „ხიხანის არწივები“ ასახავს იმ ბრძოლის ეპიზოდებს, რომელსაც აჭარალები ეწეოდნენ ს. ხიმშიაშვილის მეთაურობით თურქ დამპყრობთა ბატონობისაგან განთავისუფლებისათვის. პოემას მაღალი შეფასება მისცეს მკითხველებმა და ლიტერატურულმა კრიტიკამ, მათ შორის აწ გამსვენებულმა მსცოვანმა კრიტიკოსმა ი. ვართაგავამ.

კრებულიდან კრებულამდე იზრდება ლირიკოსი პოეტი ნანა გვარამაშვილი. მისი მთავარი თემაა აჭარელი ქალი, მისი ყოფაცხოვრება, საქართველოს ბუნება და სიყვარული. კარგი ლექსები დაწერა პოეტმა ქალმა მშვიდობაზე, მშვიდობისათვის ბრძოლაზე. დიდი წარმატებით მუშაობს ნ. გვარამაშვილი საბავშვო პოეზიაშიც. ფართოდ ცნობილია მისი საბავშვო პოემები „თითისტოლა“, „მელია და წიწილა“, „ორი კივი“ და სხვ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოემა „დღეა-ენა“, რომელიც მთელი ქართული საბავშვო პოეზიის სერიოზულ შენაძენად მიიჩნეის კრიტიკოსებმა ვ. ზამბახიძემ, ვ. ჯიბუტმა, პოეტმა მ. მრევლიშვილმა და სხვ.

ოცამდე წიგნის ავტორია ფრ. ხალვაში. მას, როგორც ერთ-ერთ ნიჭიერ ქართველ პოეტს, კარგად იცნობს ჩვენი მკითხველი. დიდი პოპულარობა მოიპოვა მთელ საქართველოში მისმა ლირიკულმა ლექსებმა „მე არ ვიქნები შენი სტუმარი“, „გენაცავლე“, „სიტყვა მთავარი“, „ომი იქნება?“ და სხვ. წელს „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა მისი რჩეული ნაწარმოებების კრებული, რომელშიც

შევ გადა ბოლო ათი წლის მანძილზე მოქვეყნებული პოეტის ლექსები და პოემები. ფრ. ხალვაშის ლექსები იბეჭდება „პრადაში“, გამოდის ცალკე კრებულებად რუსულ ენაზე.

ცნობილი ლირიკოსია გ. სალუქვაძე, რომლის ბევრ ლექსზე ქართველმა კომპოზიტორებმა რ. ლალიძემ, ა. ფარცხალაძემ, ბ. კვერნაძემ და სხვ. შექმნეს ფრიალ პოპულარული სიმღერები. მან სახელი გაითქვა აგრეთვე რუსული პოეზიის ცალკეული ნიმუშების შესანიშნავი თარგმანებით. განსაკუთრებით კარგად თარგმნის იგი რუსი პოეტების ს. ესენინა და ვევ. ვეტუშინკოს ლექსებს.

ნაყოფიერად მოღვაწეობენ აგრეთვე პოეტები ლ. სეიდიშვილი, ჯ. ჯაყელი, ჯ. ქათამაძე, შ. როყვა, ქ. მჭავია, ზ. გორგილაძე, ი. მელია, რ. ართილაყვა, ბ. მეტრეველი. ახალგაზრდა პოეტებიდან დაწინაურდნენ შ. ზოიძე და ც. ანთაძე.

შეუწელებელ აღმავლობას განიცდის ჩვენი დრამატურგია.

დრამატურგმა ა. შერვაშიძემ უკანასკნელ წლებში დაწერა რამდენიმე პიესა, რომელთაგან პირველ რიგში აღსანიშნავია პეროიკული დრამა „ვივა-კუბა!“ („სანტიაგოელი ქალიშვილი“). ეს პიესა პირველად დადგა სევასტოპოლის შავი ზღვის ფლოტის თეატრმა. იმ დღეებში, როცა კარიბის ზღვის რაიონში ფრიალ დაძაბული ვითარება შეიქმნა — 1962 წელს, „ვივა კუბა!“ სევასტოპოლელთა დადგმით გადასცა ცენტრალურმა ტელევიზიამ და იგი მილიონობით მაყურებელმა ნახა. პიესას და სპექტაკლს მაღალი შეფასება მისცა მოსკოვის პრესამ, კერძოდ, გაზეთებმა „სოვეტსკაია კულტურა“, „კულტურა ი. ჟიჟინ“ და სხვ.

რამდენიმე საკუთრადღებო კომედია დაწერა ვ. კანდელაკმა ბათუმში მოღვაწეობის დროს. დიდი წარმატებით იდგმებოდა მისი „ამაღლებული სოფელი“. მაგრამ დრამატურგის ყველაზე თვალსაჩინო ნაშრომებია „მაია წყნეთელი“. ეს პიესა წლების მანძილზე მიდიოდა მარჯანიშვილის სახელობის თეატრში და მუდამ უამრავი მაყურებელი ჰყავდა.

ბოლო წლებში დიდი აღმავლობით
მუშაობენ დრამატურგიის რთულ ჟანრ-
ში ფრ. ხალვაში, ალ. სამსონია, შ. როყ-
ვა, ალ. ჩხაიძე. ამ უკანასკნელის პიესამ
პრემია დაიმსახურა ამას წინათ გამარ-
თულ რესპუბლიკურ კონკურსში, ხოლო
ალ. სამსონიას კომედია — დიპლომი.
ბათუმის თეატრში დიდი წარმატებით
მიდიოდა ფრ. ხალვაშის „ვაზის ტირი-
ლი“, ამჟამად კი ალ. სამსონიას „ჩემი
შვილი სიმონი“, „ზღვა და სიყვარული“,
შ. როყვას „დედა“. მაყურებელმა უკვე
ნახა ალ. ჩხაიძის ახალი პიესა „სიბრძნე
სიკვდილისა“ ჭოლა ლომთათიძის მოტი-
ვების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ ბა-
თუმელ დრამატურგთა პიესები საქარ-
ველოს ბევრ თეატრში იდგმება.

ცალკე უნდა აღინიშნოს კინოდრამა-
ტურგ ს. ჟღენტის წარმატება. მისი სცე-
ნარით შექმნილმა კინოფილმმა „ჯარის-
კაცის მამა“ მსოფლიო მოიარა. მას 108
ჩვენების კინოთეატრებში უჩვენებენ.

განუწყვეტლივ ვითარდებოდა ლიტე-
რატურული კრიტიკა და ლიტერატურის-

მცოდნეობა. ალ. ჩავლეიშვილმა, ნ. დუმ-
ბაძემ, დ. ნაცვალაძემ, პ. ჯორბენაძემ, პ.
ნაცვლიშვილმა, ლ. აბაშიძემ, აგრეთვე დ.
ჭანტურიშვილმა და ი. რურუამ, რომლე-
ბიც შემდეგ თბილისში გადავიდნენ სა-
მუშაოდ, ბევრი საინტერესო სტატია და
წიგნი გამოაქვეყნეს.

* * *

ასეთია გზა, რომელიც განვლო მხატვ-
რულმა ლიტერატურამ აჭარაში. ასეთია
მიღწევები, რომლითაც ვხვდებით დიდი
ოქტომბრის სახელოვან ორმოცდაათი
წლისთავს. მხოლოდ პარტიისა და ხელი-
სუფლების ყოველდღიური მზრუნველო-
ბითა და ხელის შეწყობით იყო შესაძ-
ლებელი ასეთი ნაბიჯი იმ კუთხეში,
სადაც ამ ნახევარი საუკუნის წინათ წე-
რა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი თითებზე
ჩამოითვლებოდა.

ლიტერატურისა და ხელოვნების სწრა-
ფი აღმავლობა აჭარაში ერთი მკაფიო
მაგალითია იმისა, თუ რა მისცა საბჭოთა
ხელისუფლებამ ჩვენს ხალხს.



ინა ლეონა

სინამდვილის რომანტიკის მისადგომებზე

ხელოვნება კარგის გაგების
ერთ-ერთი საშუალებაა.

ლ. ტოლსტოი.

საქართველო ძველთაგანვე იზიდავდა რუს მწერლებსა და პოეტებს. ყოველი მათგანი, ამ საკვირველ ქვეყანაში რომ მოხვდებოდა, შემოქმედებით აღტკინებას განიცდიდა. ეს კავკასიის მომადიდებელი ბუნების, ხალხის „რომანტიკული სინაზის“ წყალობა იყო. ასეთი გავლენა აღუნიშნავს რუსული სიტყვის ყველა ოსტატს. შემთხვევითი როდია, რომ სწორედ ჩვენში, საქართველოში, ა. გრიბოედოვი წარმატებით მუშაობს თავის უკვდავ კომედიაზე „ვაი ჭკუისაგან“; კავკასიაში მოგზაურობის უშუალო შთაბეჭდილებით ქმნის მ. ლერმონტოვი თავის საუკეთესო პოემებს „მწირსა“ და „დემონს“; თბილისში ჰკიდებს კალამს ხელს ლ. ტოლსტოი — აქ შეუდგა თავისი პირველი ნაწარმოების „ბავშვობის“ წერას; პოეტურ სამშობლოს უწოდებდა საქართველოს საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებელი მაქსიმ გორკიც.

საბჭოთა მწერლებისათვის საქართველო მართოდენ ლამაზი ბუნებისა და პოეტური ლეგენდების ქვეყანა როდია. მათს ყურადღებას იპყრობდა ახალგაზრ-

და საქართველოს შრომითი ცხოვრება. აქ ისინი უხვად პოულობდნენ სოციალისტური მშენებლობის, ცხოვრების გარდაქმნის, ადამიანთა ახალი ურთიერთობის ჩამოყალიბების მასალებს.

რუსი საბჭოთა მწერლებიდან ჩვენს რესპუბლიკას ერთ-ერთი პირველი ეწვივნენ ი. ბაბელი და კ. პაუსტოვსკი. ისინი აქ მოცლილ მოგზაურებად როდი ჩამოსულან.

ი. ბაბელმა თანამშრომლობა დაიწყო გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“ და 1922 წლის ივნისიდან დეკემბრამდე საქართველოსადმი მიძღვნილი რამდენიმე ნარკვევი გამოაქვეყნა.

კ. პაუსტოვსკი 1924 წელს რედაქტორობდა ბათუმის გაზეთ „მაიას“ და თანამშრომლობდა გაზეთებში „ტრუდოვი ბატუმ“ და „გუდოკ ზაკავაზია“.

როგორც ერთი, ისე მეორე მწერლის შემოქმედებას კეთილნაყოფიერი კვალი დაჩნია საქართველოში ყოფნამ.

კ. პაუსტოვსკი საბჭოთა ლიტერატურის ისტორიაში შევიდა როგორც სილამაზის მომღერალი და რომანტიკის ერთ-

გული „რანდი“. მისი, ხელოვანის წარმოდგენა „მშვენიერზე“ ერთბაშად როდი ჩამოყალიბებულა. მწერლის პირველ ნაწარმოებებს ახასიათებს ოცნებამორღული მგზნებარება. ნათელი, უჩვეულო ცხოვრებისადმი მისწრაფება, პოეტური სიყვარულის სევდა. ეს თქმის, კერძოდ, მის მოთხრობაზე „რომანტიკოსები“, რომელზეც კ. პაუსტოვსკი 1916 წლიდან 1923 წლამდე მუშაობდა.

თავდაპირველად წარმოდგენა „მშვენიერზე“ უპირატესად ეგზოტიკურ უჩვეულობას უკავშირდებოდა. ეს აიხსნებოდა ცხოვრებისეული გამოცდილების უქონლობით. მას წარმოსახვა ცვლიდა.

წარმოსახვა დიდძალ შემოქმედებით მასალას აძლევს ყოველ ხელოვანს. მაგრამ ხელოვნების ამაღლილი ნაწარმოების შესაქმნელად მხოლოდ წარმოსახვა არ კმარა. საჭიროა სინამდვილის საფუძვლიანი ცოდნა, ფართო ცხოვრებისეული დიპაზონი, ფაქტების შეკვრებისა და განზოგადების უნარი. მხოლოდ ასეთ ნიადაგზე შეიძლება შეიქმნას ხელოვნების ჭეშმარიტი ნაწარმოები.

კ. პაუსტოვსკიმ საჭირო ცხოვრებისეული გამოცდილება შეიძინა, როცა თანამშრომლობა დაიწყო ოდესის გაზეთ „მორიაკში“. აქ რედაქციის დეალებით ხშირად უწევდა მოგზაურობა როგორც კორესპონდენტს. სევასტოპოლი, იალტა, ფეოდოსია, ნოვოროსისკი, სოხუმი, ბათუმი, თბილისი—ასეთი იყო მისი მარშრუტი. გაზეთში მუშაობამ დაუახლოვა მწერალი ცხოვრებას, ხელი შეუწყო მისი პოლიტიკური და მოქალაქეობრივი შეგნების ამაღლებას.

„მორიაკის“ კორესპონდენტად ყოფნისას მწერალი ხანგრძლივად დარჩა ბათუმში და აქ გაზეთ „მაიაკის“ თანამშრომელთა შორის მისი ყურადღება მიიპყრო გრავირობა, რომელმაც თავისი ცხოვრების ამბავი მოუთხრო.

ამ ამბავმა შესძრა კ. პაუსტოვსკი და 1924 წლის ზამთარში აქვე დაწერა მოთხრობა „ეტიკეტები კოლონიური საქონლისათვის“ — ადრეული პერიოდის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოები. მო-

თხრობაში წინა პლანზე წამოწეული წარმოდგენა „მშვენიერზე“ და ეგზოტიკური ვმირდება თემას „ოცნების როლი ადამიანის ცხოვრებაში“. მთავარი გმირია გრავიორი, რომელიც მწერალს გამოყვანილი ჰყავს იოსებ შირინის სახელით.

ამ გმირის ბავშვობამ სულშემსუთავ დაბა კლეცკში განვლო. თითქოს დაბადებისთანავე განისაზღვრა მისი ცხოვრების წრე. საპნისა და საბაყლოს სულშემსუთავი სუნით გაედუნთილი ღუქანი, ქანცის გამწყვეტი ბრძოლა არსებობისათვის. ასე ცხოვრობდნენ თაობიდან თაობამდე მისი წინაპრები, ასეთივე ცხოვრება ეწერა იოსებს, პატარა დაბის ებრაელს, ბავშვობიდანვე დაბეჩავენულს „შე ურისას“ შეძახილებით. ცხოვრების საყრდენების ურღვეველობა შიფრინის ნაამბობში გადმოცემულია ერთი ფრიად მეტყველო დეტალით.

დაბას დიდიდანვე აღვიძებდა იოსკამეტლის ეკიპაჟზე გამომხული ვედრო, იგი თითქოს თავისებური ნაბათი იყო. „იოსკა რომ მოკვდა, ვედრო სხვა ეტლს გამოაბეს. დაბას არ შეეძლო უვედროოდ ცხოვრება. ვედრო რახარახებდა და ისინი გრძნობდნენ თავისი არსებობის აზრს, გრძნობდნენ, რომ ზეცაში არის ღმერთი, ხოლო დედამიწაზე—„ურყევი წესრიგი“, რომლის დარღვევას ვერასოდეს ვერავინ ვერ გაბედავდა.

და ანაზღად ბიჭმა მამისაგან შეიტყო, რომ კლეცკის გარდა, არსებობს საოცარი ქვეყანა ინდოეთი, ხოლო კონსერვის ეტიკეტზე იხილა „ლილასავით“ სქელი ზეცა და ზღვა, რომელმაც წარმოსახვა გაუღიზიანა.

რამდენად საგულისხმოა, რომ ეს ეტიკეტიანი ქილა დედამ გაყიდა, ბავშვს წაერთვა შესაძლებლობა სურათზე მაინც ეხილა თუნდაც ერთი ციკქნა ნაჭერი სხვა სამყაროსი.

ბავშვობის შთაბეჭდილებანი სიღრმით გამოირჩევა და ამიტომ განსაკუთრებულ გავლენას ახდენს ხასიათის ჩამოყალიბებაზე. ასე გაუღვიძა ბიჭს მოგზაურობის წყურვილი მამის ნაამბობმა ინდოეთზე და ნახულმა სურათმა.

ეს ვნება თავისებური პროტესტი იყო „წვიმებითა და ცხენის ქაფიანი შარდით წალეკილი ვიწრო ებრაული დაბების წინააღმდეგ, იოსკას ეტლზე გამობმული თუნუქის ვედროს გულის გამაწყალებელი რახახის წინააღმდეგ“.

და რაც უფრო სულშემსუთავი იყო გარემო, მით უფრო ფერადოვანი იყო ამაყვილის წარმოდგენა სხვა ცხოვრებაზე, სინათლით, მოძრაობით, სილამაზით აღსავსე ცხოვრებაზე.

წარმოდგენა „მშვენიერზე“ მცხუნვარე მზით განათებული შორეული ქვეყნების კონკრეტულ სახეს იძენდა. მაგრამ შიფრინი, რომელიც ისწრაფის თავი დააღწიოს დამყაყებულ ყოფას, საკუთარი წარმოსახვის ტყვეობაში ექცევა. ეს წარმოსახვა არსებითად მიჯნავს მას ცხოვრებისაგან, საშუალებას არ აძლევს დაინახოს დედამიწის სფერო.

შიფრინის პროტესტი უხამსი ზინამდვილის წინააღმდეგ პასიური იყო. ამან ჩამოაშორა იგი დიდ ცხოვრებას, რომელიც სადღაც ახლოს, გვერდით დუღდა, და ომების, რევოლუციების სახით გაირბინა. ფანტიკურ გატაცებას ზედღზედ მოჰყვა უბედურება: ჯერ ცოლის, შემდეგ ერთადერთი ქალიშვილის სიკვდილი, ბოლოს დაღლილობა და სულიერი სიცარიელე.

კრიტიკულ ლიტერატურაში შეიქმნა აზრი, რომ კ. პაუსტოვსკის ეს გმირი პასიური ადამიანია, რომელსაც არ აღმოაჩნდა უნარი ებრძოლა თავისი ოცნების განსაზოგოვებლად. ჩვენ კი ვფიქრობთ, შიფრინს პასიულობა არ უნდა დავწამოთ. იგი ერთ წუთსაც არ ყოფილა უქმად, ცდილობდა ხორცი შეესხა თავისი განზრახვებისათვის, ქანცს იწყევტდა მუშაობით და ისე აგროვებდა გზის ფულს. შიფრინი დიდი გულმოდგინებით სწავლობდა საზღვაო რუკებს, ბოლოს კი დაღუეული, უსახური სპორტს მიეტანა, ეჩვეოდა სიცივეს, მკაცრ ცხოვრებას. ყოველივე ამით იგი მკვეთრად გამოირჩევა მანილოვისებური მეოცნებისაგან.

მოთხრობის მამხილებელი პათოსი, დეკლამაციურობა იმ იდეალის შინაარსს, რომელსაც შიფრინი ამკვიდრებს, და არა ამ იდეალისთვის ბრძოლის ხაზთან. შიფრინის წარმოდგენას „მშვენიერზე“ ახასიათებს უკიდურესი ბუნდოვანება და ზვეთრად გამოხატული ინდივიდუალიზმი. „ყოველი დღე, — ამბობს შიფრინი, — მიახლოვებდა იმას, რასაც ველოდი, — თეორ შუაღლებს, მწვანე ხმელთაშუა წყალს, ხომალდების მაგარ გემბანებს“.

ამ ოცნებას ფაქტიურად შინაარსი არა აქვს. გმირი მხოლოდ ფორმის მოჩვენებით სილამაზეს გაუტაცია. შიფრინმა არ შეიწყნარა კლევკის დახვედრებული ცხოვრება, დამალა მას, თავის თავში ჩაიკეტა. მისთვის აღარ არსებობდნენ ადამიანები, ყველაზე მახლობელნი და ერთგულნიც კი. მან თავის ოცნებას შესწირა ცოლი და ქალიშვილი. მაგრამ ყოველგვარი მსხვერპლი გამართლებულია მხოლოდ მაშინ, თუ იგი დიად, მაღალ მიზნებს ეწირება.

ასე გამოვლინდა კ. პაუსტოვსკის ერთ-ერთ აღრინდელ ნაწარმოებში იდეალის შეფასების კრიტერიუმი — ადამიანების სამსახური, აქტიური პუშმანიზმი.

ავტორი გმობს შიფრინს, თავის ვიწრო სამყაროში ჩაქტილ კაცს, რომელსაც არაფერი არ აკავშირებს ადამიანებთან. ავტორის პოზიციას გამოხატავს მოთხრობელი. იმ დროს, როცა გრავიორს ჯცხო ქვეყნების წარმოსახული სილამაზე იტაცებდა, მოთხრობელი სინამდვილის სილამაზით ტკბება:

„გარეთ გამოვედი და მძაფრმა ქარმა სახეში მომაფრქვია მშვენიერი, მობობოქრე ზღვის სურნელება“.

იგი აღსავსეა ენერგიით, მას უხმობს მჩქეფარე ცხოვრება, და იგი მზად არის მის შესახვედრად.

განსაკუთრებით დიდ აზრობრივ დატვირთვას შეიცავს მოთხრობის თავი „შემოდგომის სიმქრქალე“. მასში ვადმოცემულია მოთხრობელის სასიხარულო-პოეტური აღქმა ცხოვრებისა. მისთვის უცხო როდია ოცნება „ოკეანეზე, ვერცხ-



ლისფერ გაზაფხულზე, უცხო და უდაბური ნაპირების ყვითელ ქვიშაზე“. მაგრამ ამავე დროს ფაქიზად გრძნობს ბათუმის თავზე მოქანავდ ლურჯი ჰაერის სილამაზეს, პოეტურად აღიქვამს შემოდგომას.

მაგრამ მოხრობელის იდეალი კონკრეტულად არ არის გამოხატული მოთხრობაში. მკითხველი მხოლოდ გუمانით გრძნობს, რომ ეს გმირი ისწრაფის აქტიურად იმოქმედოს, რომ მისი ბათუმიდან გამგზავრება გამოწვეულია სურვილით — გადაეშვას რევოლუციური ეპოქის მოვლენათა ორომტრიალში. ახალი წარმოდგენა იდეალისა და მისი მიღწევის გზებზე მხატვრულად შეისხამს სიორცს მწერლის უფრო მოგვიანო ნაწარმოებებში.

მაგრამ უკვე ოცინი წლების დამდეგს შეინიშნება კავშირი „მშვენიერზე“ წარმოდგენასა და სინამდვილისადმი აქტიური დამოკიდებულებას შორის. ამ მხრივ მოთხრობა „ეტიკეტები კოლონიური საქონლისათვის“ შეიძლება საპროგრამო ნაწარმოებად ჩაითვალოს.

დაუცხრომლად იბრძვის რა მშვენიერი და ამაღლებული ოცნებისათვის, მწერალი, რომელმაც ისაი იყო დაიწყო თავისი შემოქმედებითი გზა, ამკვიდრებს პრინციპს: მშვენიერია თავად ცხოვრება, მშვენიერია იმალება ჩვენს ირგვლივ, აღონდ, მოჩვენებითი სილამაზით გატაცებულად აღამიანო, გვერდი არ აუქციო მას.

შემოქმედებისათვის ძვირფასი ფაქტები იპოვა საქართველოში ოცინი წლების პირველ ნახევარში მეორე საბჭოთა მწერალმაც ი. ბაბელმა. 1932 წელს თავისი „შემოქმედებითი ლაბორატორიის“ შესახებ რომ ლაპარაკობდა, ი. ბაბელმა შემთხვევით როდი გაიხსენა 1922 წელი, თბილისის გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“ თანამშრომლობის დრო. „რეპორტაჟზე მუშაობამ, — აღნიშნა მწერალმა, — არაჩვეულებრივად ბევრი რამ მომცა მასალის მხრივ და შემოქმედებისათვის ძვირფას უამრავს ფაქტს გადამყარა“.

ამ მუშაობის წყალობით მწერალმა რეალურად შეიგრძნო რევოლუციური რეაქმნათა შემოქმედებითი ხასიათი. მან მოინახულა აჭარისა და აფხაზეთის სოფლები, და ყოველივე ნახულზე მოგვიცხრო თავის ნარკვევ-ნოველებში, რომლებიც აღბეჭდილია ბაბელის სტილის შემოქმედებითი განუმეორებლობით.


ი. ბაბელი მიეკუთვნება პირველ საბჭოთა მწერალ-რომანტიკოსებს.

გარე სამყარო მის ნაწარმოებებში ჩვეულებრივ გმირთა გრძნობების ასახვის მეშვეობით არის ნაჩვენები. ამიტომ მათში ქარბობს ლირიკულ-ემოციური თხრობა. ლირიკულ-რომანტიკული ნაყადი გასდევს მწერლის „ქართულ“ ნარკვევებსაც. ბათუმში ყოფნისას ბაბელი მოწამე იყო რევოლუციის დროს საზღვარგარეთ ქურდულად გატაცებული გემების დაბრუნებისა. ახალმა „პატრონებმა“ იქ გეგები ზელახლა შედეგს, სახელი გამოუცვალეს, მაგრამ ეს ფანდი არ გაუედიათ და აჭარის სახალხო სასამართლოს დადგენილებით ისინი დაუბრუნეს საბჭოთა სახელმწიფოს.

ეს ამბავი დაედო საფუძვლად ნარკვევს „კამო და შაუმიანი“, რომელიც გამსჭვალულია გემების დაბრუნებით გამოწვეული სიხარულით, ასე რომ ესაჭიროებოდა ჩვენს ქვეყანას, განსაკუთრებით იმ წლებში.

გემები სამშობლოს დაუბრუნეს ახალგაზრდა რიგითმა მშრომლებმა, რომელთაც გამოიტანეს განაჩენი და აღასრულეს იგი. ამ გაბედულებამ აღაფრთოვანა ი. ბაბელი, ვინაიდან კერძო შემთხვევაში მან მშრომელთა — თავისი ქვეყნის ნამდვილ ბატონ-პატრონთა ნების გამოხატულება დაინახა.

აქ ყოველი დეტალის აღწერაში იგრძნობა სისიხარულო განწყობილება. განსაკუთრებით დღესასწაულებრივი იერი აქვთ თოვლივით ქათქათა გემბანიან და ანძებიან გემებს, „რომლებიც მწყობრად და მძლავრი ხაზით კვეთენ ჰორიზონტს“.



ი. ბაბელმა დაათვალიერა აქარის ჩაის პლანტაციები და ნანახი თუ გაგონილი აღწერა ნარკვევში „ჩაქეში“. აქ იგრძნობა დაძაბული შრომა ახალი, სოციალისტური მეურნეობის შესაქმნელად, ცხად-ლივ ჩანს პირველი წარმატებები — ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციების დიდი შემოსავალი.

მწერალი აღფრთოვანა არა მხოლოდ რესპუბლიკის სამეურნეო წარმატებებმა, იგი, როგორც სილამაზის ტრფიალი, მოაჯადოვა აქარის ბუნებამ და ეს მხატვრულად აისახა ამ ნარკვევში. „ქამერფსები და ძვირფასი პალმები უძრავ არშიად შემოვლებიან ჭათამაშო გზებს. ეკალიბტების ვერცხლისფერი მტვრიანი ფოთლები კვეთენ შემწიფებულ ცის მინდვრებს — და მთელი ეს ხუჭუჭა, შეკრეპილი მშვენიერება ათრობს სულს, იაპონური აბრეშუმისა და აფერადებული მარაობის უფაქიზესი ხაზებით“.

ბუნების მშვენიერებით გატაცება ხელს არ უშლიდა მწერალს შეხებოდა რესპუბლიკის სამეურნეო ცხოვრების პრაქტიკულ საკითხებს. ასე, მაგალითად, ი. ბაბელმა ნარკვევში „თამბაქო“ მძაფრად გააკრიტიკა აფხაზეთის თამბაქოს პლანტაციებში შექმნილი მდგომარეობა.

კრიტიკოსები დიდხანს ფიქრობდნენ, რომ ბაბელი თავის შემოქმედებაში ისწრაფის დაძლიოს სინამდვილე და ეს მისწრაფება წარმოშობს ცხოვრების რომანტიკულად შეფერადებას.

ძნელია დაეთანხმო ასეთ შეხედულებას. ი. ბაბელს უყვარს ცხოვრება და სრულიად არ ცდილობს გაექცეს მას. ასე, მაგალითად, ნარკვევი „გაგრა“ რომანტიკულად აღზევებული თხრობაა მიყრუებულ პატარა ქალაქზე, „რომელიც წვიმითა და ტლაპოთი გაპრცენილ ლამაზს ქალსა ჰგავს, ან კიდევ ვოლგის დამშუულ სოფლებში საგასტროლოდ ჩამოსულ ესპანელ მოცეკვავე ქალთა გუნდს“. ზე-

აწეული ეგზოტიკური აღწერა აქ აქლივსურ რებს რღვევის შთაბეჭდილებას, რომელიც უნდა დაიძლიოს. სწორედ ამ მიზანს ისახავს ბაბელის ნარკვევი. იგი მოგვაგონებს, რომ „უგუნურთა“ ამ წლებში დაცლილი სასახლეები მილიონობით მშრომელს უნდა ემსახურებოდეს.

ბაბელის თითქმის ყველა მხატვრულ ნაწარმოებში თხრობა წარმოებს მთხრობელის სახელით, რომელიც ნაწარმოების გმირი ხდება. ამ გმირის აღქმის პრიზმით წარმოებს სინამდვილის „გადაღება“. ასეთსავე გმირ-მთხრობელს ვხვდებით ი. ბაბელის ნარკვევებშიც.

ავტორი-მთხრობელი უშუალოდ მონაწილეობს მოვლენებში, გვიჩვენებს თავის დამოკიდებულებასა და გრძნობებს. ერთ-ერთ ნარკვევში ჩვენ ვხედავთ ოდნავ დამცინავ ლირიკოსს, მეორეში — ხუმარას, მწვავე ოხუნჯობის მოყვარულს, ან აღფრთოვანებულ რომანტიკოსს, ან კიდევ მრისხანე კრიტიკოსს. მაგრამ ყველა ნარკვევში გაისმის მწერალი-მოქალაქის მგზნებარე ხმა. ჩვენ ვგრძნობთ მის სიყვარულსა და მღელვარებას, მის სწრაფვას ცხოვრებისადმი.

ი. ბაბელის „ქართულ“ ნარკვევებს აერთიანებს მთავარი თემა, რომელიც თითოეულ მათგანში თავისებურად გადატყდება ხოლმე — ეს არის ახალგაზრდა რესპუბლიკის მშენებლობის თემა — მშენებლობისა ყველა ფრონტზე.


თვითონ მშენებლობის პროცესი არ არის ასახული, და მაინც ეს მშვენიერი მინიატურები გვაგრძნობინებენ დაძაბულობასა და დიად გარდაქმნებს. და რა დაბრკოლებებსაც არ უნდა ხვდებოდნენ აღამიანები თავიანთ გზაზე, — მათი მიზანი მშვენიერია და მომავალიც მათია. ასეთია ი. ბაბელის ნარკვევების ლაიტ-მოტივი.

ადამიანები, მათი შრომა და ბუნება ამ ნარკვევებში უჩვეულოდ ლამაზ შენაღ-ნობად წარმოგვიდგება, ისინი აღბეჭდი-ლია მწერლის ნიჭიერებით, მწერლისა, რომელსაც დამსახურებულად უწოდებენ სიტყვათა „მომთვინიერებელს“.

რა შორსაც არ უნდა იყოს შინაარსითა და ფორმით ი. ბაბელის მხატვრული ნა-რკვევები კ. პაუსტოვსკის ნოველისაგან „ეტიკეტები კოლონიური საქონლისათ-ვის“, მათ აახლოებს, აერთიანებს ორივე ავტორის მისწრაფება — ჩ ა ს წ ე დ ნ ე ნ

ცხოვრების სილამაზეს. ეს საფუძველს გვიქმნის ვთქვათ, რომ მათი სახით ისინი მიაღწენ სინამდვილის რომანტიკას.

სასიამოვნოა, რომ კ. პაუსტოვსკისა და ი. ბაბელის შემოქმედებისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი პროცესი საქართველოში დაიწყო, და უსაფუძვლო როდია ვა-რაუდი, რომ კავკასიის განუმეორებლად ლამაზმა ბუნებამ, მისი ხალხის დაძაბუ-ლმა შემოქმედებითმა შრომამ ახალი ცხოვრების ასაშენებლად ერთგვარად განსაზღვრა ეს მნიშვნელოვანი შემოქმე-დებითი გარდაქმნები.



მიხეილ მშვილდოძე სულიერი ნათესაობა

„ვეფხისტყაოსანთან“ ნ. ბარათაშვილის პოეზიის დამოკიდებულების
საკითხისათვის

რუსთაველისა და ბარათაშვილის პოეტური ურთიერთდამოკიდებულების საკითხი არაერთხელ ქცეულა მსჯელობის საგნად და ბევრი საყურადღებო აზრი გამოითქვა. მათი გაცნობა დაგვეხმარება უკეთ გავითვალისწინოთ „ვეფხისტყაოსნისა“ და „მერანის“ უკვდავი ავტორების სულიერი ნათესაობა.

ჯერ კიდევ 1852 წელს გაზეთ „კავკაზში“ ქართული თეატრის შესახებ გამოქვეყნებულ სტატიაში ქართველმა პოეტმა და თეატრალურმა მოღვაწემ მიხეილ თუმანიშვილმა შოთა რუსთაველისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ენა ეროვნული რეპერტუარის შექმნის სტიმულად მიიჩნია. გავიდა რამდენიმე წელი და თავის პირველსავე სტატიაში „ორიოდ სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვის მიერ „შე-

შლილის“ თარგმნაზედა“ ილია ჭავჭავაძემ ერთ სიბრტყეზე დააყენა რუსთაველისა და ბარათაშვილის შემოქმედება. „როცა ვკითხულობდით თარგმნილ „შეშლილს“, — წერდა იგი, — სწორედ უნდა მოგახსენოთ, ხან გვეცინებოდა და ხან გვეწუხებოდა, რომ ეგრეთ უენო ენად ვნახეთ ჩვენი საყვარელი ენა, ის ენა, რომელზედაც დაილილია ჩვენმა უკვდავმა რუსთაველმა თავისი უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“, ის ენა, რომელზედაც დაიგალობა თავისი ღვთიური სიმღერები თავად ალექსანდრე ჭავჭავაძემ, ის ენა, რომელზედაც თავად ნ. ბარათაშვილმა, მაგ უდროოდ დამარხულმა ჩვენმა იმედმა ჰარმონიულად და ნაღვლიანად დაიმღერა „ქართლის ბედი“ და თავისი მართლა და ზეგარდმო შთაგონებული წვრილი ლექსები! რომ არა გვეყვან-

დნენ რუსთაველი, ალ. ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, კიდევ ჰო! რომ გვეყვანან, რატომ არა ვსწავლობთ იმათ მშვენიერს ლექსებში მშვენიერს ენას?“

ამავე სტატიიში დიდი ილია „ვეფხისტყაოსანს“ რომანტიკულ ნაწარმოებად თვლის, ხოლო რუსთაველის მიმბაძველებს ცრუ-კლასიკოსებად აცხადებს. ამ დებულებას დღეს ვერ გავიზიარებთ, რადგან რომანტიზმი გაცილებით გვიანდელი მოვლენაა. ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორია ასცდა იმ ობიექტურ მიზეზებს, რომლებმაც განაპირობეს კლასიციზმ-სენტიმენტალიზმის განვითარება რუსულ და ევროპულ ლიტერატურაში. მაგრამ „ვეფხისტყაოსნის“ რომანტიკულ ნაწარმოებად გამოცხადების თვით ფაქტი დიდად საგულისხმოა, რადგან რომანტიკოს ნ. ბარათაშვილის პოეტური სტილი მართლაც დავალებულია ამ ნაწარმოებით.

სტატიიში „რამდენიმე სიტყვა „ჩანგურის“ შესახებ“ („ცისკარი“, 1865, № 9) აკაკი წერეთელმა დასვა ქართული მწერლობის მეცნიერული შესწავლის ამოცანა და ხაზგასმით აღნიშნა: „ის კაცი, რომელსაც წინ უდევს რუსთაველი, ბარათაშვილი და ჭავჭავაძე, სტყუა ამ სიტყვებით, არაფერი გვაქვსო!“ ფრიალ საყურადღებოა აკაკი წერეთლის მსჯელობა ნ. ბარათაშვილის პოეზიის მაღალ მოქალაქეობრივ პათოსზე, რაც გამოიხატა აფორიზმში „არც

კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს“. ამ დიდი აზრით აღფრთოვანებული აკაკი წერდა: „ამ გზით მიდიოდნენ ზღაპრული გმირები უკვდავების წყაროს მოსატანად. ამ გზით იარა ნესტან-დარეჯანის მძებნელმა ტარიელმაც: მიწდვრად მეკობრენი უხვდებოდნენ, ტყეში — მხეცები, შამანარში — ლომ-ვეფხვი და ქვაბში — დევები, მაგრამ არ შეუშინდა ბედს!.. მსლებელნი გაუწყვიტეს და თვითონ-კი მაინც გადარჩა და გამოიხსნა სათაყვანო. აი, ამ გზით, სწორედ ამ სახიფათო გზით გაივლის მომავალი ტარიელი, ჩვენის ცხოვრების საერო გმირიც, და ჩვენ-კი, როგორც ტარიელს მისმა მსლებლებმა, ხელი უნდა შეუწყოთ მის გამირობას და თავი მსხვერპლათ დავდვათ!“

რუსთაველის გენიას ნ. ბარათაშვილი პირველად ღვიმელმა გაუტოლა. „წაიკითხეთ გონების თვალით, გულდასმით რამდენჯერმე იმის ლექსები, — წერდა 1865 წელს „ცისკარში“ ღვიმელი, — გაიგეთ ნამდვილი იმათი მნიშვნელობა და მაშინ, გარწმუნებთ, ყველა ერთხმად დასძახებთ, რომ „ჩვენი ნ. ბარათაშვილი გენიით რუსთაველის ძმაო“. ამ გვარო ჩემგან შედარება ბევრს ემწუთება თუ როგორ გავბედე! მაგრამ რა გაეწყობა, ჩემო ბატონებო!“

ამ საკითხის მეცნიერული ახსნით არც აკაკი დაინტერესებულა, მაგრამ ნ. ბარათაშვილის ნეშტის



განჯიდან თბილისს გადმოსვენებისას წარმოთქმულ სიტყვაში მან ეს ორი დიდი პოეტი კონგენიალურად მიიჩნია. „აქომამდე, — ამბობდა აკაკი, — ჩვენ წარმოვიდგენდით თამარს თავზედ ძლევა-მოსილი გვირგვინით, რომელსაც გვერდით უდგა ძლიერი ჩანგით საკადრისი მისი მღერალი რუსთველი. დღეიდან უფრო დასრულებული იქნება ეს ხატი. მეორე გვერდით ედგომება ბარათაშვილი“.

პოემის „ბედი ქართლისა“ გმირ ქალს სოფიოს აკაკი თამამად აყენებდა ნესტან-დარეჯანისა და თინათინის გვერდით. ამაზე მიგვანიშნებს მისი ფრაზა: „ძველად ჩვენი ქალები არ ტატიანობდნენ, ნესტან-დარეჯანობდნენ, თინათინობდნენ და სოფიაობდნენ“. მისი აზრით, რუსთაველსა და ბარათაშვილს ისა აქვთ საერთო, რომ ორივე ზუსტად იცავს ჭეშმარიტი ხელოვნების არსებით ნიშანს — სიტყვისა და აზრის კომპაქტურობას, გამოხატვის საშუალებათა სიძუნწესა და ეკონომიურობას.

1870 წელს პროფ. ალ. ცაგარელმა გაზეთ „დროებაში“ გამოაქვეყნა სტატია „ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში“, რომელშიც XIX საუკუნის ქართული მწერლობის ზოგადი დაზარალება სცადა. ამ სტატიაშიც საყურადღებო მოსაზრებანია გამოთქმული რუსთაველისა და ბარათაშვილის პოეზიის ურთიერთდამოკიდებულებაზე. ალ. ცაგარელი საგანგებოდ ჩერდება ნ. ბარათა-

შვილის პოეტურ ოსტატობაზე და აღნიშნავს, რომ გრძნობის ძალითა და სიმაღლით, პოეტური წარმოსახვის სიმდიდრით, ლექსის თავისუფალი, ძალდაუტანებელი მდინარებით, საგნის მონოლითურად გამოხატვით, ადამიანის გულის მოძრაობის ოსტატური გამოთქმით, მცირე სიტყვით ბევრის თქმით, მკითხველის სულში ღრმად ჩაწვდომის უნარით ნ. ბარათაშვილი ძნელი შესადარებელია ყველა ჩვენს პოეტთან, გარდა რუსთაველისაო.

გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეს“ 1884 წლის 12 (24) აგვისტოს ნომერში გამოქვეყნდა ნ. ბარათაშვილის პოეტური შედეგების „მერა-ნი“ პირველი რუსული თარგმანი. იგი ეკუთვნოდა ქართული მწერლობის მოამბეს თ. ტხოჩევსკის, რომელმაც უფრო მოგვიანებით გამოსცა კრებული „გრუზინსკიე პოეტი ვ ობრაზცახ“. გაზეთმა „დროება“ აღნიშნა, რომ თ. ტხოჩევსკიმ შესანიშნავად დაიცვა „გულის მომტაცი და ვნებათა ამღელვებელი, სამოქალაქო დარდითა და ვარამით ავსებული აღმაფრენა ნ. ბარათაშვილის პოეზიისა“. ლექსის ტონის მიმცემი სტროფი „ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის“... ისეა თარგმნილი, რომ დედანს არ ჩამოუფარდებაო. შემდეგ გაზეთი ეხება ტხოჩევსკის სურვილს „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე კარის რუსულად თარგმნის თაობაზე და დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ „ბარათაშვილის „მერანის“ გადამთარგმნელს რუ-

სთაველის პოეზიის შეგნებაც აღარ გაუჭირდება.“

1889 წელს ილია ჭავჭავაძის გაზეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა მიხეილ ვეზირიშვილის გამოკვლევა „ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი პოეზია“, რომელიც კრიტიკოსის აღმზრდელმა პეტრე უმიკაშვილმა შეაფასა, როგორც „მშვენიერი წერილი“. ნ. ბარათაშვილის შემოქმედების მაგალითზე კრიტიკოსმა გვიჩვენა, „თუ რის შემძლებელი ყოფილა ქართული ენა“. გამოკვლევაში ზუსტად არის დახასიათებული ნ. ბარათაშვილის ენა და ნაჩვენებია იმ აზრის უსაფუძვლობა, „ვითომ ქართული ენა იყოს ღარიბი“. რუსთაველიც რომ არ გვყოლოდა, წერს კრიტიკოსი, მარტო ბარათაშვილის ლექსები საკმაო საბუთია, რომ სამუდამოდ გადაიტოს ეს ტყუილი მითქმამოთქმამო.

მრავალმხრივ საყურადღებოა ცნობილი ლიტერატორის იონა მეუნარგიას ნაშრომი „ცხოვრება და პოეზია ნიკოლოზ ბარათაშვილისა“. მასში წამოყენებულია მოსაზრება ნ. ბარათაშვილის „მერანისა“ და ადამ მიცევიჩის პოემა-ბალადის „ფარისის“ მსგავსების შესახებ. ამ ორი ნაწარმოების თავისებური ანალიზით ი. მეუნარგიამ გამოიტანა უმართებულო დასკვნა, რომ პირველი მეორის მიბადება. მაგრამ მან შენიშნა რუსთაველისა და ბარათაშვილის პოეტურ გააზრებათა შეხვედრაც, რასაც „რუსთაველის ტაეპის გახსენება“ უწოდა. მოიტანა რა „მე-

რანის“ სტრიქონები („ნუ დავიწყებულ რხო ჩემსა მამულში“), იონა მეუნარგიამ აღნიშნა, რომ ეს აზრით რუსთაველს არა აქვს ბარათაშვილზე უკეთესად გამოთქმული ავთანდილის ცნობილ ანდერძშიო („თუ საწუთრომან დამამხოს“...). ყოველ შემთხვევაში, დასკვნა იგი, „ამ ორი სტროფიდან უკეთესის ამორჩევა გემოვნებაზეა დამოკიდებულიო“.

თანამედროვე ქართულმა ლიტერატურისმცოდნეობამაც „მერანის“ შორეულ სათავეს რუსთაველის შთაგონებაში დაუწყო ძიება. შემჩნეულია, რომ ავთანდილსაც და ბარათაშვილის ლირიკულ გმირსაც ერთი მიზანი ამოძრავებთ—მეგობრის, მოძმის დახმარება. დაიძებნა სხვა შემხვედრი მასალაც. მაგალითად:

„სად დამიღამდეს, იქ გამოთენდეს,
იქ იყოს ჩემი მიწა სამშობლო,
მხოლოდ ვარსკვლავთა თანამავალთა
ვამცნო გულისა მე საიდუმლო“.
(„მერანი“)

„რა შეუღამდის, ვარსკვლავთა
ამოსვლა იამებოდის,
მას ამსგავსებდის, ილხენდის,
უჭვრეტდის, ეუბნებოდის“.
(„ვეფხისტყაოსანი“)

„შავი ყორანი გამოიხრის საფლავს,
მღელვითა შორის ტილი მინდვრის...
ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად
მივალალებენ სევანი მყივარნი“.
(„მერანი“)

„შენთვის მოკვდები, გავხდები
ყორანთა დასაყივარად“.
(„ვეფხისტყაოსანი“)

ეს ტაეპები ნათელყოფს, რომ „მერანი“ მართლაც დავალებულია შოთა რუსთაველის გენიალური ქმნილებით.

1898 წელს ჟურნალ „მომხმე-ში“ დაიბეჭდა კიტა აბაშიძის ეტიუდი „ნიკოლოზ ბარათაშვილი“. მასში გაზიარებულია ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში გამოთქმული მოსაზრება რუსთაველისა და ბარათაშვილის სულიერ ნათესაობაზე, ოღონდ იგი ახალი შტრიხით არის შევსებული. კიტა აბაშიძემ, კერძოდ, აღნიშნა, რომ ნ. ბარათაშვილმა რუსთაველისაგან ისესხა ზნეობრივი აზრი სიკვდილის შესახებ.

1904 წელს ბათუმში სპ. ჭელიძემ გამოსცა ნ. ბარათაშვილის ლექსები. „წინასიტყვაობაში“ იგი შეებრძოლა მის მიერ ცალმხრივად გაგებულ კ. აბაშიძის გამონათქვამს, ნიკოლოზ ბარათაშვილის გაჩენა ჩვენს ცხოვრებაში „შემთხვევითობის“, „ბუნების ყინიანობის“ შედეგად. ამის საწინააღმდეგოდ სპ. ჭელიძე ამტკიცებდა: „რომ ბარათაშვილისთანა პოეტი წარმოშობის რომელიმე ერმა, საჭიროა ისეთი ისტორიული წარსული და კულტურა ჰქონდეს, როგორიცაა გვაქვს ჩვენ, ქართველებს“. და აი იმის დასამტკიცებლად, რომ ქართული ლიტერატურა განვითარების მაღალ საფეხურზე იდგა, კრიტიკოსმა მოიშვე-

ლია „ვეფხისტყაოსანი“ და „ვეფხისტყაოსანთან“ ბარათაშვილის დროედ, — წერს იგი, — ჩვენი ისტორიის ჰორიზონტზე მწერლობის სფეროში ორი დიდებული ფიგურა მოჩანს: შოთა რუსთაველი და დავით გურამიშვილი. აი ჩვენი ეროვნული მწერლები, თავ-თავის ეპოქის ღვიძლი შვილები. მათ გვერდში ამოუდგა ნ. ბარათაშვილი, იგი გახდა მამამთავარი მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის“.

თვალსაჩინო ქართველი პედაგოგი ილია ფერაძე სტატიაში „ნიკოლოზ ბარათაშვილი (ცხოვრების აღწერითი ცნობები)“, რომელიც 1912-1913 წლებში ჟურნალ „განათლებაში“ დაიბეჭდა, სხვა საკითხთა შორის ნ. ბარათაშვილის სატრფიალო ლირიკასაც შეეხო და თქვა, რომ დიდი რომანტიკოსი პოეტი მტკიცედ იცავს რუსთაველის შეხედულებას სიყვარულის შესახებ, რუსთაველი კი უმღეროდა წმინდა სიყვარულს და მის განდიდებას მიუძღვნა თავისი უკვდავი პოემა.

ასე იდგა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანთან“ ბარათაშვილის პოეზიის დამოკიდებულების საკითხი რევოლუციამდელ ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში.





ახალ სურგულაძე

აჭარა ოქროშის კავშირისათვის ბრძოლაში

დიდი ოქროშის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ პეტროგრადში დიდი გავლენა მოახდინა იმპერიის განაპირა კუთხეებში რევოლუციური მოძრაობის აზვირთებაზე. საბჭოების მეორე ყრილობის მოწოდებებმა „მთელი ძალა-უფლება საბჭოებს!“, „ფაბრიკები და ქარხნები — მუშებს!“, „მიწა — გლეხებს!“, „მშვიდობა — მსოფლიოს!“ მძლავრად დაიქუხა ჟიკიდევანო რუსეთში და ფეხზე დააყენა ჩაგრული მასები. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გაჩაღდა ბრძოლა ადგილებზე საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად. ბრძოლაში ჩაება აჭარაც.

ეს არ იყო შემთხვევითი. პირველმა მსოფლიო ომმა მოშალა აჭარის მრეწველობა, დასცა სოფლის მეურნეობა, ეპიზოდური პოლიტიკური რეპრესიები, რამაც მოსახლეობის დიდი უმრავლესობა გამოიწვია და არსებული წყობილების წინააღმდეგ აამხედრა. სამწუხაროდ, ეს ბრძოლა აჯანყებაში არ გადაზრდილა. ცარიზმმა ჯერ კიდევ ომამდე სერიოზული დარტყმა მიიყენა აჭარის მშრომელთა ავანგარდს

— ბათუმის ბოლშევიკურ ორგანიზაციას. ამიტომ აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი პრალის პარტიულ კონფერენციაზე (1912 წ. იანვარი), რომ „ბათუმში არალეგალური მუშაობა არააო“. მართალია, მომდევნო პერიოდში ბოლშევიკური ორგანიზაცია აღსდგა, მაგრამ აღრინდელ ძლიერებას ვეღარ მიაღწია. ამან, აგრეთვე მუშათა ძველი კადრისა და რევოლუციონერთა უმრავლესობის ქარში გაწვევამ ბათუმში 1917 წლისათვის მენშევიკების გაბატონება გამოიწვია. ამის გამო მშრომელთა ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ვერ გამოიყენეს ხელსაყრელი პირობები და ბრძოლის ნაცვლად დროებითი მთავრობისათვის მხარდაჭერის გზა აირჩიეს. მაგალითად, ბათუმის საეპრო ფლოტის მეზღვაურთა კომიტეტის 1917 წლის 14 აპრილის რეზოლუცია ხალხს ურჩევდა:

„მოვიკრიბოთ ძალები და უარვყოთ ყველა წვრილმანი უთანხმოება ომის გამარჯვებამდე მისაყვანად, რადგან საბოლოოდ მხოლოდ მაშინ შევძლებთ სისხლით

1 ჟურნ. „პროლეტარსკაია რევოლუცია“, № 1, 1941, გვ. 149.

მოპოვებული თავისუფლების განმტკიცებასო“.²

ცარიზმის დამხობით გამოწვეული პირველი აღფრთოვანება მალე გაქრა. დრო გადიოდა, მდგომარეობა კი, დაპირების მიუხედავად, არ იცვლებოდა. ბათუმის მუშები ძველებურად 12-14 საათს მუშაობდნენ: არ ეძლეოდათ შვებულება, არ ჰქონდათ დაზღვევის უფლება, არავინ ზრუნავდა მათი საბინაო პირობების გაუმჯობესებისათვის. ანალოგიური იყო ვითარება სოფლადაც. მიწა კვლავ გაბატონებული წოდების ხელში რჩებოდა, გლეხობას სულს უხუთავდა ათასგვარი ბეგარა-გაღასახადი. მართალია, აგრარული მოძრაობის დასუსტების მიზნით ხელისუფლებამ სცადა ზოგიერთი ღონისძიების განხორციელება, მაგრამ უმნიშვნელო დათმობას არ შეეძლო გლეხთა მდგომარეობის გარდაქმნა, მით უმეტეს, რომ 1917 წლის შემოდგომა მეტად მოუსავლიანი დარჩა. გაზ. „სოციალ-დემოკრატიის“ კორესპონდენტი კიდევ წერდა: „საერთოდ აჭარაში არასდროს საყოფიერი სიმინდი არ ყოფილა, მაგრამ წელს კი მთლად უნუგეშო მდგომარეობაში ჩავარდა. სმირია ისეთი სოფელი, რომ დღეს არა აქვს სიმინდი. და როგორ ბირობებში იქნებიან ისინი მარტში, ეს თვით მკითხველმა წარმოიდგინოს“ (№ 209, 1917). ამის გამო სოფლის გარეგოლუციონერება დღითიდღე შესამჩნევი ხდებოდა.

ასეთ პირობებში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბათუმის დამოუკიდებელი ბოლშევიკური ორგანიზაციის გაფორმებას (1917 წლის ივნისი). შეიქმნა საორგანიზაციო ბიურო, რომელმაც ფაქტიურად კომიტეტის ფუნქცია იკისრა. ამით ბოლშევიკების საქმიანობას ორგანიზებული სახე მიეცა. უკვე 2 ივლისს გაზეთი „კავკასკი რაბოჩი“ წერდა: „მუშაობა ბათუმში ბოლშევიკური ორგანიზაციების შექმნისათვის ფრიალ წარმატებით მიდის. ბოლშევიკი ამხანაგების მოღვაწეობის

შედეგებით მოკლე დროში მუშაობა იმდენად კარგად წარიმართა, რომ... თანამგრძნობთა რიცხვი არაჩვეულებრივი სისწრაფით იზრდება. შეიქმნა ჩვენი ფრაქციის საკმაოდ მნიშვნელოვანი ჯგუფი ძველი, გამოცდილი ამხანაგებისა, რომელთაც უკვე ჰქონდათ რამდენიმე შეკრება: გამოტანილია შესაბამისი რეზოლუციები მომენტისა და სოციალ-დემოკრატიული რევოლუციის ტაქტიკის საკითხებზე, დაარსებულია ცალკეული უჯრედები, სადაც ნაყოფიერად მოღვაწეობენ ჩვენი ჯგუფის პროპაგანდისტთა კოლეგიის წევრები. საორგანიზაციო ბიურო ყველა ზომას ხმარობს მიტინგების მოსაწყობად. რამდენიმე ასეთი მიტინგი უკვე გაიმართა, სადაც დიდი წარმატებით გამოვიდნენ ჯგუფის წევრები“. შემდეგ გაზეთი აღნიშნავდა: „ჯგუფი იმედოვნებს უმოკლეს ხანში შემოიკრიბოს ყველა ქვეშაირი რევოლუციონერი სოციალ-დემოკრატი. განზრახულია მუშებისა და ჯარისკაცებისათვის მოეწყოს რამდენიმე საჯარო ლექცია მიმდინარე მომენტის ყველა საკითხზე ბოლშევიკთა შეხედულების განმარტებისათვის. ამას გარდა... უკანასკნელ ხანს ჯგუფმა დიდი ყურადღება მიაქცია პარტიული ლიტერატურის გავრცელებას. გამოწერილია საჭირო რაოდენობის გაზეთი „პრავდა“, განზრახულია გამოიცეს ბაზელისა და ციმერვალდის ორივე კონფერენციის რეზოლუციების შინაარსი, შექმნილია განსაკუთრებული საგამომცემლო სექცია“ (№ 89, 1917).

რევოლუციური მუშაობის გაშლამ დააჩქარა პროფკავშირთა საბჭოს ბოლშევიზაცია. ახლა იგი აქტიურად ჩაება მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში. მაგალითად, პროფსაბჭოს ინიციატივით თეატრში გაიმართა ქალაქის საწარმოების მუშა-მოსამსახურეთა კრება, რომელმაც განიხილა და დამტკიცა კაპიტალისტებისათვის წარსადგენი მოთხოვნები: 8-საათიანი სამუშაო დღის დაწესების, ხელფასის გაზრდის, შვებულების შემოღებისა და სხვ. შესახებ, ეს მოთხოვნები არ დააკმაყოფილეს. ამიტომ

² გაზ. „დენ სვობოდი“, № 9, 1917.



პროფსაბჰომ დაადგინა 16 ივლისს გაფიცვის გამოცხადება. მუშათა დებუტატების საბჭო, რომელშიც მენშევიკები სპარობდნენ, გაფიცვის წინააღმდეგ გამოვიდა. მაშინ პროფსაბჰომ მიღებული გადაწყვეტილება გააცნო სპეციალურად მოწვეულ მუშათა კრებას. მ. კახიანი და პროფსაბჰოს რევოლუციონერი მუშაკები ფაქტობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე ასახულებდნენ გაფიცვის მიზანშეწონილობას და სარგებლიანობას. მენშევიკების წინააღმდეგობის მიუხედავად, მუშებმა ერთხმად მოიწონეს იგი და გაფიცულთათვის დახმარების ფონდში 500 მანეთიც შეიტანეს.³

ეს ფაქტი თვალსაჩინო დადასტურება იყო არა მარტო პროფსაბჰოს ბოლშევიზაციისა, არამედ მასების გამოფხიზლებისაც. აშკარად ჩანდა, რომ ხალხს აღარ აკმაყოფილებდა არსებული წყობილება და მის წინააღმდეგ ირახმებოდა. ამის გამოხატულება იყო ბათუმის ბოლშევიკური ორგანიზაციის 20 ივლისის მოწოდება ძალაუფლების აღების შესახებ. მასში, კერძოდ, ნათქვამი იყო: „მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დებუტატების საბჭოს ხელში ძალაუფლების გადასვლის აუცილებლობა წარმოადგენს რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთ მორიგ ამოცანას.“⁴ ასეთი მოთხოვნებით გამოდიოდნენ პარტიის სხვა პირველადი ორგანიზაციებიც.

პეტროგრადის რევოლუციის შესახებ პირველი ცნობა თბილისში 25 ოქტომბერს დილის 9 საათსა და 30 წუთზე მოვიდა.⁵ იმავე დღესვე იგი გაიგეს ბათუმშიც. ქალაქის ბოლშევიკური ორგანიზაცია, ერთ-ერთი პირველი საქართველოდან, მხურვალედ მიესალმა რუსეთის რევოლუციას. დებუშაში ნათქვამი იყო: „ბოლშევიკური ჯგუფი, რომელიც გამო-

ხატავს თავის თანაგრძნობას დემოკრატიულ მოვანებას, ვალდებულებას კისრულობს მხარი დაუჭიროს საბჭოების ხელისუფლების პროგრამას... გაუმარჯოს მშვიდობას, რადგან მას ჩვენთვის მოაქვს გამარჯვება, მუშებისათვის პური, გლეხებისათვის მიწა და ყველა მშრომელისათვის კაპიტალის უღლისაგან განთავისუფლება“.⁶

ამის მიუხედავად, ბევრმა ჯერ კიდევ არაფერი იცოდა რევოლუციის შესახებ. ამიტომ ბოლშევიკებმა აგიტატორები დაგზავნეს საწარმოებში, მახლობელ სოფლებში და ახსნა-განმარტებითი მუშაობა გააჩაღეს. 26 ოქტომბერს კი მოიწვიეს საქალაქო მიტინგი (ესწრებოდა 1.500 კაცი, მათ შორის გლეხობაც), რომელმაც განიხილა სოციალისტური რევოლუციის მიზანი, მოიწონა იგი და დაადგინა მისაღმებოდა პეტროგრადის პროლეტარიატს. ამასთან, მიტინგის მონაწილეებმა გამოთქვეს იმედი, რომ „მხოლოდ საბჭოების ხელისუფლებას შეუძლია იხსნას ქვეყანა ეკონომიური კატასტროფისაგან, მისცეს პური მშვიდრთ და ზავი სისხლისმღვრელი იმპერიალისტური ომით განაწამებდ არმიასა და სახელმწიფოს. ახალი მუშურ-გლეხური მთავრობა, რომელმაც... გამოსცა დეკრეტი ზავის შესახებ და მთელი მიწა სამიწათმოქმედო კომიტეტებს გადასცა, თავის მუშაობას წარმართავს კეშმარიტად დემოკრატიული სულისკვეთებით. სახელდობრ: განაზოცელებს კონტროლს წარმოებაზე და პროდუქტების განაწილებაზე, გააერთიანებს ბანკებს ერთ ნაციონალურ ბანკად და დაწესებს მასზე საყოველთაო-სახალხო კონტროლს, შემოიღებს საყოველთაო შრომით ბეგარას.“⁷

ანალოგიური რეზოლუციები მიიღეს სხვა ქალაქების მშრომელთა მრავალრიცხოვან მიტინგებზეც, მაგრამ მაშინ საქართველოში არ დასმულა აჯანყების გზით ძალაუფლების დაპყრობის საკითხი. ქვეყნის კოლონიური მდგომარეობა და მისი აგრარული ხასიათი, მრეწველობის

³ გაზ. „კავკასსკი რაბოჩი“, № 183, 1917.

⁴ იქვე, № 104, 1917.

⁵ მ. ჯიჯიშვილი, ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის აჭარაში, 1957, გვ. 18.

⁶ გაზ. „კავკასსკი რაბოჩი“, № 194, 1917.

⁷ გაზ. „ბურევესტნიკი“, № 8, 1917.

დაბალი დონე და პროლეტარიატის სი-
სუსტე, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური
პარტიების აქტიურობა და კონტრრევო-
ლუციის მტკიცე კავშირი დასავლეთის
სახელმწიფოებთან, ჩანს, გამორჩეულად
სოციალიზმისათვის ბრძოლის წარმატე-
ბას. ამით ისარგებლეს მენშევიკებმა, და-
შნაკებმა და მუსავატებმა და ძალების
კონსოლიდაციის მიზნით 1917 წლის 12
ნოემბერს შექმნეს კოალიციური მთავ-
რობა — „ამიერკავკასიის განსაკუთრე-
ბული კომისარიატი“ („ოზაკომი“). ახალ-
მა სამხარეო ხელისუფლებამ მაშინვე სა-
სტიკო ბრძოლა გააჩაღა რევოლუციური
მოძრაობის დათრგუნვისათვის, ამიერკა-
ვკასია ჩამოაშორა რუსეთს და საერთა-
შორისო რეაქციასთან კავშირში იგი საბ-
ჭოთა მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლის
პლაცდარმად აქცია. და მაინც, რევოლუ-
ციური პეტროვარდის ზეგავლენით, ამი-
ერკავკასიის ბურჟუაზიულ-ნაციონალის-
ტური პარტიების ანტიხალხური საქმიან-
ობისა და უცხოელი იმპერიალისტების
ანტისაბჭოთა მოქმედების გაძლიერების
გამო 1918 წლის დამდეგისათვის ჩვენ-
შიც თანდათან იქმნება პირობები სოცია-
ლისტური რევოლუციისათვის. ასეთ ვი-
თარებაში ბოლშევიკების უპირველესი
ამოცანა გახდა მასების საბრძოლველად
მომზადება. საამისოდ დიდ ზუშაობას
წყოდნენ ბათუმშიც. რევოლუციური
გაზეთების — „ბურვეესტნიკის“ და „ხა-
რავეგის“, შემდეგ „მუშის სიმართლის“
(გამოდიოდნენ 1917-1918 წლების მიჯ-
ნაზე) ფურცლებზე სისტემატურად ქვეყ-
ნდებოდა წერილები, რომლებიც ამხილე-
ბდნენ „ოზაკომის“ საქმიანობას და
ხალხს ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ.

რევოლუციურ მოძრაობაში აქტიურად
ჩაება ახალგაზრდობაც (ამ მხრივ გაძ-
ლიერა მუშაობა ახალგაზრდულმა ორგა-
ნიზაციამ „სპარტაკმა“). მალე ფრონტი-
დან დაბრუნებულ ჯარისკაცთაგან შეიქმ-
ნა წითელგვარდიელთა რაზმი, რომელიც
გახდა დასაყრდენი ხელისუფლებისათ-
ვის ბრძოლაში. ამ ამოცანის შესასრულე-
ბლად მზად იყვნენ აგრეთვე ბათუმის

სამხედრო გარნიზონის ზოგიერთი ნაწი-
ლი და ნავსადგურში მდგომი გემების
მეზღვაურები.

რევოლუციური მოძრაობის უკეთ ხე-
ლმძლევანობისა და ძალაუფლებისათ-
ვის წარმატებითი ბრძოლის მიზნით 1918
წლის 11 თებერვალს გაერთიანდნენ ბა-
თუმისა და გურიის პარტიული ორგანი-
ზაციები. ჩამოყალიბდა ერთიანი საოლქო
ბიურო (ვ. ბახტაძე, ს. ვანშინი, მ. კახია-
ნი, გ. პიასეკი, კ. ბერძენიშვილი და
სხვ.), რომელმაც სწორად შეაფასა ქვეყა-
ნაში შექმნილი ვითარება, არ დააყვნა
აჯანყებისათვის ადგილზე არსებული ხე-
ლსაყრელი პირობების გამოყენება და
ორგანიზაციულ - პროპაგანდისტული სა-
ქმიანობა ამ მიზნის განხორციელებისათ-
ვის წარმართა. იმავე წლის 20-23 თებერ-
ვალს დასავლეთ ამიერკავკასიის ბოლშე-
ვიკური ორგანიზაციების კონფერენციამ
დაადგინა შეიარაღებული აჯანყების ორ-
განიზება და შექმნა კიდევ ხელმძღვანე-
ლი შტაბი ს. გეგეჭკორის მეთაურობით,
მაგრამ აჯანყება არ შედგა.

1918 წლის 3 მარტს გაფორმდა ცნო-
ბილი ბრესტის ხელშეკრულება, რომლი-
თაც ბათუმი და ბათუმის ოლქი, როგორც
ოკუპირებული ტერიტორია, თურქე-
თის განკარგულებაში გადადიოდა. ასეთ
პირობებში ბოლშევიკებმა დღის წესრი-
გიდან მოხსნეს შეიარაღებული აჯან-
ყების საკითხი, მაგრამ განაცხადეს სურ-
ვილი და მზადყოფნა დაეცვათ ქალაქი
ოკუპაციისაგან, თუ ამაში „ამიერკავკასი-
ის განსაკუთრებული კომისარიატი“ დაე-
ხმარებოდა. ირკვევა, რომ საბჭოთა მთა-
ვრობა, პირდაპირ ვ. ი. ლენინი და ი. ბ.
სტალინი, ბრესტის შეთანხმების გაფორ-
მების მიუხედავად, წინააღმდეგი იყვნენ
თურქეთისათვის ბათუმის გადაცემისა და
ვარაუდობდნენ მის დაცვასაც, თუ აღვი-
ლობრივი ძალებით ეს მოხერხდებოდა.
სამწუხაროდ, „ოზაკომს“ ამის გავონებაც
არ სურდა. მას აშინებდა ბათუმის რაი-
ონში ბოლშევიკების, წითელრაზმელები-
სა და რევოლუციური ფლოტის გავლე-
ნისა და ძლიერების არაჩვეულებრივი
ზრდა, მით უმეტეს, რომ მოსალოდნელი

ყო სევასტოპოლიდან „ცენტროფლო-
ტის“ დამხმარე ძალების მოსვლამ. ამი-
ტომ მთავრობამ უმჯობესად მიიჩნია ბო-
ლშევიკების განადგურება, ფლოტისა და
წითელრაზმელების განიარაღება. ამ მიზ-
ნით 4 მარტს ბათუმში ჩამოვიდნენ ნ.
ჟორდანიას და ნ. რამიშვილი, რომლებმაც
სპეციალური თათბირი ჩაატარეს ბოლ-
შევიკების წინააღმდეგ ბრძოლის ღონის-
ძიებათა შესახებ. იმავე დღეს, ღამით,
ხელისუფლების ერთგულმა სამხედრო
ნაწილებმა ალყა შემოარტყეს ნავსად-
გურს, შემდეგ კი იერიში მიიტანეს აქ
განლაგებული რევოლუციური ფლოტის
ხომალდებზეც. 5 მარტს დილისთვის,
სამსაათიანი ბრძოლის შემდეგ, მოიგრი-
შეებმა ხელთ იგდეს ფლოტი (რამდენიმე
გემის გარდა), დიდძალი შეიარაღება, და-
ატყვევეს 300-მდე მეზღვაურიც. მენშე-
ვიკური გაზეთი „საქართველო“ ზეიმიით
იუწყებოდა: „ჩვენმა მამაცმა ჯარმა
ბოლშევიკური ფლოტი დაიპყრო, ფლო-
ტის ბოლშევიკური ეკიპაჟი დაატუსაღა
და თვით ფლოტი ჩვენს მოქმედ საომარ
ძალებში ჩაირიცხა“ (№ 50, 1918). წახა-

ლისებელი მთავრობა შეტევაზე გადავი-
და, აკრძალა ბოლშევიკური გაზეთები
(„ბურევესტიკი“, „მუშის სიმართლე“)
რეპრესიები გააჩაღა კომუნისტებისა და
წითელრაზმელების მიმართ (ძალების
შენარჩუნების მიზნით, დაპატიმრებას გა-
დარჩენილნი, პარტიული ცენტრის მითი-
თებით, გადავიდნენ ჩრდილოეთ კავკასი-
აში, სადაც აქტიურად მონაწილეობდნენ
საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა-
თვის ბრძოლაში).

ბოლშევიკებთან ანგარიშსწორებამ
მნიშვნელოვნად დაასუსტა ქალაქის
დამცველთა ძალები. ამით ისარგებლეს
თურქებმა და 1918 წლის 1 აპრილს, თი-
თქმის უბრძოლველად, ბათუმის და ბა-
თუმის ოლქის ოკუპაცია მოახდინეს. და-
იწყა აჭარაში უცხოელთა (თურქებს შე-
მდეგ ინგლისელები შეენაცვლნენ) ორ-
წლიანი ბატონობა, რამაც არა მარტო
გაართულა, არამედ ხანგრძლივი დროით
შეაფერხა საბჭოთა ხელისუფლების დამ-
ყარება. ამის მიუხედავად, ხალხს უკეთე-
სი მომავლისაკენ სწრაფვაზე უარი არ
უთქვამს, პირიქით, უმძიმეს პირობებშიც
კი მედგრად იბრძოდა ნათელი მომავლი-
სათვის.

8 პ. ცქვიტარია, აჭარაში რევოლუცი-
ური მოძრაობის ისტორიის ნარკვევები,
1962, გვ. 85-86.



ალ. ლავიტაძე

აბდულ მიქელაძის ეპისკოპალი მემკვიდრეობიდან

იმ ქართველ მოღვაწეთა შორის, რომლებმაც ხალხის უანგარო სამსახურითა და თავდადებით გამოიჩინეს თავი, საპატიო ადგილი უკავია აბდულ ხასანის-ძე მიქელაძეს.

ა. მიქელაძის ჟურნალისტური მემკვიდრეობა, რაც „ივერიის“, „დროებისა“ და სხვა გაზეთების ფურცლებზე შემოგვინახა, საკმაოდ არის ცნობილი. ამჟამად ხელმისაწვდომი გახდა მისი ეპისტოლარული მემკვიდრეობაც. კერძოდ, ჩვენ ხელთ გვაქვს რამდენიმე წერილის ასლი, რომლებიც ა. მიქელაძეს გასული საუკუნის 80-90-ან წლებში გაუგზავნია პეტრე უმიკაშვილისათვის.

აბდულ მიქელაძეს იმ დროს მოუხდა საზოგადოებრივ სარბიელზე გამოსვლა, როცა აჭარაში რთული სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა იყო. ახლად გათავისუფლებულ მხარეში ოსმალეთის აგენტები განუწყვეტელ აგიტაციას ეწეოდნენ, რათა ადგილობრივი მოსახლეობა თურქეთში გაეტყუებინათ. აბდულ მიქელაძეს ნათლად ესმოდა ე. წ. „მუჰაჯირობის“ არსი და სწამდა, რომ აჭარლებს ოსმალეთში არაფერი ესაქმებოდათ და ვინც წავიდა, ისიც მალე დაბრუნდებოდა. ამის თაობაზე იგი პეტრე უმიკაშვილს სწერდა: „იმის შესახებ, რომ ხალხი ესახლებიან ოსმალეთში, უნ-

და მოგახსენო, რომ ის წამსვლელი ხალხი იყო ართვინის ოკრუგიდან და რამდენიმე გონიოს უჩასტიდამაც. ჩვენი აჭარიდან... არც ფიქრში აქვან წასვლა, თუ იმ ზედა მოხსენებულ ქვეყნებიდან კიდევ არ დაიწყეს გაზაფხულზე წასვლა და აგენსაც არ დაუწყვეს მოტყვილებით წაყვანა“.

შემდეგ წერილში იგი პეტრე უმიკაშვილს ატყობინებს: „ამას გარდა რაიცა შეეხება მოჰაჯირების გადასახლებაზე არავინ არ ფიქრობს, ყველანაშ დადევს გული და კიდევაც მუყაითობენ თავის ოჯახში... წასული სათათროში... უნდში, უნიაში, გირასონსა და სხვა სანჯალებში ცხოვრობენ. ეხლა ჩვენ ისე გვესმის, რომ იქაური ჰავა ვერ აიტანეს და ბევრიც მომკვტარან და ბევრიც ბრუნდებიან... ამ ახლო ხანშიდ ათი თორმეტი კაცი მოვიდნენ“.

აბდულ მიქელაძეს დამთავრებული ჰქონდა ტრაპიზონის სასულიერო სემინარია და მთელი თავისი ცოდნა და ენერგია მოახმარა მშობლიური კუთხის კულტურულ დაწინაურებას, მოსახლეობის ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას. ხალხის უანგარო სამსახურში ხედავდა იგი ადამიანის უმაღლეს დანიშნულებას და თვითონ ყველაფერს აკეთებდა ამისათვის. მან გვიან ასაკში ზ.

ჭიჭინაძისაგან შეისწავლა ქართული წერა-კითხვა და გახდა ქართული აზრის, ქართული წერა-კითხვის გავრცელების ერთ-ერთი ინიციატორი აპარაში.

1881 წელს ა. მიქელაძე სწერდა პ. უმიკაშვილს: „დიდი მადლობას მოგახსენებთ ბატონო იმისათვის, რომ ეს კინაღამ ერთი წელიწადია რაც მე თქვენგან გამოგზავნილს „ივერიას“ ვღებულობდი. ამგვარად თქვენი წყალობით იმდენი შევისწავლე ქართული წერა-კითხვა, რომ ამ წიგნის მოწერა თქვენთან მოვახერხე... თუმცაღა შეცდომილება ბევრი იქნება შიდ მაგრამ თქვენის წყალობით სამერმობით უფრო კარგად დავსწერ თუ შემდგომ არ დამტოვებთ თქვენ უყურადღებოთ... დამაჩვიეთ თქვენ „ივერიას“ კითხვას და იმედი მაქვს არ მომაკლებთ თქვენს წყალობას, მიიღებთ ჩემს სიღარიბეს სახეში და მიწყალობთ „ივერიას“ შემდეგშიდაც“.

ა. მიქელაძემ იცოდა, რომ აპარის ამბებით დაინტერესებული იყო იმდროინდელი ქართველი მკითხველი, ზედადა იმის აუცილებლობას, რომ „ივერიის“ ფურცლებზე დაბეჭდილიყო აპარის წინაშეწველიანი მოვლენები. პ. უმიკაშვილის ერთი წერილის პასუხად იგი წერს: „მწერთ რომ ამ წელიწადშიდაც რედაქცია გამომიგზავნის „ივერიას“, დიდათ გამდლობთ მოწყალებისათვის. სხვა არა შემიძლია რა... რაც ჩემს უსწავლელობას შევედრება ვეცდები ცოტ-ცოტა ანბანი გაგზავნო რედაქციაში“.

საგულისხმოა, რომ ქართული წერა-კითხვის შესწავლით დაინტერესებული ა. მიქელაძე „ივერიის“ რიგითი მკითხველიდან ამ გაზეთის კორესპონდენტი გახდა. მის წერილებში ნათლად გამოსწვევის მგზნებარე პატრიოტისა და ჰუმანისტის სახე. იგი ყველაფერს აკეთებდა თავისი კუთხის კულტურული დაწინაურებისათვის და ქართულ ანბანს ასწავლიდა ყველა დაინტერესებულ პირს. ერთ-ერთ წერილში იგი მოახსენებს პეტრე უმიკაშვილს: „თქვენ რომ აზბუკები მიბოძეთ იმიდგან დოჟირივე ამათ და თქვენი შემწეობით მეც ყურადღებას ვა-

ძლევ... ყველას სურს რომ ისწავლოს წერა-კითხვა ქართულის“. მის წერილებში ჩანს, თუ რა სწრაფად ვრცელდება ქართული ანბანი მოსახლეობაში. „ჩემ გარეთ აპარაში თორმეტმა ბოვშემა ასწავლა ქართული წერა-კითხვა, ისინიც სოფლებშიდ სხვა ბავშვებს ასწავლიან. ერთი სიტყვით, ამ ახლო ხანში აპარაშიდ გავრცელდება ქართული წერა-კითხვა“. ქართული ანბანის გავრცელებას თან მოჰყვა პ. უმიკაშვილის მიერ გამოგზავნილი სახელმძღვანელოები. „თქვენი გამოგზავნილი წიგნები ათ თორმეტ ბავშვებას მივეცი და ყველანაშ... ქართული წერა-კითხვა შეისწავლეს. დღეს აპარაში (ქედაში — ა. დ.) თქვენი წყალობით ოცამდინ არის ქართული წერა-კითხვის მცოდნე და კიდეცა სხვებიც ისწავლიან. ათი წელიწადიც არ უნდა, რომ ყველაი შეისწავლის ძველებურს დედანას, ქართულ წერა-კითხვასა და ყველაი თქვენი ბატონობით განათლებული იქნებიან აქედგან“ (1891 წლის 22 იანვრის წერილი).

თავისი უანგარო შრომით მოსახლეობაში ქართული წერა-კითხვის გავრცელებით ა. მიქელაძემ საფუძველი მოუშადა პირველი ქართული სკოლის გახსნას ქედაში. ქართული სკოლის გახსნის თაობაზე გაზეთ „ივერიაში“ იგი წერდა: „მადლობა ღმერთს, რომ ჩვენ, ქართველ მაჰმადიანებს ჩვენმა ძმებმა, ქართველმა ქრისტიანებმა ყურადღება მოგვაქციეს და ჩვენთვის წიგნებიც დაჰბეჭდეს... ღმერთმა ხომ იცის, რომ დიდად მოწადინებულნი ვართ ჩვენსა და თქვენს შუა ძველებური სიყვარული გაცოცხლდეს და ამით ერთმანეთის პატივისცემა და შველა ვიცოდეთ... მოგმართეთ თქვენ, ჩემო საყვარელო ძმებო, და გვეუდრებოდ, რომ ქედაში სკოლა გაგვიმართოთ, კარგი სკოლა აპარისათვის წამალი იქნება, მის საშუალებით აქეთ ქართული კითხვა უფრო განმტკიცდება“ (გაზ. „ივერია“, 1892 წ. № 213).

კავშირს საქართველოს საზოგადო მოღვაწეებსა და მწერლებთან იმდენად დიდა

იყო, რომ ა. მიქელაძეს არ შეეძლო ერთი წუთითაც გაეძლო მათ გარეშე. მათგან იგი მოელოდა ცოდნის დაუშრეტელ წყაროს, რომელსაც თავის მხრივ ადგილობრივ მოსახლეობას აწოდებდა. იგი შეწუხებული იყო იმით, რომ „ივერიის“ მიღება დაღუგვიანდა და პეტრე უმიკაშვილს წერდა: „თქვენ წერილი მოგწერეთ, მოგივიდა თუ არა მე ვერაფერი შევიტყვე, აგერ ერთი თვე არის რაც მე „ივერია“ არ მიმიღია და ძლიერად შეწუხებული ვართ, რომ სიცოცხლე კარგად გავატაროთ, რომ საქართველოს და ქვეყნის ამბავები წამეკითხა და ხალხისთვის... ვწაბულდება რა ყოფილა ჩამეგონებია“. როგორც შემდეგ გამოიჩვენა, „ივერიის“ დაგვიანება გამოწვეული ყოფილა ქედაში საფოსტო განყოფილების დახურვით, რაც ადგილობრივმა მმართველობამ გააკეთა.

პეტრე უმიკაშვილი დანტერესებულ იყო აჭარის ამბებით. იგი ეძებდა პროგრესულ პირებს, რათა მათი საშუალებით ქართული აზრი გავრცელებინა აჭარაში. მისი ერთ-ერთი წერილი, რომელიც გამოგზავნილია ქედელი, კერძოდ, სალორეთელი (ახლანდელი პირველი მაისი) შაქირ-ეფენდისადმი, გამსჭვალულია ამ კუთხის მოსახლეობის დიდი სიყვარულით. წერილში ვკითხულობთ: „პირველად მრავალს მოკითხვას მოგახსენებთ, თუ არ დაგვიწყებიათ ჩვენი ერთმანერთის ნახვა ამ ცხრა წლის წინათ აჭარაში, ქედაში, მოიგონებთ ამ წიგნის მომწერსა. მე ამ ზღვხულს ვიყავი ბათუმში და მითხრეს, რომ შაქირ ეფენდი გემდურისო ქართულის ჩვენი გურჯიჯას წიგნის არ გაგზავნავსო. სიხარულით მოგართმევდი წიგნსა, მაგრამ თქვენი ადრესი არ ვიცოდი და არც იმედი მქონდა, რომ ქართული წიგნი მე რომ გასწავლეთ აღარ დაგვიწყდებოდა... მე ამ წიგნს დიდროვან ასოებით ვწერ, მეშინია, იქნება ესეც ვერ წაიკითხოს და გაუჭირდესო...

ნეტავი თქვენ ისე იცოდეთ ქართული გურჯის წერა რაფრათაც ენა იცით და გაეშურებათ. მაქაური ამბავი გვესმის, ბათუმის სანჯახში და აჭარაში წიგნსა სწავლობენ და იკითხავენ, ბევრმა ისწავლა დაბეჭდილი წიგნის კითხვა. ღმერთმა ინებოს ხალხში სწავლა მოიფინოს, რომ კეთილი ისწავლოს და უცოდნელი არ დარჩეს. თქვენი კეთილის მონატრე პეტრე უმიკაშვილი. ტფილისი, 20 იანვარს, 1888 წელსა“.

ამ წერილებშიც ჩანს, თუ როგორ ისხამდა ფრთებს ქართული აზრი, თუ როგორ ღებოდა კალაპოტში ქართული კულტურის, ქართული სიტყვის აკვანი აჭარა, სამხრეთი საქართველო.

ა. მიქელაძე მარტო ქართული წერაკითხვის გავრცელებით როდი კმაყოფილდებოდა. იგი იყო მასწავლებელი, ექიმი და პოლიტიკური მოღვაწე. იმ მიზნე პირობებში, როდესაც მალარია ანადგურებდა მოსახლეობას, ა. მიქელაძე სანიტრის ჩანთით დადიოდა სოფლიდან სოფელში და თვითონ ატარებდა მოსახლეობაში აცრებს. მისმა მადლიანმა ხელმა ბევრი ბავშვი და მოზარდი იხსნა სიკვდილისაგან. „ა. მიქელაძეს უყვარდა თავისი კუთხის მკვიდრნი და ყველაფერს აკეთებდა მათი კულტურული დაწინაურებისათვის. უმადურმა ხელისუფლებამ აბუჩად აიგდო მისი ღვაწლი და სიბერის დღენი ციხეში გაატარებინა“ (ხ. ახვლედიანი, ჰაიდარ აბაშიძის „წერილების“ წინასიტყვაობა).

ა. მიქელაძე მგზნებარე პატრიოტი იყო. მან მთელი თავისი ენერგია მოახმარა აჭარის ნათელი მომავლის შექმნას, მემედ აბაშიძესთან ერთად დიდი წვლილი შეიტანა ცნობილი „განმათავისუფლებელი კომიტეტის“ მუშაობაში. უბედურმა შემთხვევამ აღარ აცალა ა. მიქელაძეს ენახა საბჭოთა აჭარის მიღწევები — იგი ტრაგიკულად დაიღუპა 1919 წელს.



ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/VI, 1967 წ. საბეჭდი 6, საგამომცემლო 5 თაბახი,
შეკვეთის № 3385, ემ 00624. ქაღალდის ზომა 60X90. ტირაჟი 1830.

* * *

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის
მთავარპოლიგრაფმრეწვის ბათუმის სტამბა № 9 (ლუქსემბურგის, 22).

0 17/26

040066340
0004-000033

3360 40 333.

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„Литературули Аджара“

ОРГАН АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

ИНДЕКС 76118